



240/2
1952 15-A

ავტ. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

В Е С Т Н И К

В Е С Т Н И К

Государственного музея Грузии

изд. акад. С. Н. Джанашия

XV-A



აკად. ს. ჯანაშიას სახელობის

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

ვესტნიკი

ВЕСТИНИК

Государственного музея Грузии

им. акад. С. Н. Джанашия

7885

XV-A



რედაქტორი პ. შებრეველი



შინაარსი — СОДЕРЖАНИЕ

1. ი. ჩხიკვიშვილი. ატუნის ხეობის ფრინველების შესწავლისათვის	83
И. Д. Чихвишвили. Материалы к изучению птиц Атенского ущелья (Резюме)	5
2. გ. ჯაჭავაძე. კავკასიის ფლორის რთულკევილოვანთა ოჯახის აუტენტურები	20
В. И. Панава. Аутентики флоры Кавказа семейства сложноцветных (Резюме)	23
3. დ. წერეთელი. შენიშვნები გარეჯის უდაბნოს ნეოგენურ ხერხემლიანთა განმარტების პირობების შესახებ	45
Д. В. Черетели. Заметка о палеогеографических условиях захоронения костей неогеновых млекопитающих в Удабно Гарелжи (Южная Кахетия) (Резюме)	49
4. ი. ხეჩინაშვილი. საქართველოს ცარცული ბელემნიტები	57
И. Д. Хечинашвили. Меловые белемниты Грузии (Резюме)	63
5. И. В. Дылевская. Материалы к познанию листостебельных мхов Грузии II часть	107
ი. დილევსკაია. მსალები საქართველოს ღეროფოთლანი ხავსების შესწავლისათვის (რეზიუმე)	119
6. ტ. ანნაბაძე. კართლის მიკოფლორა	158
Т. Т. Анчабадзе. Микофлора Карли (Резюме)	159
7. მ. ფოფხაძე. საქართველოს ცარცული და პალეოგენური მხაროფენიანების გერტიკალური გავრცელების შესახებ	182
М. В. Понхадзе. О вертикальном распространении меловых и палеогеновых плеченогих Грузии (Резюме)	183
8. ე. გაბაშვილი. მარაგის ნეოგენური ფუნის ანტილოპები	198
Ек. Г. Габашвили. Антилопы неогеновой фауны Мараги (Резюме)	201
9. Н. И. Бурчак-Абрамович. Ископаемый трубкозуб <i>Orycteropus gaudryi</i> F. M. из верхнетретичных отложений окр. г. Мараги	221
ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი. განამარტებული მილაკებილიანი <i>Orycteropus gaudryi</i> F. M. ქ. მარაგის მიდამოების ზედა მესამეული ნაღებებიდან (რეზიუმე)	225
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	230
10. ლ. გაბუნია. ლ. დავითაშვილი. პალეონტოლოგიის კურსი	233

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგინებით

*

ტექნიკური ა. თ. დ. უ. ა.
კორექტორები: გ. გოგიავა
გ. დლონტი
გამომცემი კ. გრიგოლია
გადაეცა წარმოებას 2.10.51. ხელმოწ. დასაბეჭდად 17.11.52. ქალაქ-
ბომა 70×108^{1/2}. ქალაქ. ფურც. 7,75. საბეჭდ. ფორ. 21,23.
საღრ.-საგამომც. ფურც. 16,92. შეკვ. № 1778
ფე 14493. ტირაჟი 1000
ფასი 11 მ. 85 კ.
ყდა 50 კ.

12 მ. 35 კ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. გამომცემლობის სტაჰა
თბილისი, წერეთლის 3/5

ი. ჩხიკვიშვილი

ატენის ხეობის ფრინველების შესწავლისათვის

შესავალი

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებამ, თანახმად თავისი 1946 წლის სამუშაო გეგმისა, მოაწყო ექსპედიცია გორის რაიონში ფაუნის შესწავლის მიზნით. ეს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ სამეცნიერო კვლევითი მუშაობისა, რომელიც დასახული აქვს ზოოლოგიის განყოფილებას ხუთწლეულში და რომელიც გამომდინარეობს ქართლის პრობლემიდან.

ატენის ხეობის ფრინველ-ბომბრაფიული და ფლორისტული მოკლე მიმოხილვა

ატენის ხეობა მოთავსებულია ქართლის თითქმის წუთგულში. მისი ფართობი დაახლოებით უდრის 36000 კვ. კმ-ს. ზემოთ აღნიშნული ხევი არის მდინარე ტანას აუზი. ის იწყება ჯამ-ჯამის ქედიდან, რომლის სიმაღლე უდრის 2370 მეტრს ზღვის დონიდან. აქედან ხევის სიმაღლე თანდათანობით კლებულობს და სოფელ ატენთან მხოლოდ 580 მეტრს აღწევს. მდინარე ტანა ატენის ხეობას ყოფს ორ არათანაბარ ნაწილად: მარცხენა ნაწილი ფართობით თითქმის ორჯერ მცირეა მარჯვენა ნაწილზე, რაც აიხსნება მდინარე ტანას აუზის გეოლოგიურ-ტექტონიკური აგებულებით. ატენის ხეობის მთელი ტერიტორია, რომელიც თრიალეთის ქედის ნაწილია, დასერილია ღრმა ხეეებით. ხეობის გეოლოგიურ აღნაგობაში მონაწილეობას იღებენ როგორც მძლავრი ნალექი წარმოშობანი, ისე ვულკანური ქანებიც.

მდინარე ტანას ხეობას, მორფოლოგიური აღნაგობის მიხედვით, ს. კუზნეცოვი და ი. ტროფიმოვი ყოფენ 4 ნაწილად: 1. სათავის ნაწილი სოფელ თავხეობამდე, 2. სოფ. თავხეობიდან მდინარე უსახელომდე, 3. მდ. უსახელოს შესართავიდან სოფ. ატენის ბოლომდე და 4. სოფ. ატენიდან მდინარე ტანას მტკვართან შეერთებამდე. პირველი ნაწილი უმთავრესად შედგება თიხოვანი ფიქლებისგან. მეორე ნაწილის ძირითად შემადგენლობას შეადგენს მსხვილ-მარცკლოვანი ქვიშა, რის გამო ხეობის ეს ნაწილი სათანადოდ ვერ უმკლავდება დენულდაციურ ზემოქმედებას. მესამე ნაწილი წარმოადგენს ღრმა, ვიწრო ხევს. აქ მდინარე ტანა კვეთს მძლავრ ვულკანურ ფორმაციას, რომელიც შედგება ტუფებისგან და კარგად უმკლავდება ეროზიულ ზემოქმედებას. სოფ. ატენის შემდეგ იწყება ხეობის მეოთხე ნაწილი, რომელიც ხევის რელიეფის მკვეთრი ცვლილების გამო გამოდის ველზე.

მდინარე ტანას პიდროგრაფიული ქსელი შედგება შგნაკადებისგან. მისი მოკლე დახასიათება შემდეგია: მდინარე ტანა, ამ ხეობის წყლის მთავარი

ძარღვი, იწყება თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მთა ჯამ-ჯამის ახლოს. ლევიტანის და აბურხალოს ხეობებში მიმდინარე ორი უმნიშვნელო წყლის ნაკადი სოფ. მარღანის ქვემოთ ერთხანეთთან შეერთებით წარმოიშობს მდინარე ტანას, რომელიც ერთვის მტკვარს ქალაქ გორის მახლობლად. მდინარე ტანას სათავე მოთავსებულია დაახლოებით 2100 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ხოლო შესართავი კი 575 მეტრის სიმაღლეზეა. მარჯვენა ხეობიდან შეიძლება აღინიშნოს ტუსრების ხევი, მლაშის ხევი, ბერძნის ხევი, ორმოცის ხევი, ტყინალას ხევი, წერეთის ხევი, ჯოჯოხეთის ხევი და ვერის ხევი. მარცხნიდან მდინარე ტანას უერთდება მთელი რიგი ხევები. მათგან უფრო თვალსაჩინოა: ყველიანის ხევი, მარიამობის ხევი და კვირაცხოვლობის ხევი.

ფიგუროვსკი ატენის ხეობის ჰავას აკუთვნებს მთიანი ტყეების ზომიერ ცივ ჰავას. კეპენის მოწმობით, ის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: საშუალო ყველაზე უფრო თბილი თვის ტემპერატურა არანაკლები 10° და არაუდიდესი 22° ; ყველაზე უფრო ცივი თვის ტემპერატურა — 2° , -6° . ზამთარი დიდთოვლიანია. თოვლი საკმარისად სქელ ფენას ქმნის. წელიწადის თბილი პერიოდი ხასიათდება ნალექების საკმარისად დიდი რაოდენობით. ქ. გორში ნალექთა საშუალო რაოდენობა წლის განმავლობაში უდრის 500 მმ; აღგლის სიმაღლის გადიდებასთან დაკავშირებით ატმოსფერულ ნალექთა რაოდენობა მატულობს; ხეობის შუა ნაწილისათვის შეიძლება მიღებული იყოს 600 მმ, ხოლო ჯამ-ჯამის ქედისათვის 700—750 მმ. სოფ. ბოშურში წლიურ ნალექთა საშუალო რაოდენობა უდრის 700—750 მმ. ნალექები ატენის ხეობაში ხშირად იღებს წარღვნის ხასიათს, რაც იწვევს ნიადაგის ჩარეცხვას.

პროფ. სელიანინოვის მიერ შედგენილი რუკის მიხედვით ატენის ხეობის ქვედა ნაწილი ეკუთვნის ზომიერ თბილ ჰავას, შუა და ზედა — გარდა-მავალს. ხოლო მისი უმაღლესი ნაწილი, ჯამ-ჯამის ქედი — ცივ ზონას.

ატენის ხეობა 50 წლის წინათ წარმოადგენდა ქართლის ერთ-ერთ მდიდარ კუთხეს, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი მშვენიერი ულრანი წიწვოვანი ტყეებით. მაგრამ მეფის დროს მტაცებელურმა ექსპლოატაციამ (ქრა, წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძოვა), ტყის დაცვის ღონისძიებთა გარეშე, ხელი შეუწყო ნიადაგის ჩამორეცხვისა და დაშლას ეროზიის საფუძველზე. განსაკუთრებით საზრეთ კალთებზე, სადაც, როგორც ცნობილია, ასეთი ნგრევის პროცესი ინტენსიურად წარმოებს ახლაც.

ატენის ხეობის ტყეები არ წარმოადგენს მთლიან მასივს და განაწილებულია მთების კალთებზე ცალკეულ ნაკვეთებად. ხეობის საერთო ტერიტორიიდან ტყით დაკავებულია 18000 ჰექტარი, რაც შეადგენს ხეობის ფართობის დაახლოებით 50%-ს. სოფ. ბობნევის ზემოთ მდინარე ტანას მარჯვენა სანაპირო ადგილები საკმარისად ტყიანია. მარცხენა სანაპირო ადგილები ამჟამად თითქმის უტყუოა, მაგრამ წარსულში ეს ადგილებიც დაფარული იყო ტყით.

ზონალობის, კალთების ექსპოზიციის, ქედების განლაგებისა და სხვა მიზეზების გამო ატენის ხეობის მცენარეულობა ძალიან მრავალნაირია რო-

გორც ფლორისტული, ისე ფიტოცენოლოგიური თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გარდა მცენარეულობის შემადგენლობაზე დიდი გავლენა მოახდინა ანამიანმა.

პროფ. ნ. კუნეციოვის მონაცემებით ატენის ხეობის ფლორა ეკუთვნის სამხრეთ-ყარაბაღის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციას.

პროფ. დ. სოსნოვსკი და აკად. პ. გროსგეიმი ატენის ხეობას ბოტანიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით აკუთვნებენ ახალციხე-ბორჯომის რაიონს (მცირე კავკასიის პროვინცია), რომელიც ხასიათდება ფლორის მრავალსახეობიანობით. ატენის ხეობის ქვედა ზონა (600—1100 მეტრის საზღვრებში) ძირითადად ხასიათდება მუხა-რცხილის ფორმაციით (*Quercus iberica* Stew., *Carpinus orientalis* Mill. რცხილა *Carpinus betulus* L.). ამ ზონის ტყეები თავისი გავრცელების ქვედა ნაწილში გადადის ძეძვის ბუჩქნარში (*Palurus spina christi* Mill.). ეს ტყეები მეორადი წარმოშობისაა, რადგანაც ისინი წარმოიშვა მუხა-რცხილის ტყეების უწყესო ექსპლოატაციის შედეგად. სამხრეთ კლდოვან ციკაბო ფერდობებზე ვითარდება ქსეროფიტული დაბალი ბუჩქები *Spiraea hypericifolia* L., *Cotoneaster multiflora* Bye., *C. melanocarpa* Led., *Lonicera iberica* M. და სხვ.

ზოგიერთ გვერდით ხეობაში დელევიალურ და პროლევიალურ ნალექებზე ვითარდება კოწახური (*Berberis orientalis* C. K. S.), კუნელი (*Crataegus monogina* Jaco.), ტყემალი (*Prunus divaricata* Led.) იშვიათი დანართების სახით. ნაკადების პირად მოიპოვება სხვადასხვა ხეიარა მცენარე, რომლებიც მოწმობს იმას, რომ აქ ერთ დროს იყო ქაობის ტყეები, განვითარებულნი მდინარე მტკვრის სანაპირო ადგილებში.

მაღალ მთებში, დაახლოებით 1100 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ქარბობს წიწვიანი ტყეები — ფიჭვისა და ნაძვის, მაგრამ მოიპოვება აგრეთვე შერეული ტყეებიც — ნაძვ-წიფელისა და მუხა-რცხილის, ხოლო 1500 მეტრიდან ქარბობენ სოჭის ტყეები — *Abies nordmanniana* Stev.

ატენის ხეობის სოჭის ტყეები სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყველაზე უფრო განაპირა სოჭის ტყეებია. 2000—2200 მეტრის ფარგლებში ზღვის დონიდან მოიპოვება სუბალპური ტყეები, რომლებსთვის დამახასიათებელია მენხერი, მრუდე დაბალტანიანი სხვადასხვა სახეობის ხეები: არყის ხეებიდან — *Betula pubescens* Ehrh., *Betula pendula* Roth., ქნავი *Sorbus aucuparia* L., მაღალი მთის ნეკერჩხალი — *Acer Trautvetteri* Medv.; ქარბობს *Symphytum*, *Asperum* (Lep.) *Ligusticum alatum* M. B.

ზღვის დონიდან 2200 მეტრზე უფრო მაღლა ჩრდილო კალთები დაფარულია კავკასიის დეკის მთლიანი რაყით (*Rhododendron caucasicum*). 2000 მეტრის სიმაღლიდან და უფრო მაღლაც მოიპოვება სუბალპური მდელოები (უმეტესად მეორადი წარმოშობისა). მეორადი სუბალპური მდელოები ღრმად იჭრება ტყის ზონაში, ზოგჯერ 1800 მეტრამდე ზღვის დონიდან. კარგი სათიბებით სახელგანთქმულია საცხენისის ქედი.



ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების რთული კომპლექსის სამი ძირითადი მომენტი: ოროგრაფია, ჰავა და მცენარეულობა, რომლებიც განსაზღვრავენ ცხოველების განლაგებასა და ამ ხეობის ფაუნის თანამედროვე მდგომარეობას.

ატენის ხეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და სტაციები იმდენად მრავალნაირია, რომ ძნელია ამ ხეობის ფრინველების განაწილება სტაციების მიხედვით და ამის გამო ატენის ხეობას ვყოფთ სამ ძირითად სარტყლად: 1. სარტყელი კულტურული მცენარეებისა, 2. ტყის სარტყელი და 3. სუბალპური.

დასახელებული ადგილების ორნიტოფაუნა შემდეგ სურათს იძლევა: ბაღებში ხშირია კაკეასიის შავთავა ბუღბულა (*Sylvia atricapilla dammholzi* Str.), რომლის სასიამოვნო ვალობა ისმის დილიდან საღამომდე; ეღვისებრი სისწრაფით დაფრინავენ სოფლის მერცხლები (*Hirundo rustica rustica* L.); დინჯად სხედან ბუჩქებზე დაეობები (*Lanius collurio Kobylini* But.) და აქედან უთვალთვალდებენ მსხვერპლს.

გულმოდგინედ ნადირობს მწერებზე რუხი მემბტლია (*Muscicapa striata neumanni* Poche) და ნადავლს აწვდის ბუდიდან გადაფრენილ ბარტყებს, რომლებიც წრიბინით აგონებენ მშობლებს მათ მოვალეობას. აქვე ბუღობენ და უხეი საკვების გამო კარგად გრძობენ თავს შინაური ბელურები (*Passer domesticus caucasicus* Bogd.); უფრო მორიდებულად უჭირათ თავი მინდვრის ბელურებს (*Passer montanus transcaucasicus* But.). მოუსვენრად ფუსფუსებენ შავი შაშვეები (*Turdus merula atterimus* Mad.), რომლებიც საბინადროდ ირჩევენ ბუჩქნარით დაფარულ ადგილებს. გუნდ-გუნდად ფრენენ ახალგაზრდა და ასაკოვანი დიდი წიფწიები (*Parus major major* L.), რომლებიც დინჯად ათვალიერებენ ყოველ ტოტს, ყოველ ფოთოლს, რომ მოაშორონ მათ მავნე მწერები, მატლები და კვერცხები. ბაღების ხშირი სტუმარია ჩხიკვი (*Garrulus glandarius krynicki* Kolen.), მოლალური (*Oriolus oriolus caucasicus* Sar.), სკვინჩა (*Fringilla coelebs solomkoi* Menzb.), წიწკანა (*Parus coeruleus satunini* Sar.), მწვანე ყარანა (*Phylloscopus nitidus nitidus* Blyth.); აქვე ხშირად შევხვდებით: ბულბულს (*Luscinia luscinia* L.), ჩიტბატონას (*Carduelis carduelis brevisstris* Sar.), ჩეფულებრივ ბოლოცეცხლას (*Phoenicurus phoenicurus phoenicurus* L.), მწვანულას (*Chloris chloris menzbieri* Moltsh.) და სხვ.

ნათესების ორნიტოფაუნა ატარებს მისთვის დამახასიათებელ ხასიათს. ფრინველების სახესხვაობათა შორის რიცხოვნობით პრევალირობენ ტოროლების ორი სახესხვაობა: მინდვრის ტოროლა (*Alauda orvensis cantarella* Bp.) და რუხი ტოროლა (*Calandrella pispoleta pseudohactica* Stegm.). საკმაოდ ხშირად ვხვდებით მინდვრის მწყერ-ჩიტას (*Anthus campestris campestris* L.). ასევე ითქმის მეფეტვის შესახებ (*Emberiza calandra calandra* L.). იშვიათია თავშავა ოვსადი (*Saxicola torquata variegata* Gmel.), რომლის გამუდმებული ჭახჭახი ძალაუფლებურად იპყრობს ადამიანის ყურადღებას.

ატენის ხეობის ფრინველთა უმეტესი ნაწილი ეკუთვნის იმ ფრინველებს, რომელთა ბიოტოპია არის ტყე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იხსნე-

მა იმით, რომ ტყის ზონას უკავია დიდი სივრცე და ამ მხრივ დომინანტობს სხვა სარტყლებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ფაუნა არაერთფეროვანია, რადგანაც თვით ამ სარტყლის ტყეები, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, არაერთნაირია: 1. ფოთლოვანი, 2. ნარევი და 3. წიწვოვანი.

დავიწყებთ ორნიტოფაუნის მიმოხილვას მუხა-არცხილის ქვეზონით. ეს ქვეზონა მდიდარია ატენის ხეობის მასიური მობუდარი სახეობებით, რაც აიხსნება, ერთი მხრივ, ტემპერატურული რეჟიმით (თბილი ზამთარი და შედარებით გრილი ზაფხული), მეორე მხრივ, აგრეთვე იმით, რომ ეს ქვეზონა მდიდარია საკვები მასალის სახსრებით. აქ საკმარისი რაოდენობით ვხვდებით გარეულ ხეხილს. დავისახელებთ ზოგიერთ მათგანს: გარეული მსხალი (*Pyrus caucasica* Fed.), გარეული ბალი (*Cerasus avium* L., *Crataegus monogina* L.). არანაკლები მნიშვნელობისაა ამ მხრივ სხვადასხვა კენკრა-მაყუალი (*Rubus caesius* L.), ანწლი (*Sambucus nigra* L.), მოცვი (*Vaccinium*), ზღმარტლი (*Mespilus*), შინდი (*Cornus mas* L.). მცენარეული საკვების მრავალნაირობა იწვევს უხერხემლოთა სახეობების სიმდიდრეს და პირველ რიგში მწერების, რომლებიც ზოგიერთი ფრინველისთვის უმთავრესი საკვებია. შემდეგ ისიც უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, რომ ეს ქვეზონა ესაზღვრება „კულტურულ ზონას“. აქ ხდება შეერთება ბუნებრივი ლანდშაფტისა „კულტურულ ლანდშაფტთან“. სხვადასხვა მარცვლეულის ნათესები, ბაღები, ბოსტნები და მათთან დაკავშირებული მრავალნაირი და მრავალრიცხოვანი უხერხემლოთა და ზოგიერთ შემთხვევაში ხერხემლიანთა ფაუნაც იზიდავს ფრინველთა შედარებით მრავალ სახეობას. ამ ქვეზონაში რევისტრირებულია 23 სახეობა, როგორც მასიურ მობუდარნი:

დასავლეთის კირიკიტა

Falco tinnunculus tinnunculus L.

კავკასიის ქორი

Astur gentilis caucasicus Klein.

ჩვეულებრივი მიმინო

Accipiter nisus nisus L.

ჩვეულებრივი შავი ძერა

Milvus korschun korschun Gm.

ევროპული დიდი ქედანი

Columba palumbus palumbus L.

ევროპული გვრიტი

Streptopelia turtur turtur L.

ჩვეულებრივი გუგული

Cuculus canorus canorus L.

კავკასიის ბუკოტი

Athene noctua caucasica Zarud.

კავკასიის მწვანე კოდალა

Picus viridis saundersi Tacz.

წვრილნისკარტა დიდი ქრელი კოდალა

Dryobates major tenuirostris But.
 აღმოსავლეთის რუხი ყვავი
Corvus corone sharpii Oates.
 ჩვეულგბრივი ქილყავი
Corvus frugilegus frugilegus L.
 აღმოსავლეთის ქვა

Coloeus monedula soemmeringi Fisch.
 აღმოსავლეთ ევროპის კაჭკაჭი

Pica pica fendorum Lonnb.

კავკასიის ჩხიკვი

Garrulus glandarius krynicki Kalen.

კავკასიის შოშია

Sturnus vulgaris caucasicus Lorenz.

კავკასიის მოლაღურა

Oriolus oriolus caucasicus Sarudny.

კავკასიის მწვანულა

Chloris chloris menzbieri Moltsh.

კავკასიის ჩიტბატონა

Carduelis carduelis brevirostris Sar.

დიდი წიფწივა

Parus major major L.

კავკასიის ლავო

Lanius collurio kolylini But.

კავკასიის თავშავა ბუღბულა

Sylvia atricapilla dammholzi Stres.

კავკასიის შავი შაშვი

Turdus merula aterrimus Mad.

სალამო ეამს ისმის მამრი შაშვის მარტივი, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნო მელოდიური გალობა.

ზოგიერთი ზემოთ აღნიშნული სახესხვაობები თავისთვის და ბარტყების საკმლის მოსაპოვებლად „კულტურულ ზონაში“ მიფრენენ (ქორი, მიმინო, ძერა, კირკიტა).[არიან ისეთებიც, რომლებსაც ბუღიდან გადაფრენილი ბარტყები მიჰყავთ გამოსაკვებად „კულტურულ ზონაში“, საღამოს კი ისევ უბრუნდებიან ტყეს. ასეთებია: ჩიტბატონა, სკეინჩა, მწვანულა, შოშია და სხვ.

წიფლის ტყეების ქვე ზონა. წიფელს ძველი ტყე ღიდ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე თავისი სიღიადით: ცალკეული ხეები, ასწლიანი გოლიათები, სიმაღლით რამდენიმე ათეული მეტრი, მშვიდ ამინდში, თითქოს ღრმად ჩაგონებულნი, თითქმის უძრავად დგანან; მაგრამ საშინელნი არიან ისინი აღელვებული ამინდის დროს, როდესაც ებრძვიან ქარიშხალს, რომელიც წარმოიშობა საღდაც შორს, მაღალ მთებში, იჭრება რა ტყის შუაგულში, წეაქვს სიკვდილი და ნგრევა. ზოგიერთ ამ გოლიათს აქცევს მიწაზე, ზოგიერთს კი ასახიჩრებს.

ექვეარეშეა, წიფლის მალალტანოვანი ტყე შედარებით ღარიბია მო-
ბუდარი ფრინველებით, რაც ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ხშირად გან-
ლაგებული ხეები თავისი გვირგვინით უერთდება ერთმანეთს, ქმნის ქერს და
ამით უშლის მზის სხივებს—ღრმად შეიჭრას ტყეში, ამიტომ აქ გამეფებულია
ბინდიანი განათება. კაკასიის ფაუნის ზოგიერთი მკვლევრის (სატუნინი, სუ-
შკინი) მოწმობით, ეს გარემოება ბევრ ცოცხალ არსზე ცუდად მოქმედებს და
ამის გამო დასავლეთ საქართველოს წიფლის ტყეებს განცვიფრებაში მოჰკავს
იღამიანი თავისი სიჩუმით. თითქმის ასეთივე შთაბეჭდილებას ტოვებს ადა-
მიანზე აღმოსავლეთ საქართველოს წიფლის ტყეებიც. ჩვენი აზრით, წიფლის
ტყეების ჟრინველთა მოსახლეობის სიმცირის მეორე არა ნაკლებ მნიშვნე-
ლოვანი მიზეზია ის გარემოება, რომ აქ ისინი ვერ პოულობენ ისეთ მრავალ-
ნაირ და უხვ საკვებს, როგორც მუხა-რცხილის ტყეებში. ამ ქვეზონაში მასი-
ურად ბუდობენ:

ს ვ ა ვ ი

Aegipius monachus L.

კავკასიის კაკაჩა

Buteo buteo menetriesi Menet.

კავკასიის ტყის ბუ

Strix aluco wilkenskii Menzb.

კავკასიის ჩვეულებრივი კოკობა

Erythrura rubicilla rubicilla Guld.

ევროპის მთის ბოლოქანქალა

Motacilla cinerea cinerea Tunst.

ირანის ჩვეულებრივი მგლინავა

Certhia familiaris persica Sar et Loud.

კავკასიის ჩვეულებრივი ცოცია

Sitta europaea caucasica Reich.

კასპისიქითა მწვანე ყარანა

Phylloscopus nitidus nitidus Blyth.

კავკასიის გულწითელა

Erithacus rubecula caucasicus But.

ნაძე-სოქნარ-ფიქვნარის ქვეზონა. წიფლის ქვეზონის შემოთ-
იწყება ნაძე-სოქნარ-ფიქვნარის ტყეები. ნაძვი და სოჭი, როგორც წესი,
თბილისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით არ ვრცელდება. საქართველოში ამ
ჯიშების გავრცელების აღმოსავლეთ საზღვრად აღიარებულია მერედიანი, რო-
მელიც მდებარეობს თბილისის ახლოს. ამ ქვეზონის ტყეები ძირითადად შედგება
ფიქვისაგან, რომელსაც უერთდება კავკასიის სოჭი (*Abies nordmanniana* Stev) და
აღმოსავლეთის ნაძვი (*Picea orientalis* L. Lynk). ბალახოვანი მცენარეულობა

ლარიზია. ქვეტყე ან სრულებით არ არის და თუ არის, არა ისეთი მრავალფეროვანია, როგორც მუხა-წითლის ტყეებისა

მასობრივად მოზულარი ფრინველებიდან ჩვენ მიერ ნახული იყო შემდეგი სახესხვაობანი:

დიდი ქვეარწივი

Aquila clanga clanga Pall.

ჩვეულებრივი შავი კოდალა

Dryocopus martius martius L.

ვერობული ყორანი

Corvus corax corax L.

ქივქავი

Spinus spinus L.

კავკასიის სტენია

Pyrrhula pyrrhula rossikovi Derugin.

კავკასიის მარწუხა

Loxia curvirostra caucasica But.

მცირე აზიის შავთავა ცოცია

Sitta canadensis krüperi Pelz.

კავკასიის ყვითელთავა ნარჩიტა

Regulus regulus buturlini Loud.

ვერობული ჩხართვი

Turdus viscivorus viscivorus L.

კავკასიის ჩვეულებრივი წყლის შაშვი

Cinclus cinclus caucasicus Mad.

ამ ქვეზონის ორნიტოფაუნის მასობრივად მოზულარ სახეობათა განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ კარგად გამოხატულ პესიზმთან დაკავშირებით ადგილი აქვს საკმარისად მკაცრ გადარჩევას. აქ ვხვდებით ფრინველთა ისეთ სახეობებს, რომელთა არსებობა მკიდროდ დაკავშირებულია წიწვოვან ტყეებთან (კავკასიის მარწუხა, მცირე აზიის შავთავა ცოცია, ქივქავი) ან უპირატესობას აძლევენ ამგვარ ტყეებს (კავკასიის ყვითელთავა ნარჩიტა, კავკასიის სტენია). საბოლოოდ აქ ვპოულობთ ისეთ სახეობებს, რომლებიც წიწვოვან ტყეს ირჩევენ როგორც საზულარ ადგილს (ყორანი, ჩხართვი, ლიღი ქვეარწივი). ძირითადად კი ისინი საკვებს პოულობენ ამ ქვეზონის გარეშე.

სუბალპების მეჩხერი ტყის ქვეზონა. ამ ქვეზონის ტყეები ძირითადად შედგება შემდეგი ჯიშებისაგან: მაღალი მთების ნეკერჩხალი (*Acer Trautvetteri* Medv.), არყის ხე (*Betula pubescens* Ehrh.), კნავი (*Sorbus aucuparia*). ცალკეული ხეები გაფანტულია მთების კალთებზე, რომლებიც დაფარულია მდიდარი ბალახეული მცენარეებით. ამ ბალახეულ მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობა მდიდარია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათთვის დამახასიათებელი მასობრივად მოზულარი ფრინველები მცირეა:

კავკასიის როჭო

Lyrurus mlokosiewiczi Tazan.

ვერობული შავი მეკირიე

Apus apus apus L.

თავწილა

Serinus pusillus Pall.

კავკასიის მთის ქეროზა

Emberisa cia prageri Laubm

კავკასიის რუხი ბულბულა

Sylvia communis icterops Mén.

კავკასიის ტყის ჭვინტაკა

Prunella modularis obscura Habl.

კავკასიის ყელთეთრა შაშვი

Turdus torquatus amicornum Hart.

დასავლეთის მთის მერცხალი

Riparia riparia rupestris Scop.

ამ სახეობებიდან ზოგიერთნი (თავწილა, კავკასიის რუხი ბულბულა, კავკასიის ტყის ჭვინტაკა), როგორც ერთეული მოზღდარი, მოიპოვებიან ქვე-მთ მდებარე ქვეზონაშიც.

მთების ფაუნა ძალიან თავისებური და საინტერესოა როგორც ზოო-გეოგრაფიული, ისე ბიოეკოლოგიური თვალსაზრისით. მთის ფაუნის სპე-ციფიკური ნიშნები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია უმაღლეს მთებ-ში, სუბალპურ და ალპურ ზონაში. ალპური ზონა იძლევა საუკეთე-სო მავალითს—გარემოს მოდიფიცირებულ ზეგავლენას ცხოველებზე, რადგა-ნაც ის წარმოადგენს უკიდურესი პირობების კომბინაციის და ნაკლებად გა-ნიცდის ადამიანის ზეგავლენას. ამასთან დაკავშირებით, ნიადაგისა და ჰავის მკაცრი პირობები, ქვედა ზონებთან შედარებით დიდი სიღარიბე და ერთნა-ირობა მცენარეული საფარისა ქმნის მკაფიოდ გამოხატულ პესიმუმს. ამის გა-მო ცხადი ხდება თანდათანობითი სტენოზოოტურ სახეობათა რიცხვის გა-დიდება.

სუბალპური და ალპური ზონების ორნიტოფაუნის სახეობათა და ქვესა-ხეობათა სეზონური შემადგენლობა დიდ მერყეობას განიცდის. შემოდგომის დადგომისას ფრინველთა მოსახლეობა საკმარისად მცირდება (მოზაფხულე ფრინველების გაფარება). ზამთარში აქ რჩებიან მხოლოდ მოზინადრე და ისიც არა ყველა. თითქმის მთელი მალაღი მთების ორნიტოფაუნა იწვევს ქვემთ და საკმარისად ღრმად იჭრება ტყის სარტყელში.

სუბალპური ქვეზონა. მეჩხერ ტყიდან ამ ქვეზონაში შეჭრილია როგორც ცალკეული ხეები, ისე სხვადასხვა სახის ბუჩქნარი, მავალითად: არ-ყის ხე, მალაღი მთების ნეკერჩხალი, ქნავი. მცენარეულობის დამახასიათე-ბელი ფორმაციაა მალაღი ბალახიანობა (წამყვანი მცენარეები *Aconitum hasusatum*, *Aconitum orientale*, *Cicerbita macrophylla*). ამ ქვეზონისათვის დამახა-

სიათბებელია აგრეთვე კავკასიის დეკა (*Rhododendron caucasicum*), რომელსაც უკავია ამ ქვეზონის საკმარისად ფართო ზოლი.

მასობრივად მოზუდარი ფრინველები

კავკასიის შავარდენი

Falco peregrinus caucasicus Kl.

ჩვეულებრივი ფასკუნჯი

Neophron percnopterus percnopterus L.

ვერობული გარეული მტრელი

Columba neglecta livia Hume.

შუა აზიის მთის მწყერჩიტა

Anthus spinoletta blakistoni Sw.

წითელფრთიანი კლდეცოცია

Tichodroma muraria muraria L.

სკანდინავიის ქედია-ყარანა

Phylloscopus collybitus abietinus Nelson.

ვერობული ჭრელი კლდის შაშვი

Monticola saxatilis saxatilis L.

ვერობული მდელოს ოვსადი

Saxicola rubetra rubetra L.

მოზუდარი ფრინველები

S ნიშნით აღნიშნულია მოზინადრე ფრინველები

n " " მოზაფხულე ფრინველები

Falco peregrinus caucasicus—s

Falco tinnunculus tinnunculus—n

Accipiter nisus nisus—s

Astur gentilis caucasicus—s

Milvus korchun korschun—s

Aegipius monachus—s

Neophron percnopterus percnopterus—n

Gyps fulvus fulvus—s

Buteo buteo menetriesi—s

Aquila clanga clanga—s

Coturnix coturnix coturnix—n

Alectoris kakelik caucasicus—s

Lyrurus mlokosiewizei—s

Crex crex—n

Tringa ocropus—s

Streptopelia turtur turtur—n

Columba palumbus palumbus—s

Columba neglecta livia—s

- Bubo bubo interpositus*—s
Athene noctua caucasica—n
Cuculus canorus canorus—n
Caprimulgus europaeus meridionalis—n
Apus apus apus—n
Upupa epops epops—n
Dryobates major tenuirostris—s
Picus viridis saundersi—s
Corvus corax corax—s
Corvus corone sharpii—s
Corvus frugilegus frugilegus—s
Coloeus monedula soemmeringi—s
Pica pica fenorum—s
Garrulus glandarius Krynicki—s
Pyrrhonorax pyrrhonorax do cilis—s
Sturnus vulgaris caucasicus—s
Oriolus oriolus caucasicus—n
Chloris chloris menzbieri—n
Carduelis carduelis brevirostris—s
Spinus spinus—s
Acanthis cannabina bella—s
Serinus pusillus—s
Pyrrhula pyrrhula rossikovi—s
Erythrina erythrina cubanensis—n
Loxia curvirostra caucasica—s
Fringilla coelebs solomkoi—s
Passer domesticus caucasicus—s
Passer montanus transcaucasicus—s
Emberiza calandra calandra—n
Emberiza cia prageri—s
Alauda arvensis cantarella—n
Calandrella pispolleta pseudobaetica—n
Anthus campestris campestris—s
Motacilla alba alba—n
Eremophila alpestris penicillata—s
Anthus spinoletta blakistoni—n
Motacilla cinerea cinerea—s
Tichodroma muraria muraria—s
Certhia familiaris persica—s
Sitta europaea caucasica—s
Sitta canadensis krüperi—s
Parus major major—s

Parus coeruleus satunini—
Parus ater michalowskii—
Aegithalos candatus major—
Regulus regulus buturlini—
Lanius collurio kobylini—
Muscicapa striata neumanni—
Phylloscopus collybitus abietinus—
Phylloscopus nitidus nitidus—
Sylvia atricapilla dammholzi—
Sylvia communis icterops—
Sylvia nisoria—
Turdus viscivorus viscivorus—
Turdus ericetorum phylomelos—
Turdus torquatus amicornum—
Turdus merula aterrimus—
Monticola saxatilis saxatilis—
Oenanthe oenanthe oenanthe—
Saxicola torquata variegata—
Saxicola rubetra rubetra—
Phoenicurus phoenicurus proenicurus—
Luscinia luscinia—
Erithacus rubecula caucasicus—
Prunella modularis obscura—
Troglodytes troglodytes hircanus—
Cinclus cinclus caucasicus—
Hirundo rustica rustica—
Delichon urbica meridionalis—
Riparia rupestris rupestris—
Riparia riparia riparia—

როგორც ზემოთ მოყვანილი სიდიდან ჩანს, ატენის ხეობაში ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მოზუდარ ფრინველთა 89,1 პროცენტი. ამათგან მოზინადრეა 49 (55,5%), მოზაფხულე — 40 (44,5%).

უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ მოყვანილ ფრინველთა სია მთლიანად არ ამოწურავს ატენის ხეობაში მოზუდარ სახეობებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათი უმეტესობა აღნიშნულია.

ატენის ხეობაში მოზუდარ ფრინველთა ზოონომობრაჟიული ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ატენის ხეობა მდიდარია ლანდშაფტებში, მასასადავამე ბიოტოპებითაც. კარგად გამოხატულ ვერტიკალურ ზონალობასთან ერთად მხედველობაში მიღებული უნდა იყოს აგრეთვე მთელა რიგი ფაქტორები, რომლებიც არღვევს ამ ზონალობას, კერძოდ, დისავლეუთის ქარები. ამ უკანასკნელებს მოაქვთ ატენის ხეობის ნალექთა უმეტესი ნაწილი. ამასთან ერთად



შეაფიოდ გამოხატულ ზონალობაზე ზეგავლენას ახდენს გეოგრაფიული განედი, რომელიც ზემოქმედებს ისეთ პატარა ტერიტორიაზე, როგორცაა ატენის ხეობა. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა ატენის ხეობის ორნიტოფუნის განლაგება ლანდშაფტების საფუძველზე.

ახლა შევეცდებით გამოვარკვიოთ, ფაუნის რა ტიპებს ეკუთვნის ეს ორნიტოფუნა. პირველ რიგში აღვნიშნავთ პალეარქტიკაში ფართოდ გავრცელებულ ფორმებს:

- Falco peregrinus
- Falco tinnunculus
- Milvus milvus
- Coturnix coturnix
- Cuculus canorus
- Upupa epops
- Athene noctua
- Bubo bubo
- Dryobates major
- Corvus corax.
- Corvus corone
- Pica pica
- Coloeus monedula
- Pyrhocorax pyrhocorax
- Oriolus oriolus
- Passer domesticus
- Passer montanus
- Alauda arvensis
- Calandrella pispoleta
- Eremophila alpestris
- Anthus campestris
- Anthus spinoletta
- Motacilla cinerea
- Motacilla alba
- Parus major
- Regulus regulus
- Tichodroma muraria
- Monticola saxatilis
- Oenanthe oenanthe
- Cinclus cinclus
- Troglodytes troglodytes
- Turdus viscivorus
- Hirundo rustica
- Delichon urbica

53027





Riparia rupestris

Riparia riparia

ამგვარად, პალეარქტიკაში ფართოდ გავრცელებულ ფორმებს ეკუთვნის

36 (40,4%)

ხმელთაშუა ზღვის ფორმები თვალსაჩინოდ კარობენ როგორც რიცხობრივად, ისე თავისი მნიშვნელობით.

ამ ჯგუფს ეკუთვნიან:

Accipiter nisus

Astur gentilis

Aegipius monachus

Neophron percnopterus

Gyps fulvus

Buteo buteo

Aquila clanga

Alectoris kakelik

Crex crex

Tringa ocropus

Streptopelia turtur

Columba palumbus

Columba neglecta

Athena—noctua

Caprimulgus europaeus

Apus apus

Picus viridis

Corvus frugilegus

Garrulus glandarius

Sturnus vulgaris

Chloris chloris

Carduelis carduelis

Spinus spinus

Acanthis cannabina

Serinus pusillus

Pyrrhula pyrrhula

Erythrura erythrura

Loxia carvirosta

Fringilla coelebs

Emberiza calandra

Emberiza cia prageri

Certhia familiaris

Sitta europaea

Sitta canadensis

Parus coeruleus



- Parus ater*
Aegithalos caudatus
Lanius collurio
Muscicapa striata
Phylloscopus collybitus
Phylloscopus nitidus
Sylvia atricapilla
Sylvia communis
Turdus ericetorum
Turdus torquatus
Turdus merula
Saxicola torquata
Saxicola rubetra
Phoenicurus phoenicurus
Luscinia luscinia
Erithacus rubeculus
Prunella modularis

ამგვარად, ხმელთაშუა ზღვის დაჯგუფებას ეკუთვნის 52 ფორმა (58,4%) .

კავკასიის ენდემურ ფორმებს ეკუთვნიან

- Pyrrhula pyrrhula rossikovi* Derjugin
Loxia curvirostra caucasica But.
Passer domesticus causicus Bogd.
Sitta europaea caucasica Beich.
Erithacus rubeculus causicus But
Lyrurus mlokosiewizā Tacz.

დასკვნა

მეფის დროს ქართლის ორნიტოფაუნა, ბორჯომის რაიონის, მცხეთისა და სურამის მიდამოების გამოკლებით, ძირითად შემადგენელ საქართველო ფრინველთა მრავალს წარმოადგენს ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო მისი შესწავლა რაიონების მიხედვით.

როგორც ცნობილია, ოროგრაფია, ჰავა და მცენარეულობა სამი ძირითადი მომენტია იმ ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების რთული კომპლექსისა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფაუნის ჩამოყალიბების პროცესზე, აგრეთვე მის განსახლებაზე და თანამედროვე მდგომარეობაზე.

თავისი რელიეფით ატენის ხეობა (გორის რაიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი) ტიპური მთიანი მხარეა და დასერილია მრავალი პატარა ხეობით. ველთან ნაწილს შედარებით უმნიშვნელო ფართობი უჭირავს.

მდინარეებსა და ტბებს, როგორც ატენის ხეობის ორნიტოფაუნის შემადგენლობის განმსაზღვრელ ფაქტორს, მცირე მნიშვნელობა ენიჭება, რადგან

ნაც ისინი ვერ ქმნიან ფრინველებისთვის საკმლის მოპოვების საპიროპირობებს.

ატენის ხეობის ჰავა წარმოადგენს კრელ და რთულ სურათს. ეს მოვლენა მკვიდრო კავშირშია მის რელიეფთან. ატმოსფერული ნალექები წლის განმავლობაში შედარებით მცირეა (650 მმ საშუალოდ). თოვლის ფენის სისქე ძალიან ცვალებადია და უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია ადგილის სიმაღლესა და ქარების მიმართულებასთან.

ატენის ხეობის ფლორა სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით საკმარისად მრავალნაირია და ამიტომაც ჩვენ ზოგადად ვეხებით მხოლოდ სამ მთავარ სარტყელს: 1. კულტურული რაიონის, 2. ტყისა და 3. სუბალპური სარტყელი.

თითოეული სარტყელი აღინიშნება მისთვის დამახასიათებელ მასობრივად მოპუდარი სახესხვაობებით. მაგალითად, კულტურული რაიონი: შინაური ბელურა, მინდვრის ბელურა, მოლალური, შოშია, მინდვრის ტოროლა, რუხი ტოროლა და სხვ.

ტყის სარტყელი: დიდი ქრელი კოდალა, მწვანე კოდალა, კავკასიის სტენია, კივკავი, კავკასიის მარწუხა და სხვ.

სუბალპური სარტყელი: კავკასიის შავარდენი, კავკასიის როკო, ორბი, კავკასიის ყელეთორა შაშვი, ევროპული კლდის შაშვი, შუა აზიის მთის მწვერ-ჩიტა.

ატენის ხეობის მობუდარ ფრინველთა მიმოხილვა მოწმობს იმას, რომ ეს ხეობა საქმარისად მდიდარია მობუდარი ფორმებით — 89 ფორმა, რაც შეადგენს აღმოსავლეთ საქართველოში მობუდარ ფრინველთა 46,3% -ს.

ატენის ხეობის მობუდარი ფრინველები ანალიზირებული იმ თვალსაზრისით, თუ რა შეფარდებაა მობინადრე და მოზაფხულე ფორმათა შორის, გვაძლევს შემდეგ სურათს: მობინადრე ფრინველების რიცხვი უდრის 49 (55,5%), ხოლო მოზაფხულე ფორმათა რიცხვი აღწევს 40 (44,5%).

ატენის ხეობის ორნიტოფაუნის ზოოგეოგრაფიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის არ არის ერთგვარი: საგრძნობი ნაწილი ეკუთვნის პალეარქტიკაში ფართოდ გავრცელებულ სახეობებს — 36 (40,4%). კარგად წარმოდგენილია ხმელთაშუა ზღვის ელემენტები — 53 (59,6%). ენდემურ ფორმათა რიცხვი უდრის 6.

И. Д. ЧХИКВИШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ПТИЦ АТЕНСКОГО УЩЕЛЬЯ

Резюме

До установления советской власти фауна Картли, за исключением некоторых районов, не была изучена. Зоологический отдел Государственного музея Грузии, исходя из своего пятилетнего научно-исследовательского плана, снарядил экспедицию в Горийский район. Центром своей исследовательской работы экспедиция избрала Атенское ущелье, которое 50 лет тому назад славилась в Картли своими дремучими лесами. Благодаря хищнической

эксплоатации их в царское время, а за тем во время господства меньшевиков, эти леса очень пострадали.

Физико-географические условия Атенского ущелья настолько разнообразны, что распределение представителей местной орнитофауны по отдельным биотопам представляет значительную трудность, и поэтому с этой точки зрения автор делит Атенское ущелье на 3 основные зоны: 1. Зона культурных растений, 2. Зона леса, 3. Зона субальпийской растительности.

Каждая из этих зон характеризуется массово-гнездящимися видами, например, для культурной зоны характерны: домашний воробей, иволга, скворец, серый жаворонок, полевой жаворонок, зяблик и др.

Для лесной зоны с этой целью могут быть отмечены: большой пестрый дятел, зеленый дятел, черный дятел, поползень, пищуха, вертишейка и др.

Субальпийская зона представлена целым рядом видов птиц, находящихся здесь наилучшие условия для своего гнездования, таковыми являются: кавказский тетерев, белозобый дрозд, горная щеврица, пестрый каменный дрозд и др.

Приведенные в настоящей работе данные по систематике птиц выявляют, что гнездящаяся орнитофауна этого ущелья довольно богата формами (89); преобладают оседлые 49 (55,5%), количество же летующих их доходит до 40 (44,5%). Численное превосходство первой группы, по нашему мнению, объясняется тем, что птицы Атенского ущелья находят здесь наилучшие экологические условия для своего существования.

Анализ птиц Атенского ущелья с зоогеографической точки зрения дает следующую картину: число видов широко распространенных в Палеарктике доходит до 76 (85,4%).

Необходимо внести в эту сводку некоторый корректив, а именно: есть виды, которые без всяких комментариев оправдывают название «широко распространенные» (ворон, сапсан и другие) и, наоборот, среди них имеются формы, которые встречаются только в южной части Палеарктики (иволга, домовый сыч и др.). Средиземноморские формы представлены довольно полно 53 (59,6%). Количество же эндемичных форм доходит до 6, что в сравнении с числом эндемичных форм Кавказа значительно.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. Б. კეცხოველი. საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები. თბილისი, 1935.
2. არ. ჯანაშვილი. ზოოგეოგრაფია. თბილისი, 1946.
3. ი. ჩხიკვიშვილი. მასალები ზეგურეთის ფაუნის შესწავლისათვის (ფრინველები და ძუძუმწოვრები). საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI-A, თბილისი, 1941.
4. ი. ჩხიკვიშვილი. საქართველოს ფრინველები. საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XIV-A, 1949.
5. В. Б. Баянковский. К орнитофауне Закавказья, преимущественно Тифлисской губернии (с. 2 таб.). Известия Кавказ. Музея. т. VII. 1913.
6. М. Н. Богданов. Птицы Кавказа, Труды общ. Естествоиспытателей при Казанском университете. т. VIII, вып. 4. Казань. 1879.
7. С. А. Бутурлин и Г. П. Деменьтев. Полный определитель птиц СССР, М.—Л., т. I, 1934; т. II, 1935; т. III, 1936; т. IV, 1937.

8. Михайловский. Орнитологические наблюдения в Закавказьи летом 1878 г. Отдельный оттиск из тома XI Трудов. С.-Петербург. общ. естеств., СПб. 1879.
9. П. Г. Сакварелидзе. Заметки о птицах Горийского уезда (Тифлисска, губернии) Бюлет. тифл. общ. любителей природы, № 4. 1913.
10. К. А. Сатуни. Материалы к познанию птиц Кавказского Края. (Записки Кавк. отд. Имп. Русского географич. общ., т. XXVI, вып. 3. 1907.
11. К. А. Сатуни. Систематический каталог птиц Кавказского края. «Записки Русского Географического Общества», т. XVIII, 1911.
12. Г. И. Радде. Орнитологическая фауна Кавказа (*Ornis caucasica*). Систематическое и биолого-географическое описание кавказ. птиц. Тифлис. 1885. (На титульном листе 1884).
13. И. Д. Чхиквишвили. Материалы по орнитофауне Джавахетии. Зак. филиал Академии Наук СССР, Тбилиси. 1933.
14. И. Д. Чхиквишвили. Некоторые данные о вертикальном распространении птиц Кавказа. Вестник Государственного Музея Грузии, т. XII-A, Тбилиси. 1945.

3. პაპაშვილი

კავკასიის ფლორის რთულყვავილოვანთა ოჯახის აუტენტისებრი

კავკასია თავისი მრავალფეროვანი და მდიდარი მცენარეულობით ძველი დროიდანვე იწვევდა დიდ ინტერესს მკვლევართა შორის. ამითაა გამოწვეული, რომ კავკასიის ფლორის აუტენტისები ინახება სხვადასხვა ჰერბარიუმში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. ამიტომ ყველა აუტენტისი მისაწვდომი არაა კავკასიის ფლორის მკვლევრებისათვის.

აუტენტისები წარმოადგენს ჰერბარიუმის უძვირფასეს განძს. ეს სწორედ ის ნიმუშებია, რომელთა მიხედვით მოხდა მცენარის პირველი მცენარეული აღწერა.

აუტენტისების შესწავლა ხელს შეუწყობს სახეობის ზუსტ სისტემატიკურ განსაზღვრას და მის პრაქტიკულად გამოყენების საქმესაც დაეხმარება.

პირველი შრომა აუტენტისებზე ეკუთვნის აკად. დ. სოსნოვსკის, რომელმაც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საკოლექციო ფონდებიდან დაამუშავა კავკასიის ფლორის აუტენტისების ერთი ნაწილი, სახელდობრ, გვარი „მუხა“. სტევენის მასალების მიხედვით. [14]. ამ შრომის შესახებ აკად. ა. გროსპეიმი აღნიშნავს, რომ „კატალოგების გამოცემა აუტენტისების დეტალური აღწერით დიდ სარგებლობას მოუტანს კავკასიის ფლორის ყველა მკვლევარს და დროთა განმავლობაში ის კავკასიის ფლორაზე მომუშავე ყოველი ბოტანიკოსისათვის უშუალოდ უსაქიროეს წიგნად გადაიქცევა“ [3].

ზემოთქმულის საფუძველზე და აკად. დ. სოსნოვსკის რჩევით, ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით გაგვეგრძელებინა მის მიერ დაწყებული საქმე.

აუტენტისების აღწერა დაეწევეთ რთულყვავილოვანთა ოჯახიდან, ვინაიდან ამ თვალსაზრისით ეს ოჯახი სრულიად არაა განხილული და შესწავლილი.

აუტენტისების დადგენას ვაწარმოებდით ლიტერატურული მასალებისა და ჰერბარიუმის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ავტორის მიერ მოცემული დედანი დიაგნოზი კლასიკური ადგილსამყოფელია შეესაბამება ჰერბარიუმში მოცემულ მცენარეს და მისი ეტიკეტის შინაარსს, ჩვენთვის უდავო იყო აუტენტისის არსებობა. რიგ შემთხვევაში გვერდებოდა განსაკუთრებული სიფრთხილე და კრიტიკული მიდგომა, ვინაიდან ზოგჯერ თავსებობა თანამედროვე ნომენკლატურის მიხედვით სხვა სახელწოდებით იყო მოყვანილი ლიტერატურაში ან სახეხვობა აღწერილი იყო დამოუკიდებელ სახეობად.

რთულყვავილოვანთა ოჯახის აუტენტისების დამუშავების შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელ-



მწიფო მუზეუმის ჰერბარიუმი, ძველი ავტორების მიერ აღწერილი, ამ მუზეუმში
აუტენტიკური ეგზემპლარების საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს.

წინამდებარე შრომაში პირველ რიგში ვაქვეყნებთ ამ ოჯახის 13 სახე-
ობის აუტენტიკს, დაცულს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელ-
მწიფო მუზეუმში. ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება ამ ოჯახის და-
ნარჩენი აუტენტიკებიც.

დასასრულ, მოვალედ ვთვლი ჩემს თავს აღვნიშნო, რომ ამ შრომის შე-
სრულებაში დიდი დახმარება გამიწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-
დემიის ნამდვილმა წევრმა, ამჟამად განსვენებულმა პროფ. დ. სოსნოვსკიმ.

აუტენტიკების აღწერა

1. *Anthemis Emiliae* D. Sosn. Изв. Кавк. Музея, т. X, вып. 4 (1917), 289.

Sect. *Euanthemis* Boiss.

Flora Orientalis t. III (1875) 278.

კლასიკური ადგილსამყოფელი: თბილისი, გორის რაიონი, მდ. ტანას
ხეობა, სოფელ ატენის მახლობლად.

Locus classicus: Prov. Tiflis. distr. Gori in valle fl. Tana prope p.
Ateni.

ტიპი დაცულია თბილისში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმში.

დედანი დიაგნოზი: *Anthemis Emiliae* D. Sosn. Perennis, tota adpresse
canescens, rhizomate repente lignoso polycephalo caules flori feras fascicu-
losque foliorum sterilium edente; caulibus ad 25 cm. altis e basi subsuccedenti
erectis simplicibus vel infra medium subdichotome ramosis, ramis strictissimis.
caulibus infra medium foliatis tota longitudine striatis adpressiuscule pilosis;
foliis inferioribus fasciculorumque longe petiolatis, cum petiolis ad 35—70 mm.
longis, petiolis basi subdilatis, lamina ambitu obovata, bipinnatisecta rachide
anguste alata, segmentis obovatis longiuscule petilulatis in lacinulas paucas ob-
tusas apice muticas sectis, intermediis paucis subsimpliciter pinnatisectis, su-
perioribus simplicibus lineari—oblongis linearibusve squamiformibus, capitulis
mediocribus ad 15 mm. latis ad apicem caulis solitariis, longissime pedicella-
tis, involucre hemisphaerico parce et adpressiuscule piloso, phyllis ab infimis
triangularibus ad intima lineari—oblonga sensim auctis margine anguste mem-
branaceis erosulis sphacelatis, dorso subcarinatis ad carinam bruceis; ligulis la-
te ellipticis albis apice truncatis subintegris 5-nerviis, discum aequantibus v.
superantibus, receptaculo conico apice acuto, paleis lanceolatis apice acuminat-
is cymbae formibus dorso carinatis achaeniis obpyramidato—tetragonis. subin-
curvis, striatis parcessime pilosulis, scrobiculatis, corona obliqua margine ero-
sula achaenii 1.3—1.4 aequante.



Hab. Prov. Tiflis distr. Gori, in valle fl. Tana prope p. Ateni, ripa sinistra, ad rupes. 24.V.10. fl. fr. legit. cl. G. Woronow.

Anthemis Emiliae D. Sosn.

ანტენტიკი № 1814

ზემოაღნიშნული ნიმუში შეიცავს ერთ საჭერბაროო ფურცელს, რომელიც მოთავსებულია სქელ ქაღალდის ყდაში, ამ უკანასკნელზე ქვედა ნაწილში, მარცხნივ დაწერილია ჰერბარიუმის ნომერი „1814“, ხოლო მარჯვნივ კი მცენარის სახელწოდება „*Anthemis Emiliae* D. Sosn. n. sp.“

ნაცრისფერ სქელ ქაღალდზე (48×29 სმ) დამაგრებულია ერთი მცენარე, რომლის სიგრძე 32 სმ უდრის. მცენარე აღებულია ყვავილობის პერიოდში, აქვს ხუთი ღერო, ორ ღეროზე თითო კალათაა. დანარჩენ სამ ღეროზე კალათები მოტეხილია და ჰერბარიუმში დაცული არაა. ფოთლები უმთავრესად ღეროს ქვედა ნაწილშია განლაგებული. მათი ზომა 5 სმ არ აღემატება. საყვავილე კალათები სრულადაა დაცული (გარეთ საბურველი, შიგნით ენისებრი და მილისებრი ყვავილები). მცენარის ფესვის ზომა 7 სმ.

საჭერბაროო ფურცელზე ქვედა ნაწილში, მარცხენა მხარეზე მოთავსებულია თეთრი ეტიკეტი, ზომით 11×8 სმ. მასზე დაბეჭდილია „G. Woronow Herbarium caucasicum“.

ამ წარწერის შემდეგ დაწერილია „*Anthemis Emiliae* D. Sosn. n. sp. Тифлисск. г. Горийск. у. Ушеляе р. Тани близ с. Атени. Левый берег на склонах 24.V.1910. Leg. Ю. В. Det.: D. Sosnowsky“. ეტიკეტზე ზედა ნაწილში იისფერი მელნით დაკრულია ჰერბარიუმის შტამპი „Museum caucasicum“.

იზრდება კლდოვან ფერდობებზე მთის შუა სარტყელში. საქართველოს გნდემი.

2. *Anthemis Saportana*, N. Alb. in Bull. Herb. Boiss., t. III (1895), 92.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აფხაზეთი, შოა ალექიტუკო.

Locus classicus: Abchasia et Circasiae m. Adzituco.

ტიპი ინახება ჟენევაში, ბუასიეს ჰერბარიუმში.

იზოტიპი დაცულია თბილისში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

დედანი დიაგნოზი: *Anthemis Saportana* N. Alb. Tota pubescens interdum subtomentosa, ad folia adpresse villosa, rhizomantibus induratis squamulosis valde ramosis caules fertiles rosularum et radicalibus ovato—cuneatis tantum foliosis monocephalis; foliis rosularum et radicalibus ovato—cuneatis in petiolum longe attenuatis in laciniis late lineares obtusiusculas apice interdum 2—3 dentatus subpalmatim pinnato incisus; foliis caulinis breviter petio-

jatis cuneato-oblongis in laciniis paucas lineares vel lineari—triangulares mucronulatas interdum bidentatus inter se distantes sursum porrectas pinnatim—incisus; superioribus angustioribus minus incisus vel subintegris; capitulis majusculis involucri parce albo-hirsuti phyllis nigromarginatis ab externis triangulari-lanceolatis ad intima obovato-lanceolata margine late scariosa minute incisa sublacera sensim auctis; paleis lineari spathulatis apice nigrescente laceris mucronulatis; ligulis albis oblongo-ellipticis ellipticisve discum aequantibus; acheniis sulcatis basi attenuatis corona eis sub 5-plo brevior crenulata terminatis.

Hab. ad limites Abchasiae, et Circassiae, ad rupes excelsas jugi Adzituko, alt. 2900—3000 m. (N. A. 1894. Exs. № 227).

Anthemis Saportana N. Alb.

აღნიშნული ეგზემპლარი შეიცავს ორ საჭერბარო ფურცელს, რომლებიც მოთავსებულია ერთ სქელ ქაღალდის ყდაში. მასზე ქვედა ნაწილში, მარცხენა მხარეზე დაწერილია ჰერბარიუმის რიგითი ნომერი „1839—1840“ და მცენარის სახელწოდება „*Anthemis Saportana* N. Alb.“

აუტენტიკი № 1839

სქელ ნაცრისფერ ქაღალდზე (46×27 სმ) დამაგრებულია ხუთი მცენარე, რომელთა სიმაღლე 10—18 სმ ფარგლებში მერყეობს. ოთხი მცენარე საჭერბარო ფურცლის ზედა ნაწილშია დამაგრებული, ერთი კი ქვედა ნაწილში. ფოთლები უმთავრესად ღეროს შუა ნაწილშია განლაგებული, ჰერბარიუმში ფოთლების ფირფიტები სრულად არაა წარმოდგენილი. ფოთლების ზომა 1—11 სმ არ აღემატება. ფოთლები ღრმად დანაკეთული ფირფიტებითაა ღერო ქვედა ნაწილში გახევებულია. ყველა მცენარე უფესვიდაა აღებული.

ხუთ მცენარეს შორის ორს აქვს კალათა. მათში მარჯვენა მხარეს დამაგრებულ მცენარეზე, მხოლოდ კალათის ნახევარი ნაწილია დაცული. მარცხენა მხარეს მოთავსებულ მცენარეზე კალათა სრულადაა წარმოდგენილი (საბურველი, ენისებრი და მილისებრი ყვავილები).

საჭერბარო ფურცელზე ქვედა ნაწილში, მარჯვენა მხარეზე მოთავსებულია სამი სხვადასხვა ზომის თეთრი ფერის ეტიკეტი. პირველი ეტიკეტი 13,5×8,5 სმ ზომისაა, რომლის ზედა ნაწილში დაბეჭდილია „საქართველოს მუზეუმის ჰერბარიუმი — Herbarium Musei Georgici; Flora, caucasica“. მეორე ეტიკეტი, რომელიც პიველ ეტიკეტზეა დამაგრებული, ზომით უფრო პატარაა (6,5×4 სმ). ამ უკანასკნელზე ალბოგის მიერ შავი ფანქრით დაწერილია „*Anthemis* nov. sp.; *A. pauciloba* Boiss. proxim. N. Alboff. 10.X.1894.“ პირველი ეტიკეტის მარჯვნივ მოთავსებულია მესამე ეტიკეტი ზომით 7,5×4 სმ, რომელზედაც შავი მელნით დაბეჭდილია „*Notae criticae*“. ამ წარწერის შემდეგ

გ. ვორონოვის მიერ დაწერილია მცენარის სახელწოდება „*Anthemis Saportana* Alb. G. Woronow“ (ეს უკანასკნელი სიტყვა დაბეჭდილია).

საჭერბარო ფურცელზე ქვედა ნაწილში, მარჯვენე შავი ფანქრით დაწერილია ჰერბარიუმის ნომერი „1839“.

აუტენტიკი № 1840

სქელ ქაღალდზე დამაგრებულია ორი მცენარე. პირველი მცენარე, რომელიც მოთავსებულია საჭერბარო ფურცლის მარცხენა მხარეს, სიმაღლით 21 სანტიმეტრია, უფესვოა და უყვავილო. ღერო ერთია, რომელზედაც სამი ფოთოლია. ფოთლები ღეროს ქვედა ნაწილში მორიგეობითაა განლაგებული.

მეორე მცენარე საჭერბარო ფურცელზე მარჯვენა მხარესაა მოთავსებული. მცენარე წარმოდგენილია 5 ფოთლით და ფესვის მთავარი ღერძით. ფოთლები ღრმად დანაკეთულია. მათი სიგრძე ყუნწითურთ 3—4 სმ ფარგლებში მერყეობს. საჭერბარო ფურცელზე მარჯვენა მხარეს მოთავსებულია თეთრი ეტიკეტი, ზომით 9×7 სმ. მასზე ზედა ნაწილში შავი მელნით დაბეჭდილია „*Herbarium caucasicum*“. ამ წარწერის ქვეშ ალბოვის ხელით დაწერილია „*Anthemis n. sp. Г. Алжигуко, Архазия 3005 м. 6.IX.1894. legit. N. Alboff*“.

ჰერბარიუმზე აღნიშნულია სამუხეუმო საინვენტარო ნომერი „1840“.

შენიშვნა: სახეობა *Anthemis Saportana* N. Alb.-ის ზემოაღწერილი აუტენტისებები დედან დიავნოზში მოცემულ მორფოლოგიურ ნიშნებს და ადგილსამყოფელს მთლიანად შეესაბამება, მაგრამ მასზე არ არის აღნიშნული ავტორის ჰერბარიუმის ნომერი 227. ამის გამო ჩვენ ამ ეგზემპლარებს ვთვლით აუტენტისებობიანად, ე. ი. დედანი ნიმუშის ასლად.

იზრდება ალპურ ზონაში კლდეებზე, დასავლეთ ამიერკავკასიის ენდემი.

3. *Anthemis zyghia* G. Woronow. Изв. Кавк. Музея, т. XI (1917), 19.

კლასიკური ადგილსამყოფელი: აფხაზეთი, მთა პშიცა.

Locus classicus: Abchasiae m. Psitsa.

ტიპი ინახება თბილისში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

დედანი დიავნოზი: *Anthemis zyghia* G. Woron. Perennis multicaulis, tota molliter cinereo-cano-tomentosa; caulibus 30—45 cm altis simplicibus, folijs ambitu late ovato-oblongis pinnatisetis, segmentis lanceolato-ovatis in laciniis lanceolatas vel lineari-lanceolatas, apice mucrenatas, interdum (in supremis) iterum dentato incisas subdecurentes pectinatim pinnatifidis, rhachide parce dentata v. lacinulis instructa; capitulis solitariis longe pedunculatis (pedunculis apice ± incrassatis) hemisphaericis 3—4 cm latis; involucri villosuli phyllis late fusco-marginatis (saepe quoque dorso ± fuscescente) ab exterioribus lanceolatis ad intima oblonga vel oblongo-linearibus sensim auctis obtusis.



v. obtusiusculis, dorso obsolete carinatis, apice fuscoscarioso dense vel rarius sublacero; ligulis albis disco subaequilongis, receptaculi paleis anguste lineari lanceolatis in mucronem flosculos superantem apice fusciscentem uncinatatum attenuatis; achaeniis ignotis.

Hab. in rupestribus calcareis montis Psitsa Abchasiae trans-bzybicae (Zyghia Dzighetia), 6500—7000, ubi eam 28.VII.1912. florentem copiosae detexa.

Anthemis zyghia G. Woron.

ამ სახეობის აუტენტუიკური ეგზემპლარი წარმოდგენილია ორი საჭერბარიო ფურცლით, რომლებიც ერთ საერთო სქელ ქაღალდის ყდაშია მოთავსებული.

ამ უჯანსაღეზე ქვედა ნაწილში. მარცხნივ დაწერილია ჰერბარიუმის ნომერი „1845—1846“, მარჯვნივ კი მცენარის სახელწოდება „*Anthemis zyghia* Wor. n. sp.“

აუტენტუიკი № 1845

სქელ ნაცრისფერ ქაღალდზე (48×29 სმ) დამაგრებულია ოთხი მცენარე. პირველი მცენარე (მარცხნიდან მარჯვნივ) ზომით 34 სანტიმეტრია, უფესვლია და აქვს ერთი ღერო, რომელიც კალათით ბოლოვდება. ღეროზე შუა ნაწილში მორიგეობით განწყობილია 9 ფოთოლი, რომელთა ზომა 3—4 სანტიმეტრს არ აღემატება. ღეროს ქვედა ნაწილში მოთავსებული ფოთლები უფრო პატარაა, ვიდრე ზედა ფოთლები. კალათა ჰერბარიუმში სრულადაა წარმოდგენილი (საბერველი, ენისებრი და ნილისებრი ყვავილები).

მეორე მცენარე უფრო პატარაა ზომისა (28 სანტიმეტრი). ღეროზე 10 ფოთოლია; ქვედა ფოთლები 2—3 სმ არ აღემატება, ზედა — 1—2 სმ. მცენარე უფესვლია აღებული. ღეროზე ერთი კალათაა.

მესამე მცენარე 39 სმ ზომისაა. ღეროზე ერთი კალათაა. მცენარეზე 10 ფოთოლია. მათ შორის ექვსი ფოთოლი, რომლებიც ღეროს შუა ნაწილშია განწყობილი, ჰერბარიუმში სრულადაა წარმოდგენილი; მცენარე უფესვლია აღებული.

მეოთხე მცენარე თავისი მორფოლოგიური ნაშნებით დანარჩენ ზემოთ აღწერილი ეგზემპლარებისაგან არ განსხვავდება, ხოლო უფრო დიდია — 43 სმ სიმაღლისა და ფოთლები უფრო განიერი აქვს.

საჭერბარიო ფურცელზე ქვედა ნაწილში მარცხნივ მოთავსებულია თეთრი ფერის ეტიკეტი, ზომით 13×7 სმ. ეტიკეტზე ზედა ნაწილში დაბეჭდილია „Кавказское Переселенческое Управление. Почвенно-ботанический исследования в Закавказье 1912 года. Черноморская губ. № 10191. 55, 113—114“.

ამ წარწერის შემდეგ ავტორის ხელით დაწერილია სახეობის სახელწოდება, ადგილსამყოფელი და შეკრების თარიღი „*Anthemis zyghia* n. sp. (ty-

rus) Сочинск. окр. Бассейн р. Бзыби Г. Пшица 28.VII.1912. Софр. Ю. Воронов*, ხოლო ეტიკეტის ქვედა ნაწილში შავი მელნით დაბეჭდილია „G. Worono. Iter abchasicum 1912“.

ეტიკეტზე წევით მარცხენა მხარეზე დაკრულია ჰერბარიუმის შტამპი „Museum caucasicum“.

აუტენტიკი № 1846

სქელ ნაცრისფერ ქალაღზე (48×27 სმ) დამაგრებულია ორი მცენარე. პირველი მცენარე (მარცხენა მხარეზე) 26 სმ სიმაღლისაა, უფესვოა და უფოთლო, ზევით კალათით ბოლოვდება. კალათა ყვითელი ფერისაა (კარგად გამოსახული საბურველით, ენისებრი და მილისებრი ყვავილებით). მეორე მცენარე, რომელიც მარჯვენა მხარესაა მოთავსებული, ზომით 32 სანტიმეტრია. ღეროს შუა ნაწილში განლაგებულია ფრთისებრ დანაკეთული 9 ფოთოლი, რომელთა ზომა 2—3 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს. ღეროს ქვედა ნაწილში ორი სუსტად განვითარებული ფოთოლია, ზომით 1—2 სანტიმეტრამდე აღწევს. მცენარე უფესვოა.

საკვებარეო ქალაღზე ქვედა ნაწილში, მარცხენა მხარეს მოთავსებულია კავკასიის რუკა, ზომით 14×10 სმ. რუკაზე ზედა ნაწილში დაბეჭდილია „Museum Horti Botanici Tiflisiensis“. ამ წარწერის შემდეგ დაწერილია მცენარის სახელწოდება „Anthemis Zyghia Woron.“ რუკაზე აღნიშნულია ამ სახეობის გაერთელება აფხაზეთში. რუკის მარჯვენა მხარეს მოთავსებულია თეთრი ეტიკეტი, რომელზედაც ზედა ნაწილში წითელი მელნით დაკრულია შტამპი „Museum caucasicum“.

ქვემოთ შავი მელნით დაბეჭდილია „G. Woronow. Plantae caucasicae“ ამ წარწერის შემდეგ გ. ვორონოვის მიერ დაწერილია სახეობის სახელწოდება, ადგილსამყოფელი და შეგროვების თარიღი „Черноморская губ. Сочинский окр. Гора Пшица. Бассейн реки Бзыби. Камен. места. 28.VII.1912, Leg. Ю. В.“

სახეობა *A. zyghia* იზრდება ალპურ ზონაში კირქვიანებზე. საქართველოს (აფხაზეთის) ენდემი.

4. *Centaurea bella* Trautv. in Bull. de l'Acad. Petrop. X (1866) 394.

კლასიკური ადგილსამყოფელი: ბორჯომი.

Locus classicus: Borshom.

ტიბი დაცულია თბილისში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

დღიანი დიაგნოზი: *Centaurea bella* Trautv. Herba perennis caulibus ascendentibus, arachnoideo-pilosus, a medio aphyllis, simplicibus, monocephalis, foliorum lyrato-pinnatisectorum, subtus dense albo-tomentosarum segmentis ellipticis, integris integrimisque, deorsum decrescentibus, periclinii subglobosi, glaberrimi appendicibus non decurrentibus, suborbiculatis, margine late

დინოთერიუმის თავის ქალას მახლობლად, მკვრივი ქვიშაქვების შრებიდან ამოღებულ იქნა ღორის (?) პატარა ზომის თავის ქალა. ქალას აკლია ცხვირის ნაწილი, დარჩენილია კეფისა და თხემის ნაწილები. ყურადღებას იქცევს ტინის კალაპოტის ანაბექდი, რომელზედაც მშვენივრად არის შერჩენილი ტინის ხეულებების გამოსახულება.

არა ნაკლებ საინტერესო მასალას წარმოადგენს ძირითად ქანებში (თიხიან ქვიშაქვებში) ნაპოენი მღრღნელების ქვედა ყბები და კბილები იმ მხრივ, რომ ლიტერატურული წყაროების მიხედვით ამ ჯგუფის განამარბებული მასალები ნაკლებადაა ცნობილი საქართველოს მიოცენურ ნალექებში.

ამრიგად, ფაუნის მრავალფეროვნების მხრივ გარეჯის უდაბნოს ნეოგენური ნალექები უთუოდ მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს.

გარეჯის უდაბნოში მოპოვებული განამარბებულ ხერხემლიანთა, კერძოდ, ჰიპარიონული ფაუნის სტრატეგრაფიული მდებარეობისა და ასაკის საკითხი ჯერჯერობით გადაკრილად არ შეიძლება ჩაითვალოს და დამატებით მასალებს მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, ამ რაიონის ქრილების შედარება ელდარისა და სამხრეთ რუსეთის ჰიპარიონული ფაუნის შემცველი ნალექების ქრილებთან საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ გარეჯის უდაბნოს განამარბებულ ხერხემლიანთა სტრატეგრაფიული მდებარეობის შესახებაც.

ნალექების ხასიათის შედარებისათვის შეიძლება ზედმეტი არ იყოს, მოვიყვანოთ ელდარის ჰიპარიონული ფაუნის შემცველი ქრლის მოკლე დახასიათება.

ბ. დომბროვსკი [11] ელდარის ძვლების შემცველ შრეებს სამ ნაწილად ყოფს (ზევიდან ქვევით):

1 ა. აღეჭყვევის მიერ აღწერილია ირმის ნაშთები ნეოგენ-ელიზავიტოვის მრ დაზოგიდან.



1. ფერადი წყება—თაბაშირიანი თიხები. ხშირად მასში გვხვდება ფლორის და ხერხემლიანთა ფაუნის ნაშთები და მტკნარი წყლის მოლუსკები 300 მ.

2. ქვიშაქვების და ქვიშიანი თიხების მორიგეობის წყება *Maetra bulgarica* Toul., *M. caspia* Eichw. და მაწოვართა ძვლების ლინზებით 500 მ.

3. ნაცრისფერი თიხები *Criptomactra pescheris* Mayer-ით და ვეშაპისნაირთა ჩონჩხებით 300 მ. აქედან ზედა წყებას ბ. დომბროვსკი აკუთვნებს აფშერონულ და აქაზილურ სათულებს, მეორე წყებას — ზედა სარმატულს, ხოლო მესამეს—შუა სარმატს. ამრიგად, ელდარის ხერხემლიანთა ძვლების შემცველი წყება დასახელებული ავტორის მიხედვით ზედა სარმატულია. ამავე აზრს ეთანხმება ვ. ბოგაჩევი [6] და ა. ალექსეევიც [1]. სამხრეთ რუსეთის ნეოგენის ნალექებში მოპოვებულ ჰიპარიონულ ფაუნას ა. ალექსეევიც [3], მ. პაელოვა [18], ი. ხომენკო [16] და ვ. ლასკარევი [13] მტკიცედ აღმოაჩინეს.

რაც შეეხება გარეჯის უდაბნოს განამარხებულ ხერხემლიანთა ძვლების შემცველ შრეებს, მათ დაწვრილებით აღწერაზე აქ აღარ შეეჩერებით¹. აქ შეიძლება აღვნიშნოთ კრილის ზოგადი ხასიათი.

1. უდაბნოს ქედის ჩრდილო კალთა (სადაც აშენებულია მონასტერი) შედგება შუა სარმატის რუხი ან მოყვითალო ფერის მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვებისაგან. ქვიშაქვებს შორის არსებული ქვიშის შუა შრეები ხშირად შეიცავს ფაუნას *Maetra vitaliana* d'orb. 100 მ დაშორებით, ჩრდილოეთით, მათ მოსდევს *Solen sufragilis*-ებიანი ქვიშაქვები.

2. შუა სარმატის ქვიშაქვებს მოსდევს მოწითალო ან მოყვითალო ქვიშაქვების, მოწითალო ან მომწვანო თიხების და კონგლომერატების მორიგეობა, რომელიც ცნობილია უდაბნოს ფერადი წყების სახელწოდებით.

ამ უკანასკნელს ჩრდილოეთით თანხმობით მოსდევს ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების 500—600 მ სისქის წყება. შიგადაშიგ ქვიშაქვებში გვხვდება მიკროკონგლომერატების შუა შრეები. დოდოს ქედის ჩრდილო აღმოსავლეთით, უდაბნოს ტაფობის საზღვარზე ქვიშაქვებს თავზე ადევს კონგლომერატები მოზრდილი (10—15 სმ დიამეტრით) რიყის ქვებით.

მონასტრიდან *Solen Sufragilis* ან შრეების ჩრდილოეთით თეთრი ტუფური (?) ქანების გამოსავლებამდე ფერადი წყება მოკლებულია უხერხემლოთა ფაუნას საერთოდ და იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხერხემლიანთა ძვლების ნაშთებიც.

ამ წყების ზედა ნაწილში თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მტკნარი წყლის ფაუნა Anodonta-ების სახით. სამაგიეროდ იგი მდიდარია ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაშთებით. მათ შორის ყველაზე მეტი გავრცელებით სარგებლობს ჰიპარიონული ფაუნის წარმომადგენლები. როგორც ჩანს, მაწოვართა ფაუნა განვითარების პოლსობს ფერადი წყების ზედა ნაწილში და გადადის მასიური ქვიშაქვების წყებაში.

¹ კრილის დაწვრილებითი აღწერა მოცემულია ავტორის შიერ 1942 წ. [17].

ულაბნოს ფერად წყებას, რომელშიც ჩვენ მიერ მოპოვებულ იქნა ხერხემლიანთა ნაშთები, ნ. კულდიაეცევი [12] და ა. გედროიცი ასაკის მხრივ აკუთვნებენ ზედა სარმატულ ნალექებს. ამ მხრივ ის შეესატყვისება ელდარის ველზე დომბროვსკის მიერ დათარიღებულ ხერხემლიანთა ძვლების ნემცველ ზედა სარმატულ ნალექებს.

ამავე დროს, გედროიცი ანგარიშის (1932 წ.) მიხედვით, დიბსი-დალის მთაზე ნაპოვნი ჰიპარიონის კბილები ხომენკოს მიერ განსაზღვრულ იქნა როგორც მეოტური ასაკის *Hipparion gracile* Kaup. სახე.

ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სამხრეთ რუსეთის ჰიპარიონულ ფაუნას მკვლევარების მეტი წილი მეოტურ დროს აკუთვნებენ, მაშინ შესაძლებელია დავუშვათ, რომ უღაბნოს ფერადი წყების ზედა ნაწილში მოპოვებული ჰიპარიონული ფაუნა ეკუთვნის მეოტურ საუკუნეს და ნალექები — მეოტურ სართულს.

ასაკთან ერთად არა ნაკლებ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ნეოგენურ ხერხემლიანთა განამარხების პირობები გარეჯის უღაბნოში, რადგანაც ხერხემლიანთა განამარხების პირობების შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოადგინა ვიქონიოთ იმდროინდელ პალეოგეოგრაფიულ პირობებზე.

გათხრების დროს მოპოვებული ჩონჩხის ნაწილების განლაგებაზე დაკვირვებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ გარეჯის უღაბნოში არსებული ხერხემლიანთა ნაშთების განამარხების პირობები განსხვავდება ელდარის ხერხემლიანთა ძვლების განამარხების პირობებისაგან და, როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, სხვა ცნობილ ხერხემლიანთა „სამარხებიდანაც“ (სამხ. უკრაინა, მარაგა და სხვ.).

კ. ადრიაანოვის და ნ. ლარინის [4] აზრით, ზედა სარმატის რეგრესული ზღვის სანაპირო ზოლის ირგვლივ ელდარში არსებობდა სტეპური ხასიათის ველები, სადაც ბინადრობდა მაწოვართა ფაუნა. მათი ცნობით, განამარხებული ძვლები დაუმრგვალებელია და უწესრიგოდ განლაგებული, რასაც მიაწერენ ზეირთცემის საშუალებით ჩონჩხის ნაწილების გადატანას და დაგროვებას დელვისაგან დაცულ წყნარ უბებში.

ამ საკითხზე არსებობს სხვაგვარი შეხედულებებიც. ბ. დომბროვსკის [11] მიხედვით, ცხოველთა ძვლების განამარხება ელდარში ხდებოდა ზღვის სანაპირო ზოლში და მდინარეთა შესართავებში.

სხვადასხვა მაწოვარის ჩონჩხის ნაწილები დაგროვებულა ცალკეულ უბნებში ლინზების სახით, ქაოსურად არის არეული ერთიმეორეში და ეტყობა დამუშავება წყლის მიერ გადატანის შედეგად.

განამარხებული ძვლების განსაზღვრულ უბნებში ქაოსურ და დიდი რაოდენობით დაგროვებას ხშირად რაიმე კატასტროფების შედეგად ცხოველთა მოულოდნელი და მასიური დაღუპვით ხსნიან. ასეთ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ ხანძარი სტეპში ან ტყეებში, ანდა დიდი ნიაღვარი, რომლის დროსაც პანიკურად დამფრთხალი ცხოველები იღუპებიან ტბებში ან მდინარეებში.



ელდარის ნეოგენურ ხერხემლიანთა ძვლების განამარხების პირობების შესახებ განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ვ. ბოგაჩევი [6]. იგი სარმატული სართულის დროისთვის შემდეგ პალეოგრაფიულ სურათს გვიხატავს: სარმატული ხანის დასასრულს ელდარის მიდამოებში არსებობდა გამტკნარებული ზღვის ვიწრო ზოლი, სადაც იმ დროს ჩასახულ მტკვრის ხეობაში ჩამოედინებოდა მდინარეები, მტკნარი აუზის უბებში, მდინარეთა შესართავების მახლობლად მაწოვართა ძვლების დიდი რაოდენობით (ერთ ადგილზე) დაგროვებას და განამარხების დასახელებული ავტორი მიაწერს კატასტროფულ მოვლენებს—წყალდიდობას, რომლის დროსაც მდინარის ხეობის ახლო მყოფი ცხოველები დიდი რაოდენობით იღუპებოდა და გადაიტანებოდა შესართავებში, სადაც მათი განამარხება მოხდა. იგივე ავტორი ასევე კატასტროფული ღვარცოფების მოქმედებას მიაწერს მარაგის მიდამოებში (სოფ. კარტველიუს) ხერხემლიანთა ძვლების დაგროვებას.

ხერხემლიანთა სხვადასხვა ადგილების ცნობილ „სამარხთა“ ცალკეულ უბნებში ერთიმეორეში არეული ძვლების დიდი რაოდენობით განამარხების შესწავლის საფუძველზე მ. პავლოვაც იცავს იმ აზრს, რომ განამარხების ასეთი პირობები და ხასიათი კატასტროფული მოვლენებისგან გამოწვეული ცხოველთა მასიურად დაღუპვის შედეგია.

ელდარის და ნეოგენის სხვა ცნობილ „სამარხებისაგან“ განსხვავდება უდაბნოს ხერხემლიანთა ძვლების განამარხების ხასიათი.

გარეჯის უდაბნოს ფერადი წყების ზედა ნაწილში (თიხიან ქვიშებს, თიხებს, ქვიშაქვებსა და კონგლომერატებში) განამარხებულ ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაწილებს არ ემჩნევა დამუშავება—ძვლები დაუმრგვალებელია და შორს გადატანის ნიშნებს არ ატარებს (ჰიენის კიდური ძვლები, ჰიპაროიონის, მარტორქის და სხვათა კარპალური, მეტაკარპალური და ტარზალური ძვლები).

ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაწილები მეტწილად განამარხებულია თიხიან ქვიშაქვებსა და თიხებში. აქ არ გვხვდება ხერხემლიანთა სხვადასხვა ცხოველის ძვლების დაგროვება რომელიმე განსაზღვრულ უბნებში, როგორცაც ადგილი აქვს ელდარის ველზე.

ჩონჩხის ნაწილები გაბნეულია უდაბნოს ფერადი წყების ნალექებში ცალკეული ინდივიდუუმის კუთვნილი ჩონჩხების სახით და იშვიათად თუ შეგვხვდება ერთიმეორესთან ან ერთ „სამარხში“ განამარხებული სხვადასხვა ცხოველის წარმომადგენლები.

როგორც ქვიშაქვებში, ისე თიხებში ხერხემლიანთა განამარხებული ძვლების დაუმრგვალებლობა და დაუმუშავებლობა მოწმობს, რომ ძვლები შორიდან არ უნდა იყოს მოტანილი და ადგილზევე განამარხებული. ამას ადასტურებს განამარხებული ჩონჩხის ნაწილების კანონზომიერი განლაგება ურთიერთ მიმართ.

დინოთერაპოდის ჩონჩხის ნაწილების გათხრის დროს აღმოჩნდა მისი კიდური ძვლების შედარებით წესიერი განლაგება და მათი ერთიმეორეში აურევლობა. ასე მაგალითად, ერთიმეორის გვერდით მდებარეობდა ჩონჩხის უკანა კიდურის ნაწილები: მარცხენა და მარჯვენა მენჯისა და მარცხენა და მარჯვენა ბარძაყის ძვლები (Pelvis dext. pelvis sin. Femur dext. და Sin.). 5,5 მეტრის დაშორებით ამოღებულ იქნა იმავე ცხოველის წინა კიდურის ძვლები.



ბი — მკლავის, იდაყვის და სხივის ძვალი (Tibia, fibula და Radius). ძვლებს ასეთ განლაგებას მიჰყავართ იმ დასკვნამდე, რომ ცხოველის ჩონჩხი ადგილზე უნდა იყოს დაფლული და განამარხებული და, რაც საყურადღებოა, ამავე ადგილზე მოსალოდნელია მოპოვებულ იქნეს ცხოველის ჩონჩხის დანარჩენი ნაწილებიც. ცხოველთა ჩონჩხების ადგილზევე განამარხებაზე მიუთითებს იმავე წყებაში გათხრილი ჰიპარიონის მალის ძვლების თანმიმდევრული და წესიერი განლაგება ერთ მწკრივში. ასევე, ცხოველთა დაღუპვის ადგილიდან გადატანის ნიშნებს მოკლებულია დინოთერიუმის და ჰიპარიონის თავის ქალას ნაშთები, მარტორქის ყბები და კუს ჩონჩხები და სხვა ცხოველთა ძვლები, რაც მათს ადგილზევე განამარხებას მოწმობს. ამრიგად, კატასტროფული მოვლენების შედეგად დაღუპულ ცხოველთა ძვლების დაგროვების ისეთ ნიშნებს, როგორსაც ადგილი აქვს ელდარში, გარეჯის უდაბნოში არ ვხვდებით აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ხერხემლიანების ნაშთებთან ერთად გარეჯის უდაბნოს ფერად წყებაში ვხვდებოდა გაქვავებული ხის ნაშთები, ზოგჯერ ვეებერთელა მორების სახით.

გარეჯის ნალექების ხასიათი და ხერხემლიანთა ჩონჩხების განამარხების პირობების თავისებურება საშუალებას იძლევა დაეფუძვას, რომ ზედა სარმატის დასასრულს მეოტურ საუკუნეში აქ ხმელეთი არსებობდა, რომელსაც სამხრეთიდან ეკვროდა თხელი, გამტკნარებული აუზი. სანაპირო ზოლში არსებულ უბეებსა და ესტუარებში ჩამოედინებოდა მრავალი მდინარე და ხელს უწყობდა უბეებში წყლის გამტკნარებას, რის მიჩვენებლად შეიძლება ჩათვლილ იქნეს ძვლების შემცველ შრეებში ნახული მტკნარი წყლის ფაუნა (Anodonta).

გათხრების შედეგად მოპოვებული ხერხემლიანთა ფაუნის მრავალნაირობა მეოტურ დროს გარეჯის უდაბნოში არსებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ზოგიერთი მკვლევარი (ე. ბოგაჩევი, პ. დომბროვსკი) ეთანხმება იმ აზრს, რომ ელდარის ჰიპარიონულ ფაუნას ცხოვრება უხდებოდა სტეპის პირობებში. გარეჯის უდაბნოს ფერად წყებაში ნაპოვნი ჰიპარიონის, ჯეირნების, ყირაფების და მტაცებლების (აუთარი) ნაშთებთან ერთად ხეური მტკნარების ნაშთების არსებობა, ერთი მხრივ, ლიპარაკობს უფრო სავანურ ან, უკეთ რომ ვთქვათ, ტყიან-სტეპური ლანდშაფტის სასარგებლოდ, ვიდრე ტიპური სტეპების. მეორე მხრივ, მტკნარი უბეების, მდინარის ვრცელი ხეობებისა და შესართავების მახლობლად არსებულ დაბურულ ტყიან კორომებში უმეტესად ბინადრობდნენ და თავს იფარებდნენ ხორთუმიანების წარმოამდგენლები — მისტოდონტები, დინოთერიუმები და მათთან ერთად მარტორქებიც.

თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ხორთუმიანების და მარტორქების ცხოვრების პირობებს და მათ სიყვარულს დაბურული კორომებისადმი, არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ ოჯახების წარმოამდგენლები ზედა მესამეულის დროში ცხოვრობდნენ მხოლოდ სტეპებში ცხელი და მშრალი ჰავის პირობებში და არა ტყიან-სტეპთან პირობებში.

სტეპების საწინააღმდეგოდ და ტყე-ველიანი ლანდშაფტის სასარგებლოდ ლიპარაკობს გარეჯის უდაბნოს ფერად წყებაში ნაპოვნი უმაღლესი მაიმუნის — *Udabnopithecus geredziensis* ნაშთებიც.



თანამედროვე აღამიანისმაგვარი, უმაღლესი ტიპის მაიმუნების ცხოველების შესწავლა თავისუფალ გარემოში ყოფნის პირობებში გვიჩვენებს, რომ მაიმუნების უმეტესობა და მათ შორის მაღალი განვითარების სახეები (შიმპანზე, გორილა, ორანგუტანგი) ცხოვრობენ დაბურულ ტყეებში, ცხოვრებას ატარებენ ან ხეზე ან მის ძირში და იშვიათად გადაინ ველად.

ამრიგად, მეოტური საუქუნის დასაწყისში გარეჯის უდაბნოს მიდამოებში არსებულ დაბურულ კორომებსა და ვრცელ ტყიან-ველიან ადგილებში ბინადრობდა მაწოვართა მრავალგვაროვანი ფაუნა. მათი განამარხება უნდა მომხდარიყო სხვადასხვა პირობაში: მშრალ ველებში, ჭაობიან ადგილებში, ლიშინებსა და მდინარეთა შესართავების მახლობლად და ხმელეთის სანაპირო ზღვის ლამიან ზოლში.

როგორც განამარხებული ძვლების ხასიათი გვიჩვენებს (ძვლების გადატანის გამო დამუშავების ნიშნების უქონლობა, ჩონჩხის ნაწილების ერთიმეორის მოუშორებლად და ახლოს განლაგება), ცხოველთა ლეშები რჩებოდა დაღუპვის ადგილზე და მათ გადატანას იშვიათად ჰქონდა ადგილი მდინარის წყლების ან ღვარცოფების მიერ, რის გამოც გარეჯის უდაბნოში არ გვხვდება მაწოვართა ძვლების ქაოსური დაგროვება განსაზღვრულ უბნებში. ცხოველთა ცალკეული ინდივიდები განამარხებულია ფერად წყებაში ერთიმეორისაგან მოშორებით. რაკი ჩონჩხის შედარებით მთლიანი და კარგად დაცული ნაწილები მეტწილად დაკავშირებულია თიხებსა და თიხიან ქვიშაქვებთან, უნდა ვთვითქოთ, რომ განამარხებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა ზღვის სანაპირო ზოლის ლამიან უბნებში, სადაც ცხოველის ჩონჩხი ადვილად და მალე იფარებოდა ნალექებით.

დასასრულს შეიძლება აღინიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ გარეჯის უდაბნოს ფერად წყებაში შედარებით იშვიათად გვხვდება განამარხებულ ზერხემლიანთა ჩონჩხის ნაწილები, მათი დაღუპვის ადგილზე განამარხების გამო შესაძლებელია აქ მოპოვებულ იქნეს ცხოველთა მთლიანი ჩონჩხები, რაც ნაწილობრივ მოსალოდნელია ელდარისა და მის მსგავს ზერხემლიანთა „სამარხების“ პირობებში.

ექვს გარეშეა, რომ უფრო დეტალური დაზვერვები და შემდეგ მეოტოდურად წარმოებული გათხრები ბევრ საინტერესო მასალას მოგვცემს, რომელიც ნათელს მოჰქვენს გარეჯის უდაბნოს ნეოგენური ფაუნის ცხოვრებისა და განამარხების პირობებს.

დ. ვ. ცერეთლი

ЗАМЕТКА О ПАЛЕОГЕОГРАФИЧЕСКИХ УСЛОВИЯХ ЗАХОРОНЕНИЯ КОСТЕЙ НЕОГЕНОВЫХ МЛЕКОПИТАЮЩИХ В УДАБНО ГАРЕДЖИ (ЮЖНАЯ КАХЕТИЯ)

Резюме

В результате проведенных раскопок костей млекопитающих в неогеновых отложениях Удабно Гареджи в 1949 г., а также предпринятых в 1947—48 гг. отделом геологии Государственного Музея Грузии им



акад. С. Джанашиа разведочных раскопок мною был собран довольно большой материал ископаемых млекопитающих.

На основе наблюдений во время раскопок залегания отдельных частей скелета и изучения добытых материалов автор настоящей статьи поставил себе целью выяснить некоторые вопросы палеогеографических условий захоронения костей в неогене Удабно Гареджи.

Выходы костеносных слоев из неогеновых отложений Закавказья известны в Эльдаре с хребта Эйлар-Оуг [11] и в окрестностях с. Джапаридзе в Кахетии (по данным проф. Ю. А. Орлова); до 1939 г. выходы костеносных слоев в Удабно Гареджи известны не были. Некоторые геологи отмечали вскользь нахождение отдельных фрагментов костей гиппариона из неогеновых отложений Удабно Гареджи.

Предварительный список гиппарионовой фауны, добытой впервые при раскопках в 1939 г., был опубликован автором [17]. Интересно, что в неогеновых отложениях Удабно Гареджи встречаются некоторые представители млекопитающих, которые отсутствуют в списке гиппарионовой фауны Эльдара А. К. Алексева [1] и В. В. Богачева [7].

В числе добытого костного материала гиппарионовой фауны (*Achthia Borissiakii* Alek., *Tragoceras* sp., *Rhinoceros* sp., *Aceratherium* sp., *Hipparion gracile* Kaup., *Mastodon pentelici* Gaud., *Dinotherium* sp. и др.), особенное внимание заслуживают коренные зубы высшей человекообразной обезьяны, найденные членом экспедиции геологом Е. Г. Габашвили. Впоследствии эти зубы были описаны Н. О. Бурчак-Абрамовичем и Е. Г. Габашвили, как новый род и вид *Udabnopithecus Garedziensis* gen. et sp. nov. Нахождение остатков антропообезьяны в неогеновых отложениях Удабно Гареджи является редким и интересным явлением для верхнемиоценовых отложений территории СССР и, в частности, Кавказского перешейка. Кроме того, найденные автором в Удабно Гареджи остатки оленя и дикообраза, пока еще не известны из других районов неогеновых отложений Закавказья.

Среди костного материала Удабно Гареджи привлекает внимание отдельная часть черепа гигантского динотерия, превосходящего своими размерами все известные до сего времени экземпляры, найденные на территории Европы.

Деформированный, но почти целый череп гиппариона из неогеновых отложений Удабно по своим размерам, строению черепа и зубов отличается от описанных черепов *H. gracile* Каир с Кавказа и из Севастополя.

Нахождение костей млекопитающих в неогеновых отложениях Эльдара, с. Джапаридзе и на юге России дают возможность сопоставления стратиграфического разреза костеносных слоев Удабно Гареджи с разрезами других районов.

Костеносную свиту Эльдара, в которой встречаются остатки гиппарионовой фауны, Б. С. Домбровский [11] относит к верхнему сарма-



ту. О возрасте Эльдарской фауны млекопитающих того же мнения придерживается А. К. Алексеев [1] и В. В. Богачев [6]. К сарматским отложениям А. А. Борисяк относит Севастопольскую гиппарионовую фауну.

Возраст гиппарионовой фауны Южной России М. Павлова [18] и Хоменко [16] и В. Ласкерев [13] определяют меотисом. К меотическому веку А. К. Алексеев относит и Новоизаветинскую фауну.

О возрасте костеносных слоев млекопитающих Удабно Гареджи кратко отметим следующее:

1. В строении северного склона хребта Удабно принимают участие средне-сарматские серые и желтоватые, крупнозернистые песчаники, с прослойками рыхлого песчаника, содержащие *Mastra vitaliana* d'orb. На них согласно налегают серо-коричневые песчаники с фауной *Solen sufeagilis*.

2. За среднесарматскими песчаниками согласно следуют желтоватые песчаники и конгломераты, чередующиеся с красными или красновато-зеленоватыми глинами, известными под названием „красноцветной свиты Удабно“.

3. На северном крыле, на красноцветной свите залегают крупнозернистые песчаники мощностью до 500—600 м, с прослойками микроконгломератов. На гребне хр. Додо песчаники сменяются крупновалунными (30—40 см) конгломератами.

Красноцветная свита Удабно, ввиду скудости фауны, считается „немой“. Автором при раскопках отложений верхней части названной свиты были обнаружены кости млекопитающих и пресноводных моллюсков (*Anodonta*).

В массивных песчаниках перекрывающих красноцветную свиту до развалин монастыря Додо спорадически встречаются кости млекопитающих.

Красноцветная свита по Н. Кудрявцеву [12] относится к верхнему сармату. Мнение Н. Кудрявцева разделяет и Н. А. Гелройн.

Между красноцветной и ширакской свитами последний автор границу проводит условно. Вместе с тем, найденные в ширакской свите зубы гиппариона—И. Хоменко определил как *H. gracile* Каир, меотического возраста, по аналогии с бессарабской меотической фауной.

Палеонтологические находки млекопитающих в красноцветной свите Удабно позволяют судить о ее возрасте по новому.

Нижняя часть красноцветной свиты, согласно налегающая на средне-сарматские песчаники, является немой. Верхняя часть этой свиты содержит остатки гиппарионовой фауны. Нужно полагать, что сравнительно благоприятные условия для развития гиппарионовой фауны существовали во время накопления верхней части красноцветной свиты и крупнозернистых песчаников хр. Додо.

Нахождение ископаемых костей млекопитающих в верхней части красноцветной свиты и в песчаниках до акчагыльских конгломератов, а



также сравнение их с отложениями других районов, содержащих гничую фауну, приводят к заключению, что по возрасту эти отложения (и в том числе, найденная в них фауна), относятся к концу верхнего сармата — к мезотическому веку и, может быть, частично к Балаханскому ярусу (подакчагыльские песчаники).

В результате изучения взаимного расположения отдельных частей ископаемых скелетов одних и тех же животных, автор приходит к выводу о своеобразных палеогеографических условиях захоронения костей в неогеновых отложениях окрестностей Удабно Гареджи. Характер осадков и условия захоронения здесь отличаются от условий захоронения в других районах, в которых известны скопления костей неогеновых млекопитающих, на определенных точках.

Хаотическое скопление костей в виде линз в Эльдаре Б. Домбровский [11] и В. Богачев объясняют катастрофической гибелью животных, трупы которых вынесены, при стихийном наводнении водными потоками и беспорядочно накопились в устьях рек. Катастрофическим причинам Б. Богачев приписывает беспорядочное скопление костей в районе Мараги.

По мнению М. Павловой [14], захоронение костей млекопитающих в местонахождениях южной России, а также Пикерми, Кюкуноре, Самоса, Мараги и других районов, носит хаотический характер. Она указывает на то, что все кости переломаны и втиснуты одна в другую и заключает, что разнообразные животные погибли одновременно и, попадая в сильнейшие потоки, смешивались и так отлагались.

Таким образом, большинство исследователей, изучавших условия захоронения и скопления костей млекопитающих неогеновых отложений, объясняют одновременную и массовую гибель животных катастрофическими явлениями. В Удабно Гареджи такое захоронение ископаемых млекопитающих не наблюдается.

В Удабно Гареджи кости встречаются в глинистых породах, в песчаниках и в конгломератах. Кости не обработаны потоками и не окатаны (напр., конечные кости гиппариона и гиены), черепа гиппариона и других животных. Характерным является то, что в красноцветной свите не встречаются скопления костей на какой либо обособленной точке, как это было отмечено для других районов. Здесь части скелета отдельных индивидов встречаются изолированно от других животных, и такие отдельные находки разбросаны вдоль простирания красноцветной свиты.

Помимо того, что кости не носят следов переноски текучими водами и прибоем морских волн, замечается закономерное расположение отдельных частей скелета тех или иных животных (напр., частей скелета динотерия, позвонков гиппариона и др.).

Оно заключается в том, что части скелета отдельного животного встречаются почти в таком же расположении, в каком застала его смерть.

Нужно отметить, что наряду с нахождением костей млекопитающих в красноцветной свите часто встречаются стволы окаменелых деревьев.

Литологический состав породы, состав фауны и флоры и в том числе существование антропообезьяны в комплексе фауны гиппариона, а также характер расположения ископаемых костей — позволяют судить о некоторых физико-географических условиях, при которых происходило захоронение обитавших тут млекопитающих животных в конце миоцена.

В конце миоцена, включая и меотический век, на территории Удабно Гареджи существовала суша, омываемая с юга мелководным морем. Речные потоки, стекавшие с Главного Кавказского хребта вливались в существовавшие заливы и эстуарии меотического моря, вызывая при этом его опреснение и создавая условия для развития пресноводной фауны (*Apodonta*).

Ландшафт меотической суши Удабно Гареджи носил лесостепной характер с мягким климатом. Рядом со степными просторами, где обитали гиппарионы, антилопы и другие животные, в устьях и долинах рек существовали лесные массивы, в которых водились хоботные животные и носороги; там же было и местообитание высшей человекообразной обезьяны — *Udabnopithecus garedziensis* gen et sp. nov.

Исходя из вышесказанного, можно предположить, что с начала меотического века млекопитающие Удабно Гареджи жили в разных ландшафтных условиях. В связи с этим захоронение отдельных трупов животных происходило также в разных ландшафтных условиях — в сухих степях, болотных рощах и в илистой полосе прибрежной части моря.

Отсутствие скопления ископаемых костей и нахождение отдельных (неполных) скелетов изолировано от других, указывает на то, что захоронение трупов происходило, главным образом, на месте гибели животных.

Ввиду того, что захоронение костей в Удабно Гареджи происходило на месте гибели животных, при дальнейших раскопках можно ожидать нахождения целых скелетов.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. А. К. Алексеев. Верхнесарматская фауна млекопитающих Эльдара. Тр. Геолог. Муз. Акад. Наук, т. VII, 1930.
2. А. К. Алексеев. Фауна позвоночных Ново-Елизаветовки. 1915.
3. А. К. Алексеев. Описание меотической фауны позвоночных из окр. Петероверовки. Тираспольского уезда. Ч. 1, Зап. Новороссийского общ. Естествоиспытателей, т. XXXIX, 1912.
4. К. С. Андрианов и Н. И. Ларин. Условия залегания костей верхнесарматских позвоночных степи Эльдара. Бюл. Моск. Общ. Испыт. природы, новая серия, т. XIII (4), 1935.



5. В. В. Богачев. Проблема долины р. Курь. Изв. Кавк. Музея, том VIII, 1914.
6. В. В. Богачев. Отчет об осмотре местонахождения костей на Эльдаре, Изв. Кавк. Музея, т. XII, 1913.
7. В. В. Богачев. Палеонтологические заметки о фауне Эльдара. Изв. О-ва обслед. и изучения Азии, № 5, 1927.
8. В. В. Богачев. Урминское и Ванское озера. Изв. Азерб. Гос. Университета. Сед. еств. и медицины, т. 7, 1928.
9. А. А. Борисьяк. Обзор местонахождений третичных наземных млекопитающих Союза ССР. Фрунзе, 1943.
10. Н. О. Бурчак-Абрамович и Е. Г. Габашвили. Высшая человекообразная обезьяна из верхнетретичных отложений восточной Грузии (Кахетия). Вестник Гос. Музея Грузии, т. XIII-A, 1946.
11. Б. С. Домбровский. Заметка о геологических условиях нахождения костей ископаемых млекопитающих в местности Эльдара (Тифлиск. Губ.). Тр. геолог. Музея Акад. Наук, т. VII, вып. 14, 1914.
12. Н. А. Кудрявцев. Геологические исследования в междуречьи Алазани и Курь. Тр. Нефтяного Геолог.-Разв. Института СССР, Б., вып. 32, 1933.
13. В. Ласкеров. Заметка о новых местонахождениях ископаемых млекопитающих в третичных отложениях южной России. Зап. Новорос. Общ. Ест., т. XXXVII, 1911.
14. М. Павлова. Краткое описание новой третичной фауны млекопитающих Юга-России. Ежегодник по геолог. России, т. XVI, вып. 7-8, 1914.
15. А. Рябинин. Геологические исследования в Ширакской степи и ее окрестностях. Тр. Геолог. Комит., нов. серия, вып. 93, 1913.
16. И. Хоменко. Меотическая фауна С. Таракли. Бендерского уезда. Тр. Бессар. О-ва Естеств., т. IV, вып. I, 1914.
17. Д. В. Церетели. Раскопки местонахождения ископаемых неогеновых млекопитающих в Удабно Гареджа. Вест. Гос. Музея Грузии, т. XI-A, 1942.
18. M. Pavlov. Mammifères tertiaires de la Nouvelle Russie. Nouveaux Mémoires de la Société impériale des Naturalistes de Moscou, T. XVII, 1, 1913. et. XVI, 4, 1914.
19. R. Meeguenem. Fosiles de Maragha. Annales de Paleontologie, T. XIV, 1925.



ი. ხაჩინაშვილი

საქართველოს ცარცული ბელემნიტები

წინასიტყვაობა

საქართველოს ცარცული ნალექები ბელემნიტებით მდიდარია. მათი სტრატოგრაფიული ღირებულება თანდათან მატულობს დეტალური შესწავლის შესაბამისად. კირქებისა და მერგელის წყებებში ბელემნიტების გარდა საკმაოდ ხშირად სხვა სტრატოგრაფიულად ღირებული ფაუნა არც კი მოიპოვება.

საქართველოს ცარცული ბელემნიტები გვხვდება კირქვიერ, მერგელოვან და ქვიშაქვის შრეებში.

საქართველოს ბელემნიტების სპეციალური შესწავლა თითქმის არავის უწარმოებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ორიოა მკვლევრის მიერ საქართველოს ერთი-ორი კუთხის ბელემნიტების აღწერას. მაგალითად, 1913 წელს მ. შვეცოვმა მონოგრაფია მიუძღვნა აფხაზეთის ქვედა ცარცის ბელემნიტებს [32] და მის მიერ ამ მასალებიდან აღწერილი 19 სახიდან 14 ახალი სახეა აღდგენილი. 1930 წელს ივ. რუხაძემ პატარა ნაშრომში [53] ნაუტილოიდებთან ერთად აღწერა ქუთაისის აბტური ბელემნიტების 4 სახე და მანვე 1938 წ. საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან ბელემნიტთა კიდევ 3 ახალი სახე გამოაქვეყნა [1]. 1939 წელს გ. კრიშპოლცმა თავის მონოგრაფიაში — „Нижнемеловые белемниты Кавказа“ — გაგრიდან (აფხაზეთი) და შქმერიდან (რაჭა) ტ. მორდვილკოსა და ი. კუზნეცოვის კოლექციების მიხედვით აღწერა ბელემნიტების 15 სახე. გარდა ამისა, გეოლოგიურ ლიტერატურაში საქართველოს ცარცის ფაუნათა სიებში გვხვდება ბელემნიტების ზოგიერთი სახის დასახელება.

მე შესაძლებლობა მქონდა შემესწავლა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებაში დაცული ბელემნიტები ივ. რუხაძის (ქუთაისის მიდამოები), ივ. კაჭარავას (აფხაზეთი), ელ. კუროჩკინის (აფხაზეთი), მ. ფალავას (წყალტუბო) და მ. ფოფხაძის (რაჭა და ს. გუმბრი) კოლექციებიდან.

ჩემს მოვალეობად ვთვლი უღრმესი მადლობა გამოგუცხადო პროფ. ა. ჯანელიძეს, რომელმაც ბელემნიტების თავისი კოლექცია ვაღმომცა შესასწავლად, და აგრეთვე მ. ერისთავს, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბელემნიტების საკმაოდ დიდი მასალა მომაწოდა.

პირადად მე ჭრილების მიხედვით ბელემნიტთა საკმაოდ მდიდარი კოლექციები შევაგროვე ქუთაისის მიდამოებსა და წყალტუბოში.

ამრიგად, ჩემს ხელთ თავი მოიყარა ბელემნიტების უხემა მასალამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. სამწუხაროდ, შრედაშრე დაგროვილი მასალა მხოლოდ რამდენიმე რაიონიდან მაქვს, შემდეგი მუშაობისათვის კი საჭირო იქნება საქართველოს ყველა კუთხიდან შრედაშრე დაგროვილ მასალაზე დაყრდნობა, რათა შესაძლებლობისდაგვიარად გამოტანილ იქნეს დასკვნები ბელემნიტების ცხოვრების პირობებისა და იურულ და ცარცულ ბელემნიტთა გვარების გენეტური კავშირის შესახებ.

სულ განსაზღვრული მაქვს 33 სახე, 3 სახე ახალი დადგენილია.

ჩემი შრომის მიზანია საქართველოს ცარცულ ნალექებში გაერთილებულ ბელემნიტთა დადგენა და აღწერა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს გეოლოგიური კვლევისათვის, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უდიდეს ზრდასთან¹.

შეხასპალი

ცარცის მიწურულისათვის ამომწყდარი ბელემნიტების ჯგუფს ჩვენ ვიცნობთ მათი უამრავი წარმონაქმნებით ე. წ. როსტრუმებით. როსტრუმთა აღნაგობა ჯერ კიდევ არაა სავსებით გამორკვეული, მაგრამ მათი სწრაფი ცვალებადობა და ამ ცვალებადობათა კანონზომიერება უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა მათი ევოლუციის გზების შესახებ.

ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც ნაპოვნია ბელემნიტების რბილი სხეულის აღნაგებები და პროოსტრაკუმები. იშვიათობა უკარგავს მათ სისტემატიკურ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც საინტერესოა ცხოველის აგებულების საერთო წარმოდგენისათვის.

ბელემნიტების როსტრუმები უმეტეს ნაწილად ძლიერ ჰვავს ერთმანეთს, ამიტომ მათი შესწავლისას საჭიროა ზედმიწევნითი ყურადღების მიქცევა ნიშან-თვისებებზე, რათა ნაპოვნი იქნეს არსებითი განსხვავება მათ შორის და საფუძველი გვექნეს ცალკეულ ოჯახებად, გვარებად და სახეებად გამოყოფისათვის. სხვადასხვა ნიშნის შესწავლა ხშირად გაძნელებულია ასაკობრივ ცვლილებათა გამო. ეს ცვლილებანი ჩრდილავენ ხოლმე სახეთათვის დამახასიათებელ განსხვავებებს.

ცარცული ბელემნიტები ეკუთვნიან 2 ქვეოჯახს—*Belemnopsinae* Naef-სა და *Duvalinae* Pawl.-ს.

გვარების ფილოგენეტურ კავშირთა გამომსატველი სქემით, რომელიც შედგენილია გ. კრიშპოლის მიერ [14], ბელემნიტების ცარცული გვარებიდან ყველაზე უძველესია გვარი *Hibolites* Montf, რომელიც ცნობილია იურულში და გადმოდის ცარცულში (შუაიურული—აბტური) და იძლევა განტოტებას *Mesohibolites* Stol (ბარემული—აბტური—კლანსეური), *Neohibolites* Stol. (აბტუ-

¹ შესწავლილი მასალის საფუძველზე საქართველოს ცარცული ბელემნიტების სტრატეგრაფიული მნიშვნელობის შესახებ გამოქვეყნებული მაქვს წერილი მ. ერისთავთან ერთად საქ სსრ მეცნ. აკად. მოამბეში, ტ. XII, № 8, 1951.

რი—ქვ. სენოზანური), *Parachibolites* Stol. (აბტური—ქვ. სენოზანური), *Actinocamax* Miller (ტურონული—სენონური) და *Belemnitella* d'Orb. (სენონური).

განსაკუთრებულად დგას ქვეოჯახი *Duvalinae* Pavl. (ტიტონური—აბტური), რომელსაც სხვა გენეტური გზები აქვს, ვიდრე ქვეოჯახს *Belemnopsinae*-ს. ქვეოჯახს *Duvalinae* Pavl.-ს ეკუთვნის გვარები: *Duvalia* Pavl. (ტიტონური—აბტური), *Pseudobelus* Bl. (ვალანჟინური—ჰოტირიული) და *Conobelus* St. (ტიტონური—ნეოკომური).

ვიდრე ბელენიტების აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ანალიზი გაეოკეთათ როსტრუმების დამახასიათებელ ნიშნებს და აღვნიშნოთ მათი დამუშავების მეთოდი.

ბელენიტთა შესწავლისას ყურადღება ექცევა როსტრუმის გარეგან ფორმას, უკანასკნელ ხანებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიგა ნიშანთა შესწავლას (ემბრიონალური როსტრუმი და ტეჩეადობის სიბრტყე). ქვემოთ მოგვყავს ნიშანთა მოკლე დამახასიათებელი:

1. როსტრუმის სიგრძე და სიდიდე ძლიერ ცვალებადია და ხშირად დამოკიდებულია ასაკზე, მაგრამ საერთოდ თითოეული სახისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული სიდიდე. მაგალითად, თვით სახელწოდება *Hib. longus* მიგვითითებს როსტრუმის დიდ სიგრძეზე *Neoh. minimus* და *N. minor*-ის კი მცირეზე. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე სახე ხმელთაშუა ზღვის აუზში უფრო პატარაა, ვიდრე ჩრდილოეთში. *N. minimus* და *N. minor* ყველგან პატარა ტანისაა.

2. როსტრუმთა ფორმა ძლიერ მრავალფეროვანია: თითისტარისებური, ლანცეტური, ცილინდრული, გაბრტყელებული, ამობურცული, კონუსური და სხვ. განივი ჰრილი დამოკიდებულია სხვადასხვა გვარისათვის სხვადასხვაგვარ გაბრტყელებაზე. მაგალითად, *Hibolites*-ისა და *Mesohibolites*-ის განივი ჰრილი შევიწროებულია დორსოვენტრული მიმართულებით; *Neohibolites* ხშირად მრგვალია ან შევიწროებულია დორსოვენტრული მიმართულებით; *Parahibolites*-ს ახასიათებს ვერდიითი შევიწროება; *Duvalia*-ს ეს შევიწროება უძლიერდება და ხშირად დორსოვენტრული დიამეტრი გვერდისას 2-ჯერ სჭარბობს. ხშირად როსტრუმი ასიმეტრიულია. განსაკუთრებით ეს ემჩნევა *Duvalia*-ს, რომელთა მუცლის მხარე როსტრუმის ქვედა ნაწილში ხშირად ამობურცულ-გაღუნულია.

3. როსტრუმის უკანა დაბოლოების ფორმა ძლიერ ცვალებადია: უმეტეს ნაწილად როსტრუმი მოკლე წვეტით ბოლოვდება, იშვიათად—წაგრძელებული წვეტით (*Mes. beskidensis* Uhl., *Neoh. attenuatus* Sow.), ბლავი დაბოლოებით (*Mes. brevis* Schw., *Neoh. clava* St.), გურძისებური (*Neoh. pinguis* Sow.), *Belemnitella*-ს როსტრუმს უკანა ბოლოზე ემჩნევა ეკლის მსგავსი წანაზარდი (*muco*).

4. როსტრუმი იყოფა 2 ნაწილად: მასიურ, რომელიც მდებარეობს პირველადი კამერის ქვემოთ, და ცარიელ ნაწილად, რომელშიც მოთავსებულია ფრაგმენტი. ესაა ე. წ. ალვეოლარული ნაწილი, რომლის სიგრძე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სისტემატიკური ნიშანია. ხშირად ალვეოლის გაზომვა მო-

5. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შობაზე, ტ. XV-A

უხერხებელია მისი ცუდი დაცულობის გამო. მნიშვნელოვანია აგრეთვე როსტრუმის ქვედა მასიური ნაწილი (პოსტალვეოლარული). საჭიროა აღინიშნოს, რომ ალვეოლის დაცულობის ხარისხი თავისთავად მნიშვნელოვანი ნიშანია, ვინაიდან ზოგიერთ გვარს ახასიათებს სწორედ ალვეოლის ცუდი დაცულობა (*Neohibolites*, *Actinocamax*).

5. ცარცული ბელემნიტების ღარების ხასიათი ფრიად სხვადასხვა გვარია. ღარები არის ვენტრული (*Hibolites*, *Mesohibolites*, *Neohibolites*, *Parahibolites*, *Actinocamax*), გვერდითი (*Neohibolites*, *Duvalia*, *Pseudobelus*) და დორსული (*Duvalia*, *Pseudobelus*, *Conobelus*). *Belemnitella*-ს როსტრუმის ზედაპირზე ემჩნევა სისხლის მიღების აღნაბეჭდები და ვენტრული ღარი გადაქცეულია ნასვრეტად.

Belemnites-ის ღარების ევოლუცია თვალსაჩინოა. უძველეს (იურულ) ფორმებში ღარები სხვანაირია და უმეტესად წვეტიდან აპერტურისაკენ მიემართება. *Belemnopsinae*-ს გვარის წარმომადგენლების ყველა ღარი აპერტურიდან წვეტისაკენ მიემართება. მათი მუცლის ღარის გასწვრივ როსტრუმში ადვილად ტყდება, ღარსა და ფრაგმენტის შორის ხშირად ემჩნევა ტკეჩვადობის სიმრტყე, რომელიც წარმოადგენს გლუვ ზედაპირს, სადაც, ალბათ, გადიოდა ფრაგმენტის გარე ნაწილთან შემაერთებელი რალაც ორგანული ქსოვილი. ტკეჩვადი სიმრტყის ქვედა საზღვარი სხვადასხვა გვარში სხვადასხვანაირადაა. *Hibolites*-ში ის მოდის ალვეოლის დასაწყისიდან ქვემოთ და თანდათანობით აღის როსტრუმის გარე ზედაპირისაკენ. *Mesohibolites*-ში ტკეჩვადობის ქვედა საზღვარი როსტრუმის ზედაპირისაღმე თითქმის მართობულია, ზედაპირთან მიახლოებისას ის აღუნულია ზევით. *Neohibolites*-ის ტკეჩვადი სიმრტყის ქვედა საზღვარი სწრაფად აღის ზევით. ტკეჩვადობის ქვედა საზღვარი ჩანს როსტრუმის კარგი დაცულობის პირობებში. ის ძლიერ მნიშვნელოვანი ნიშანია, მაგრამ შესწავლისათვის ძნელად მისაწვდომი. უფრო ახალგაზრდა გვარებში (*Belemnitella*, *Actinocamax*) მუცლის ღარი ჩაღრმავებულია და გადადის ნასვრეტად.

6. მანძილი უფართოესი ადგილიდან წვეტამდე ერთ-ერთი მყარი ნიშანთაგანია. მისი მდებარეობის მიხედვით იცვლება როსტრუმის მოყვანილობა.

7. ამ ჯგუფის შესწავლის დროს დიდი ყურადღება ექცევა უფართოესი ადგილის და ალვეოლის დასაწყისთან განივ დიამეტრებს (გვერდითი და დორსოვენტრული).

როსტრუმის აღწერის დროს ერთგვარი კანონზომიერების დასამყარებლად შემოღებულია ცალკეულ განზომილებათა ერთგვარი ციფრობრივი შეფარდება.

ა. პავლოვი 100%-ად ღებულობს ზურგ-მუცლის დიამეტრის სიდიდეს ალვეოლის დასაწყისთან და ამ სიდიდეს ადარებს დანარჩენ ზომებს.

ა. პავლოვმა შეისწავლა ჩრდილოეთის ბელემნიტები, სადაც არ მოიპოვება გვარ *Neohibolites*-ის და *Actinocamax*-ის წარმომადგენლები, ცუდად დაცული ალვეოლარული ნაწილით და ამიტომ ალვეოლის დასაწყისი მის მიერ მიღებულია მყარ ერთეულად. კრიმპოლცმა შეისწავლა ცარცის ბელემნიტები



სამხრეთიდან (კავკასია), სადაც *Neohibolites* უხვდაა წარმოდგენილი. გაზომვის დროს მუდმივ ერთეულად (100%) მიიღო ალვეოლის დასაწყისთან დორსოვენტრული დიამეტრი, ხოლო *Neohibolites*-ის მუდმივ ერთეულად უფართოეს ადგილთან აღებული აქვს დორსოვენტრული დიამეტრი, რასაც ასაბუთებს იმით, რომ *Neohibolites*-ის ალვეოლარული ნაწილი ცუდადაა დაცული, ხშირად ალვეოლი არც კი აქვთ შენარჩუნებული და შესაძლებელია ფსევდო-ალვეოლი შეცდომით ალვეოლად იქნეს მიღებული. ამ შეცდომის თავიდან ასაცილებლად კრიმპოლცს მოუხდა გვარ *Parahibolites*-ის წარმომადგენლების აღწერისას ერთ შემთხვევაში (*Parahibolites* sp. ind.) 100%-ად მიეღო დორსოვენტრული დიამეტრი ალვეოლის დასაწყისთან, უფართოესი ადგილის დორსოვენტრული დიამეტრის გაზომვისას კი ფრჩხილებში აღენიშნა შეფარდება ალვეოლის დასაწყისის დიამეტრთან და ამავე დროს იგივე დიამეტრი მიეღო 100%-ად. მეორე შემთხვევაში კი (*Parahibolites Pseudoduvalia* Sinz.) ალვეოლის ნაწილის ცუდი დაცულობისა და ფსევდოალვეოლის წარმონაქმნის გამო 100%-ად მან უფართოესი ადგილის დიამეტრი მიიღო.

ვეიქრობთ, ჩვენ უნდა ვეცადოთ მოენახოთ რაც შეიძლება მეტი გვარისათვის ერთნაირი მაჩვენებლები და არა მრავალი მაჩვენებელი ერთი გვარისათვის. ამისათვის უკეთესი იქნებოდა, რომ *Hibolites*, *Mesohibolites*, *Neohibolites* და *Parahibolites*-ისათვის მუდმივ წერტილად (100%) მიგვეღო უფართოესი ადგილის დორსოვენტრული დიამეტრი. ამრიგად ჩვენ ავიცილებდით იმ შეცდომას, რომლის დაშვება შესაძლებელია *Neohibolites*-ის ალვეოლის დასაწყისთან გაზომვის დროს. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ *Hibolites*-ისა და *Mesohibolites*-ის უფართოესი ადგილიც მყარია და გაზომვების სისწორე დარღვეული არ იქნება.

ბელეწნიტების აღწერისას შემოკლების მიზნით ზომათა დასახელებას შემდეგი ინიციალებით აღენიშნავ:

როსტრუმის სიგრძე	R
ალვეოლის სიგრძე	Al
ვენტრული ღარის სიგრძე	3L
დორსოვენტრული დიამეტრი უფართოეს ადგილას	DV
გვერდითი " " " " " " " "	LL
დორსოვენტრული დიამეტრი ალვეოლის დასაწყისთან	dv
გვერდითი " " " " " " " "	ll
მანძილი ალვეოლიდან წვეტამდე	Pa
მანძილი უფართოესი ადგილიდან წვეტამდე	P

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ამ ნიშანთაგანი არ არის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე, მხოლოდ მათი ერთობლიობით შეიძლება რომელიმე ფორმის ამა თუ იმ სახისადმი მიკუთვნება.

ენიდან ზოგიერთი ტერმინი დღემდე კიდევ დაუდგენელია, ამიტომ ჩემს შრომას ამ მხრივ ერთგვარი სიჭრელე ახასიათებს.

პალეონტოლოგიური აღწერა

გვარი *Hibolites* Montford 1888 cm. Stolley, 1911

გენოტიპი—*Belemnites hastatus* Blainville, 1827

როსტრუმი საშუალო ზომისაა, თითისტარისებური. პოსტალვეოლარულ ნაწილში როსტრუმი შევიწროებულია დორსოვენტრული მიმართულებით. ალვეოლარულ ნაწილში შეიმჩნევა გვერდითი შევიწროება, ხოლო ზოგჯერ—ვენტრული; გვხვდება მრგვალი ფორმაც. ზოგიერთ სახეს ალვეოლი ძლიერ მოკლე აქვს. ვენტრული ღარი გრძელია, მნიშვნელოვან მანძილზე მისდევს პოსტალვეოლარულ არეს. შემჩნეულია ტკეჩვადობის სიბრტყე, რომელიც ალვეოლის დასაწყისიდან ქვემოთ მიიმართება და შემდეგ თანდათან აღის როსტრუმის გარე ზედაპირისკენ.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ზედა ბაიოსური—აბტური.

Hibolites longior Schwetzwoff

ტაბ. I, სურ. 2, 3, 4

1913. *Hibolites longior* Швецов М. С. Белемниты Абхазии, стр. 51, таб. III, рис. 2 a—g.

1939. *Hibolites longior* Крымголец Г. Я. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 10, таб. 1, фиг. 7.

ზ ო მ ე ბ ი

	ნომ. №18, 35	ნომ. №1	ნომ. №17	ნომ. №257, 50	ნომ. №80, 260
R	87(853)	76(894)	80(978)	96(960)	111(965)
Al	21(205)	17(212)	21(256)	31(310)	36(312)
ვლ	45(441)	27(317)	40(487)	45(450)	57(400)
dv	9(88)	73(85)	8(97)	9,8(98)	12(104)
li	8,2(80)	7(82)	7,5(91)	9,5(96)	12(104)
Dv	10,2(100)	8,5(100)	8,2(100)	10(100)	11,5(100)
LL	11(107)	9,5(112)	9(109)	11(110)	13(101)
P	36(352)	30(353)	32(390)	40(400)	56(408)
Pa	66(647)	59(694)	59(719)	65(650)	75(607)

როსტრუმი გრძელი და ვიწრო მოყვანილობისაა. მისი უფართოესი ადგილი მოთავსებულია როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთ (დაახლოებით 16—15 მილიმეტრით). ალვეოლარულ ნაწილში როსტრუმი შევიწროებულია გვერდებისაკენ, უფართოეს ადგილას კი გვერდითი გაფართოება ემჩნევა. გვერდითი შევიწროება თანდათანობით გადადის ვენტრალურ შევიწროებაში, რის

გამო როსტრუმს სწორი მოხაზულობა აქვს. ალვეოლი საკმაოდ ღრმელა შეჭრილი როსტრუმში. მას დაახლოებით როსტრუმის მთელი სიგრძის $\frac{1}{4}$ უკავია. ვენტრალური ღარი გრძელია. მისი სიგრძე დაახლოებით როსტრუმის სიგრძის ნახევარს აღწევს; ზოგ შემთხვევაში უფრო გრძელიცაა. სიგრძით ჭრილზე ჩანს ტკეჩეადობის სიბრტყე. მისი ქვედა საზღვარი აპიკალური ხაზიდან იწყება, სახელდობრ, 13 მილიმეტრზე ალვეოლის დასაწყისის ქვემოთ, აქედან კვლავ ქვემოთ მიემართება და როსტრუმის ზედაპირს ემთხვევა. დაქანების სიმაღლე 3 მილიმეტრს უდრის.

Hib. longior Schw. განსხვავდება *Hib. subfusiformis*-ისაგან უფრო წაგრძელებული მყარი ალვეოლით და ვენტრული ღარით.

Hib. jaculum-ისაგან განირჩევა ზემოთ მოთავსებული უფართოესი ადგილით და როსტრუმის უფრო სწორი მოხაზულობით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა: სოფ. საყუდელი, რიცეულა, ნიკორწმინდა (რაქა)—ჰოტრიეული; ახალი ათონი—ჰოტრიეული; ქუთაისი—ქვედა აპტური; წყალტუბო—ქვედა აპტური.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა: ჩრდილო კავკასია—ჩეგემი—ქვედა ჰოტრიეული; ბაქსანი—ზედა ჰოტრიეული; აფხაზეთი—გაგრა, ჩიგირიფის ხეობა—ჰოტრიეული.

Hibolites Subfusiformis Raspail

ტაბ. II, სურ. 2 a, b; 3 a, b; 4

- 1829 *Belemnites subfusiformis* Raspail, *Histoir nat. des Belemnites*, p. 325, pl. 8, fig. 93.
- 1829 *Belemnites symmetricus* Raspail. *ibid.*, p. 324, pl. 8, fig. 90.
- 1841 *Belemnites subfusiformis* (pars). Duval-Jouve. *Belemnites de Castellane*, p. 66, pl. 9, fig. 1, 4, 7.
- 1846—1849 *Belemnites subfusiformis* Quenstedt. *Cephalopoden*, t. XXIX, fig. 42.
- 1858 *Belemnites pistilliformis* (pars) Pictet et Loriol. *Neocomien de Vairohs*, p. 5, pl. 1, fig. 2—4.
- 1868 *Belemnites pistilliformis* Loriol. *Neocom. du M. Salève*, p. 17, pl. 1, fig. 1, 2.
- 1892 *Belemnites jaculum* Pavlow. *Belemnites de Speeton*, p. 77, pl. VII, fig. 2, 3.
- 1913 *Hibolites jaculiformis* M. C. Швецов. *Белемниты Абхазии*, стр. 52, таб. III, рис. 4b, j, h.
- 1939 *Hibolites subfusiformis* Г. Я. Крыгольц. *Нижнемеловые белемниты Кавказа*, стр. 12, т. 1, ф. 9.



ზო მ ე ბ ი *

	ნომ. № 1,	ნომ. № 1—12
R	74 —X	73
ვლ	15 —X	
dv	9,3 (84)	8(66)
ll	10,2 (92)	
Dv	11 (100)	12(100)
LL	12 (109)	13,5(112)
P	25 (227)	23(191)

როსტრუმი საშუალო სიდიდისა და თითისტარისებური მოხაზულობისაა. ალვეოლარული ნაწილი იშვიათად აქვს დაცული. ვენტრული ღარი მოკლეა. უფართოესი ადგილიდან, რომელიც ქვედა მესამედის დასაწყისში მდებარეობს, როსტრუმი თანდათან ვიწროვდება წვეტისაკენ და მისგან 5 მილიმეტრის მანძილზე შევიწროება უფრო მკვეთრია, რის გამო როსტრუმის ქვედა ნაწილი გამობურცულის შთაბეჭდილებას ტოვებს. როსტრუმი აპერტურის მიმართულებით თანდათან ვიწროვდება. მთელი სიგრძის გასწვრივ მას დორსოვენტრული შევიწროება ემჩნევა. გვერდის მხარეებზე შესამჩნევია ღარები.

განსხვავდება მისი მსგავსი *Hibolites jaculum*-ისაგან მთელი როსტრუმის გასწვრივ ვენტრული გაბრტყელებით, უფრო დაბლა მოთავსებული უფართოესი ადგილით, ალვეოლარული ნაწილის არა მყარობით და უფრო მოკლე ვენტრული ღარით.

რასაილი [52] აღნიშნავს, რომ *Bel. subfusiformis*-ის ზედაპირი დაფარულია კლაკნილი კონცენტრული ხაზებით. ზემოთ აღწერილ ნიმუშებზედაც შემჩნეულია ასეთივე მოვლენა.

სა და უ რ ო ბ ა: ხიდისკარი (რაქა) —ჰოტრიეული; გაგრა (აფხაზეთი) —ჰოტრიეული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა: ჩრდილო კავკასია—ქვ. ბარემული; აფხაზეთი—ჰოტრიეული—ქვ. ბარემული; დასავლეთ ევროპა—ჰოტრიეული და ბარემული.

Hibolites jaculum Phillips

ტაბ. I, სურ. 5, 6, 7, 8, 9, 10

ტაბ. II, სურ. 1a, b

1827 *Belemnites minimus* (pars) Blainville. Memoir sur les Belemnites, pl. 5, fig. 5—7.

1835 *Belemnites jaculum* Phillips. Geology of Jorkchire, p. 261, pl. 3, fig. 1.

1840 *Belemnites subfusiformis* d'Orbigny. Paleont. française Terr. crét., vol. 1, p. 50, pl. IV, fig. 13.

1898 *Belemnites jaculum* Simionescu. Neocom din Dimbrovicirei, p. 108, tab. 1, fig. 5, 6.

1913 *Hibolites jaculiformis*. М. С. Швецов. Белемниты Абхазии, стр. 52, таб. III, рис. 4 f. (поп 4 a—g).

1939 *Hibolites jaculum*. Г. Я. Крымгольц. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. II, таб. 1, фиг. 8, 10.

ზოგადი

	ნომ. № 35-41	ნომ. № 28-50	ნომ. № 117-41	ნომ. № 155-2(1)	ნომ. № 180	ნომ. № 130-26 (2)	ნომ. № 21	ნომ. № 130-26
R.	80(888)	60+X	80(727)	74(685)	70(666)	68(607)	76(760)	78(680)
Al.	21(238)		27(245)	21(195)	19(180)	25(227)	25(250)	20(182)
ვლ.	44(488)	20+X	35(390)	35(324)	33(300)	30(272)	35(35)	23(200)
dv	8(88)	7(70)	10(90)	9,2(85)	10(95)	10,5(94)	10(100)	10(87)
ll.	7,8(86)	7,8(78)	10,2(93)	9,5(88)	10,5(100)	11,5(102)	10(100)	10(87)
Dv.	9(100)	10(100)	11(100)	10,8(100)	10,5(100)	11,2(100)	10(100)	11,5(100)
LL.	10(111)	10,2(102)	11,8(107)	11,5(106)	11(104)	12,2(108)	11(110)	11,8(102)
Pa.	50(635)		53(481)	53(497)	51(466)	43(375)	51(510)	58(504)
P.	23(255)	25(250)	27(245)	28(259)	20(276)	28(244)	30(300)	33,5(291)

როსტრუმი წაგრძელებული, თითისტარისებური. ალვეოლის ნაწილში კარგად დაცულ ფორმებს გვერდითი შევიწროება ემჩნევა; რის გამო მათ წელისებური მოხაზულობა აქვთ. ალვეოლის დასაწყისთან როსტრუმი ისევ გვერდებიდან შევიწროებულია. ყველაზე უფართოესი ადგილი როსტრუმის ქვედა მეოთხედის ზემოთ მდებარეობს. უფართოესი ადგილიდან ალვეოლისაკენ როსტრუმი თანდათანობით ვიწროვდება, ხოლო წვეტისკენ უფრო სწრაფად. ალვეოლს როსტრუმის სიგრძის დაახლოებით ერთმესამედი უკავია. ვენტრული ღარი ალვეოლის სიგრძეს აღემატება და მის ქვემოთ მნიშვნელოვან მანძილზე ჩადის.

ამ სახის განსაზღვრაში ავტორები ვერ თანხმდებიან. მათი შეხედულებანი საკმაოდ ვრცელადაა მოცემული გ. კრიშპოლცის მონოგრაფიაში [13]. ამ სახის სინონიმიკაში გ. კრიშპოლცმა შეიტანა *Hibolites subfusiformis* დ'ორბინის ყველა ფორმა. დ'ორბინის მიერ დასურათებული ფორმებიდან მე ამ სახეში ვათავსებ მხოლოდ ერთ ფორმას (ტაბ. IV, სურ. 13), ვინაიდან დანარჩენ ფორმებს ვენტრული ღარი შედარებით მოკლე აქვთ და უფართოესი ადგილი უფრო ქვემოთაა მოთავსებული, ვიდრე ეს *Hibolites jaculum*-ს ახასიათებს. აღწერილი სახე *Hib. longior* Schw.-ისგან განსხვავდება უფრო ქვედა ნაწილში მოთავსებული უფართოესი ადგილით და ნაკლებწაგრძელებული როსტრუმით.

სადაურობა: რიცეულა, სადმელი, შქმერი, კვაცხუთი (რავა) — პორტიველი და ბარემული; გაგრა (აფხაზეთი) — ბარემული; ქუთაისი — ქვ. აბტური; წყალტუბო — ქვ. აბტური.

გავრცელება: ჩრდილო კავკასია — ქვ. აბტის ქვედა ჰორიზონტი; ჩრდილო საფრანგეთი — პორტიველი და ბარემული.

Hibolites horeshaensis Rouchadzé

ტაბ. X, სურ. 1 a, b; 2 a, b; 3

1938 *Hibolites horeshaensis* Rouchadzé საქართველოს ზოგიერთი აბტური ცეფალოპოდები. ფ. 154, ტ. II, ნახ. 4 a, b.



ზოგებო

	ნომ. № 31	ნომ. № 26
R	68(944)	64+x
Al	5(83)	8+x
ბლ	28(388)	32+x
dy	5,8(80,5)	6,8(94,4)
ll	5,6(79)	5,6(90)
Dv	7,2(100)	7,2(100)
LL		8(111)
Pa	63(875)	56(777)
P	30(416)	28(500)

როსტრუმი წაგრძელებული, ვიწრო. უფართოესი ადგილი შუა ნაწილის ოდნავ უფრო ქვემოთაა. აქედან აპერტურისაკენ როსტრუმი თანდათან ვიწროვდება, რის გამო მისი ზედა ნაწილი ცილინდრული ფორმისაა. წვერისაკენ როსტრუმი უფრო სწრაფად ვიწროვდება. ალვეოლი მოკლეა და ვენტრული ღარი აღემატება მას 22—24 მილიმეტრით. გვერდითი ხაზები ოდნავ ემზნევა. აღწერილი სახე *Hib. longior*-ისაგან განსხვავდება უფრო პატარა როსტრუმით, უფრო მოკლე ფრაგმენტით და ვენტრული ღარით.

Hib. jaculum-ისაგან განსხვავდება უფრო მოკლე ფრაგმენტით, მოკლე ვენტრული ღარით და უფრო ვიწრო და სწორი როსტრუმით.

სადამურობა: ნიკორწმინდა—ბარემული; შქმერი—ნაყარიდან (რაქა)—მერგელოვანი კირქვები.

გავრცელება: ღორეშა (ხარაგოულის რაიონი) — ქვ. აბტური.

გვარი *Mesohibolites* Stolley 1919გენოტიპი—*Mesohibolites minaret* Raspail 1829

ყველა ქვედაცარცული ბელემნიტებიდან *Mesohibolites*-ის ჯგუფი გამოირჩევა უფრო დიდი როსტრუმით, ღრმა, კარგად დაცული ალვეოლით. როსტრუმის მოხაზულობა ოდნავ თითისტარისებურია. როსტრუმი პოსტალვეოლარულ ნაწილში შევიწროებულია დორსოვენტრული მიმართულებით. მუცლის ღარი კარგადაა გამოსახული და ალვეოლის დასაწყისის ქვემოთ ჩადის. ტკეჭვადონის სიბრტყის ქვედა საზღვარი იწყება ღერძის ხაზიდან ალვეოლის დასაწყისის ცოტა ქვემოთ და ხშირად როსტრუმის ზედაპირის მართობულია. ზედაპირის მახლობლად ის აიღუნება ზევით, ზოგჯერ კი ღერძის ხაზიდან ციკაბოდ აღის გარე ზედაპირისაკენ.

გავრცელება: ბარემული—აბტური.

Mesohibolites minaret Raspail

1829 *Belemnites minaret* Raspail. Hist. nat des Belemnites, p. 324, pl. 8, fig. 94.

- 1858 *Belemnites minaret* Pictet et Loriol. Néocomien des Voiron, p. 7, tab. I, fig. 8.
- 1907 *Hibolites minaret* Н. И. Каракаш. Нижнемеловые отложения Крыма, стр. 23.
- 1913 *Hibolites minaretiformis* М. С. Швецов. Белемниты Абхазии, стр. 54, табл. IV, рис. 5 a—f.
- 1935 *Mesohibolites minaret* З. А. Мишунина. Белемниты флиша Ю-З. Кавказа, стр. 11, таб. 1, рис. 3—4.
- 1939 *Mesohibolites minaret* Г. Я. Крымголец. Нижнемеловые Белемниты Кавказа, стр. 13, таб. 1, фиг. 12—14.

ზ ი მ ე ბ ი

ნომ. № 21

R.	66+x
Al	24(177)
ვლ	30(222)
dv	14,2(105)
ll	13,2(98)
Dv	13,5(100)
LL	14,8(109)
P.	34(257)
Pa	41(304)

ამ როსტრუმს ალვეოლარულ ნაწილში მცირე მომტვრევა ემჩნევა, როსტრუმი მასიური. მის ზედა ნაწილში შესამჩნევია გვერდითი შევიწროება, რომელიც ვენტრული ღარის ბოლოში ვენტრულ გაბრტყელებაში გადადის, ხოლო მის ქვემოთ ვენტრული ამოზნექილობაა, რომელიც როსტრუმს უშნო იერს აძლევს. ტეჩვადობის სიბრტყის ქვედა საზღვარი ცენტრული ღერძიდან ზევით, როსტრუმის ზედაპირისაკენ მიემართება.

მისი მსგავსი ფორმების *Mes. fallaxi*, *Mes. uhligi* და *Mes. semicanaliculatus*-ისაგან განსხვავდება უფრო გრძელი ალვეოლით და როსტრუმის უფრო მასიური და ტლანქი ფორმით.

ს ა და უ რ ო ბ ა : რაჭა, მდ. ბარულას მარჯვენა ნაპირი—ბარემული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ჩრდილო კაბრისტანის—ზედა ბარემული; აფხაზეთის—ბარემული ან ქვედა აბტური; ყირიმის—აბტური; დასავლეთ ევროპის—ბარემული და ქვედა აბტური.

Mesohibolites fallauxi Uhligi

ტაბ. II, სურ. 5 a, b; 6 a, b

ტაბ. III, სურ. 1 a, b

- 1883 *Belemnites fallauxi* Uhligi. Wernsdorfer Schichten, s. 53, taf. 1, fig. 4, 14.
- 1907 *Hibolites fallauxi* Н. И. Каракаш. Нижнемеловые отложения Крыма, стр. 24.
- 1939 *Mesohibolites fallauxi* Г. Я. Крымголец. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 14, таб. II, фиг. 1.



ზო მ ე ბ ი

	ნომ. 93—2	ნომ. 47—49	ნომ. 542
R	74 —X	78(624)	92(657)
Al	20(133)	22(176)	30(214)
ვლ	37(249)	41,5(332)	44(314)
dv	14(93)	12,2(97)	14(100)
ll	14(93)	11,4(91)	14(100)
Dv	15(100)	12,5(100)	14(100)
LL	16(106)	12,5(100)	15,5(11)
Pa	55(366)	55(440)	60(435)
P	33(220)	28(224)	40(285)

საშუალო სიდიდის მსხვილი როსტრუმი, საერთო აღნაგობა ოდნავ თითისტარისებური. უფართოესი ადგილი როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთაა. ალვეოლის ნაწილში შესანჩნევი გვერდითი შებრტყელება, რომელიც თანდათანობით გადადის დორსოვენტრულ გაბრტყელებაში. ვენტრული ღარი ალვეოლზე გაცილებით ქვემოთ ჩამოდის და როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთ გრძელდება. ალვეოლის დასაწყისის ცოტა ქვემოთ, გასწვრივ განაკვეთზე ჩანს ტყეჩადობის სიბრტყის ქვედა საზღვარი, რომელიც აბიკალური ხაზიდან როსტრუმის ზედაპირისაკენ აღის.

ამ სახესთან ახლო მდგომი ფორმებიდან უნდა აღინიშნოს *Mesohibolites minaret Rasp.* მრავალი ავტორი აიგვეებს ამ ორ სახეს. *Mes. minaret* განსხვავდება აღწერილი ფორმისაგან წვეტისაკენ უფრო წაგრძელებული როსტრუმით, უფრო გრძელი ალვეოლით და მოკლე ვენტრული ღარით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : აფხაზეთი, ბზიფი — ქვედა აბტური; რაჭა — შქმერი — ქვედა აბტური მერგელები.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ჩრდილო კავკასია — ქვ. აბტურის ქვედა შრეები; ყირიმი — ბიასალის აბტური თიხები *Mes. semicanaliculatus* და *Mes. minaret* თანერთად; სამხრეთ საფრანგეთი — აბტური; კარბატების ვენსდორფული შრეები.

Mesohibolites Uhligi Schwetsoff

ტაბ. III, სურ. 2, 3

1883 *Belemnites beskidensis* (pars.) Uhlig. Wernsdorf Schichten, s. 53, taf. 1, fig. 7 (non 3).

1913 *Hibolites Uhligi* M. C. Швенов. Белемниты Абхазии, стр. 55, табл. IV, рис. 6a—n; таб. V, рис. 8.

1939 *Mesohibolites Uhligi* Г. Я. Крымголец. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 15 (pars), таб. II, фиг. 3, 4, 5, 6.

ზო მ ე ბ ი

	ნომ. 20	(35—41)
R	74(740)	Dv 10(100)
Al	18 180)	LL 11,2(112)
ვლ	43(430)	Pa 56(560)
dv	10(100)	P 43(430)
ll	10(100)	

როსტრუმი გრძელია; დაახლოებით შუა ნაწილში ემჩნევა ოდნავ გვერდითი გაფართოება, რის გამო ლანცეტისებური მოხაზულობა აქვს. ალვეოლის ნაწილში განივი კრილი მრგვალი აქვს. ალვეოლი არ არის გრძელი, ვენტრული ღარი გრძელია. იგი ალემატება როსტრუმის ნახევარ სიგრძეს. სიგრძით კრილზე ჩანს კარგად დაცული მოკლე ფრაგმენტები. ზრდის ხაზები თანაბრად აქვს განვითარებული.

Mes. semicanaliculatus ამ ფორმისაგან განირჩევა ალვეოლის ნაწილში არსებული დორსოვენტრული შეხვეტილობით, უფრო ღრმად შეკრილი ალვეოლით და უფრო დაბლა მდებარე უფართოესი ადგილით. *Mes. reingarteni*-საგან განირჩევა უფრო გრძელი ღარით და უფრო მოკლე პოსტალვეოლარული ნაწილით. *Mes. gagricus*-ის დორსოვენტრული დიამეტრი (ალვეოლარულ ნაწილში) ალემატება გვერდით დიამეტრს და პოსტალვეოლარული ნაწილი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე *Mes. uhligi*-ს.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა: რაჭა—მდინარე რიცეულა, ნიკორწმინდა — მდინარე შაორი — ბარემული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა: აფხაზეთი — ახალი ათონი, გაგრა — ზედა ბარემული და თითქმის მთელი აბტური (*Hib. longus*, *Hib. elegans*, *Duvalia grasi*-სთან ერთად); ჩრდილო კავკასია — ნალჩიკი — ქვედა აბტურის ქვედა ჰორიზონტი; გაგრა — ქვ. ბარემული ნაცრისფერ მერგელებში.

Mesohibolites gagricus Schwetsoff

ტაბ. IV, სურ. 4

- 1913 *Hibolites gagricus* M. C. Швецов. Белемниты Абхазии, стр. 57, таб. IV, рис. 1a—d.
- 1935 *Hibolites gagricus* З. А. Мишунина. Белемниты флиша юго-вост. Кавказа, стр. 10, таб. 1, фиг. 1, 2.
- 1939 *Mesohibolites gagricus* Г. Я. Крымгольц. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 17, таб. III, фиг. 5, 6.

ზ ო მ ე ბ ი

ნომ. № 19—24

R	81 +x
Al	22(272)
3D	45(352)
dv	12,2(98)
ll	12(93)
Df	12,8(100)
LL	13,5(105)
Pa	59(460)
P	25 +X

ლანცეტისებური მოხაზულობის დიდი როსტრუმი; ალვეოლის დასაწყისთან დორსოვენტრული დიამეტრი ოდნავ ალემატება გვერდით დიამეტრს. ალვეოლის დასაწყისის ზემოთ გვერდითი შევიწროება უფრო ნათელია. უფართო-

ესი ადგილი მოთავსებულია როსტრუმის ქვედა მესამედის ზედა ნაწილში. აქ როსტრუმს ემჩნევა გვერდითი გაფართოება. ალვეოლს დაახლოებით როსტრუმის მთელი სიგრძის $\frac{1}{4}$ უჭირავს. ვენტრული ღარი ალვეოლის დასაწყისს 23 მილიმეტრით აღემატება. მ. შვეცოვი აღნიშნავს, რომ *Mes. gagricus*-ს მთელი სიგრძის გასწვრივ დორსოვენტრული გაბრტყელება ახასიათებს; ზ. მიშუნინაც ამას ადასტურებს. გ. კრიმპოლცი კი უარყოფს იმ მოსაზრებით, რომ მან დაათვალიერა მ. შვეცოვის კოლექცია და მის მიერ *Mes. gagricus*-ად აღწერილი 2 ნიმუში, რომელთაგან ერთს დორსოვენტრული მხარე მოტეხილი აქვს და მისი დიამეტრი ზუსტად არ გაიზომება. მეორე ნიმუში დეფორმირებულია ისე, რომ ამ ორი ნიმუშის საფუძველზე მთელი როსტრუმის გასწვრივ დორსოვენტრული შევიწროების დამტკიცება შეუძლებელია. გ. კრიმპოლცის მიერ აღწერილი *Mes. gagricus*-ს ალვეოლის ნაწილში დორსოვენტრული დიამეტრი გვერდითს აღემატება, ისე როგორც ჩემს ნიმუშსაც აქვს.

ზ. მიშუნინას აღწერით *Mes. gagricus*-ს უფართოესი ადგილი უფრო ქვემოთ აქვს მოთავსებული, ვიდრე შვეცოვის ნიმუშებს.

Mes. rengarteni-საგან *Mes. gagricus* განირჩევა უფრო ღრმად შეჭრილი ალვეოლით და უფრო გრძელი ვენტრული ღარით. უფართოესი ადგილიც უფრო მაღლა აქვს მოთავსებული.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : რაქა — ნიკორწმინდა — ბარემული.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : აფხაზეთი — გაგრა — ბარემული კარქეები; ჩრდილო კავკასია — ბაქსანი — ქვედა აპტურის ქვედა ჰორიზონტი.

Mesohibolites schaoriensis sp. n.

ტაბ. IV, სურ. 1 a, b

ზ ო მ ე ბ ი

R.	76(643)
Al.	21(177)
ვლ.	37(313)
dv.	10(84)
ll.	11,5(97)
Dv უფართოეს ადგილას (აპერტურთან)	11,8(100)
LL.	11,8(100)
d ₁ v ₁ ვენტრ. ღარის ბოლოსთან	9(76)
l ₁ l ₁	11(93)
Pa.	55(478)
P.	76(644)

ეს ნიმუში აპერტურიდან წვეტამდე თანაბრად ვიწროვდება. მისი უფართოესი ადგილი თვით აპერტურასთან არის. როსტრუმი ეკლისებური წვეტით ბოლოვდება (*Belemnitella*-ს მუკროს მსგავსად). როსტრუმის ზედაპირს გარშემო მუქი და ღია ფერის მრგვალი ზოლები ემჩნევა. გვერდიდან ჩანს, რომ ზოლები მუცლის მხარისაკენ ოდნავ დაქანებულია. ფრაგმენტი კარგად არის დაცული და დაახლოებით როსტრუმის სიგრძის ერთ მესამედ-

ზეა შექრილი მასში. მუცლის ღარი გრძელია და როსტრუმის თითქმის ნახევარ სიგრძეზე ვრცელდება. ტერეზალი სიბრტყის ქვედა საზღვარი არ ჩანს. აპერტურასთან განივი კრილი თითქმის მრგვალია. მუცლის მხარის გაბრტყელება მთელ როსტრუმს გასწვრივად ემჩნევა, შუა ნაწილში კი გაბრტყელება უფრო თვალსაჩინოა.

ზემოთ აღწერილი როსტრუმის უფართოესი ადგილის აპერტურასთან მდებარეობა, აქედან წვეტამდე თანაბარი, თითქმის შეუმჩნეველი შევიწროება და ეკლისებური წანაზარდით დაბოლოება ამ ნიმუშს აძლევს განსაკუთრებულ იერს, რითაც მას ასხვავებს ყველა ჩვენთვის ცნობილი გვარების წარმომადგენლებისაგან. გვარ *Hibolites*-ს, *Mesohibolites*-სა და *Neohibolites*-ს ახასიათებს თითისტარისებური მოხაზულობა, რაც გამოწვეულია უფართოესი ადგილის ალვეოლის ქვემოთ მდებარეობით. გვარი *Parahibolites* ხასიათდება გვერდების შეზნეილობით. უფართოესი ადგილი მას, ისე როგორც ზემოთ მოხსენიებული გვარების წარმომადგენლებს, ალვეოლის ქვემოთ აქვს მოთავსებული. ვფიქრობ, რომ სხვა გვარების წარმომადგენლებისაგან ასეთი მკვეთრი განსხვავება ნებას მაძლევს, რომ ის ახალ გვარად გამოვეყო, მხოლოდ მასალის უქონლობის გამო (მე მაქვს მხოლოდ 2 ნიმუში—ერთი მთელია, მეორე—ნახევარი) პირობითად ვათავსებ გვარ *Mesohibolites*-ში, ვინაიდან სხვა გვარებთან შედარებით მასთან მეტ მსგავსებას (ზომებით და ალვეოლარული ნაწილის კარგი დაცულობით) იჩენს. ამ ნიმუშის მსგავსი ფორმა ვნახე კრიმპოლცის კოლექციაში (ნიმ. № 70). მას ეს ნიმუში ახალ სახედ, სახელდობრ *Mesohibolites nalcikensis*-ად აქვს აღწერილი. კრიმპოლცს არ აქვს მოხსენიებული, თუ სად მდებარეობს უფართოესი ადგილი; მას მხოლოდ ნათქვამი აქვს, რომ *Mes. nalcikeusis*-ის უფართოესი ადგილი მოთავსებულია უფრო ქვემოთ, ვიდრე *Mes. uhligi*-ს, რომლის უფართოესი ადგილი ალვეოლის დასაწყისის ცოტა ქვემოთაა. მაშასადამე, *Mesohil. nalcikensis*-ს უფართოესი ადგილი კიდევ უფრო ქვემოთ ჰქონია. გარდა ამისა, *Mes. nalcikensis*-ის ალვეოლი უფრო შოკლეა და როსტრუმს ბოლოში არ აქვს მუკროსებური წაწვეტება. ზემოთ მოხსენიებულის მიხედვით მე აღწერილ ნიმუშს პირობითად ვაკუთვნებ *Mesohibolites*-ის გვარს და ახალ სახედ *Mesohibolites schaoriensis*-ად გამოვეყოფ.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : ნიკორწმინდა (რაქა)—ბარემული.

Mesohibolites beskidensis Uhlig

ტაბ. IV, სურ. 2, 3

1883 *Belemnites beskidensis* (pars) Uhlig. Wernsdorfer Schichten, s. 5, 53, taf. 1, fig. 3 (non 7).

1898 *Belemnites beskidensis* Simonescou. Neocom. din Dimbovicierei, p. 107, tab. 1, fig. 4.

1910 *Belemnites (Hibolites) beskideusis* Kilian Unterkreide (paleocretacicum), p. 321.

1939 *Mesohibolites beskidensis* Г. Я. Крымгольц. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 16, таб. III, фиг. 2—4.

ზოგები

	ნომ. № 91	ნომ. 12—28
R . . .	92(836)	107(972)
Al . . .	38(345)	40(354)
ვლ . . .	49(445)	53(410)
dv . . .	10(90)	11(100)
ll . . .	11,2(101)	11,8(107)
Dv . . .	11(100)	11(100)
LL . . .	12(109)	12(100)
Pa . . .	54(490)	66(600)
P . . .	60(545)	60(545)

გრძელი როსტრუმი ძლიერ წაგრძელებული უკანა ბოლოთი; საერთო ფორმით მოგვაგონებს ყინულის ლოლუას. ფრავაკონი როსტრუმის შუა ნაწილამდე ვერ აღწევს. ვენტრული ქლარი ალვეოლს 11—13 მილიმეტრით აღემატება. იმ სახისათვის დამახასიათებელია ის, რომ უფართოესი ადგილი მდებარეობს ალვეოლის დასაწყისის ზემოთ. მთელი სიგრძის გასწვრივ როსტრუმს გვერდითი გაფართოება ემჩნევა. აღწერილი ფორმა ყველა დანარჩენ სახეობაზე მკვეთრად განსხვავდება თვისი წაგრძელებული, კონუსურად გაწვდილი ბოლოთი და ალვეოლის დასაწყისის ზემოთ მდებარე უფართოესი ადგილით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : რაქა — შქმერი — ქვ. აბტური; ვაგრა — ზედა ბარემული; გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ჩრდილო კავკასია — ბაქსანი და ნალჩიკი — ქვ. აბტური; მდ. ფშიხა სამურსკი ხუტორის ახლოს — ქვ. აბტური; კარპატის ვენს-ლორფის ფენები; სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი — ქვ. აბტური.

Mesohibolites Rengarteni Krimgolz

ტაბ. VI, სურ. 1 a, b; 2 a, b

1939 *Mesohibolites rengarteni* Крымгольц Г. Я. Нижнемеловые белесы
 Кавказа, стр. 18, таб. IV, фиг. 1, 2.

ზოგები

	ნომ. № 26—47—49	ნომ. № 257—53
R . . .	91(728)	93(710)
Al . . .	17(141)	25(172)
ვლ . . .	35(280)	39(268)
dv . . .	12,2(97)	14(96)
ll . . .	13(104)	14(96)
Dv . . .	12,5(100)	14,5(100)
LL . . .	14(112)	15(103)
Pa . . .	71(569)	67(462)
P . . .	45(360)	43(295)

ეს ნიმუშები ლანციტისებური ფორმისაა. უფართოესი ადგილი როსტრუმის შუა ნაწილშია და ამ ადგილიდან როსტრუმი წვერისაკენ თანაბრად ვიწროვდება და ბოლოვდება ცენტრული წვეტით, აპერტურისკენ კი როსტრუმი თითქმის შეუმჩნეველად ვიწროვდება; მაქსიმალური შევიწროება

ალეგოლის ქვედა ნაწილშია, ზემოთ როსტრუმი ისევე ოდნავ ფართოვდება. საერთო მოხაზულობა ალეგოლის ნაწილში ოდნავ წელისებურია, ფრაგმენტონი არ არის ღრმად შეჭრილი როსტრუმში, კარგად დაცულია, ემჩნევა კამერებად დაყოფა. ვენტრალური ღარი გრძელია. ის ფრაგმენტონს 18—14 მილიმეტრით აღემატება. ერთ ნიმუშს (№ 47—49) გვერდებზე ორმაგი ლილეაკი ეტყობა, რომელიც თითქმის წვეტამდის გრძელდება. *Mesohib. gagricus*-თან და *Mes. uhligi*-საგან მსგავსებისა და განსხვავების შესახებ მოხსენიებული მაქვს მათი აღწერისას. *Mesoh. semicanaliculatus*-ისაგან განიჩევა უფრო მოკლე ალვეოლით და აგრეთვე მით, რომ ალვეოლის ნაწილში მას არ ემჩნევა დორსოვენტრული შევიწროება.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : რაჭა, შქმერი—ზედა ბარემული; ქუთაისი—ქვ. აბტური;

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ჩრდილო კავკასია—ნალჩიკი—ქვ. აბტური; აფხაზეთი—გაგრა—ბარემული და აბტური.

Mesohibolites longus Schwetzoff

ტაბ. I, სურ. I

1913 *Neohibolites longus* Швецов М. С. Белемниты Абхазии, стр. 59, таб. V, рис. 1 a—f, 8 b; таб. III, рис. 5.

1926 *Neohibolites longus* Ренгартен В. П. Фауна меловых отложений на Сев. Кавказе, стр. 39.

1939 *Mesohibolites longus* Крымголец Г. Я. Нижнемеловые отложения Кавказа, стр. 19, таб. IV, фиг. 6.

ზ ო მ ე ბ ი

R . . .	112(933)
Al . . .	38(316)
ვლ . . .	60(500)
dv . . .	12,2(101)
ll . . .	12(100)
Dv . . .	12(100)
Ll . . .	13(108)
Pa . . .	74(617)
P . . .	54(450)

წაგრძელებული ვიწრო როსტრუმი, ალვეოლის დასაწყისთან გვერდებიდან ოდნავ შევიწროებული, ვენტრული ღარის დაბოლოებასთან ემჩნევა-ლატერალური გაფართოება. ალვეოლი ჩაღრმავებულია როსტრუმში მისი სიგრძის თითქმის ერთ მეოთხედზე. ვენტრული ღარის სიგრძე ბევრად აღემატება ალვეოლის სიგრძეს; ტეჩეადომის სიბრტყე ემჩნევა, მაგრამ მისი ქვედა საზღვარი ბუნდოვანია. უფართოესი ადგილი დაახლოებით შუა როსტრუმშია.

ეს ნიმუში სიგრძით განსხვავდება სხვა *Mesohibolites*-ისაგან და თავისი წაგრძელებული ფორმით უფრო *Mes. semicanaliculatus*-ს წააგავს; განსხვავდება მისგან უფრო სწორი და წაწვეტებული როსტრუმით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : წყალტუბო—ქვ. აბტური.



გავრცელებდა: აფხაზეთი—ახალი ათონი, გაგრა, ხევი—ქვედა აბტური; რაჭა—ხიდიგარი, შქმერი—ქვ. აბტური მერგელოვანი კირქვები; ჩრდილო კავკასია—ქვედა აბტურის ქვედა ჰორიზონტი.

Mesohibolites Semicaniculatus Blainville

- ტაბ. VII, სურ. 1 a, b, 2, 3; ტაბ. VIII, სურ. 1 a, b; 2 a, b; ტაბ. IX, სურ. 1 a, b; 2 a, b.
- 1827 *Belemnites semicanaliculatus* Blainville. Mem. sur les Belemnites, p. 67, pl. 1, fig. 13.
- 1840 *Belemnites semicanaliculatus* d'Orbigny. Paléont. française, terr. crétacées, v. 1, p. 58, pl. V, fig. 10—15.
- 1841 *Belemnites semicanaliculatus* Duval—Jouve. Belemnites de Castellane, p. 74, pl. XI, fig. 7 (non 5,6,8—12).
- 1845 *Belemnites semicanaliculatus* d'Orbigny. Pal. univ. p. 343, pl. 74, fig. 7—9; pl. 76, fig. 10—15.
- 1847 *Belemnites smicanaliculatus* d'Orbigny. Terr. crét. supplement, p. 23, pl. IX, fig. 7—9.
- 1855 *Belemnites semicanaliculatus* d'Orbigny. mollusque viv. et. fossiles, p. 536.
- 1897 *Belemnites semicanaliculatus* Каракаш Н. И. Меловые отложения Кавказ. хр., стр. 87, таб. IV, рис 1 (non 2).
- 1898 *Belemnites semicanaliculatus* Anthula. Über die Kreid foss. des Kaukasus, s. 93.
- 1910 *Belemnites (Nechibolites) semicanaliculatus* Kilian. Unterkreide (palaeocretacicum), s. 321, taf. XI, fig. 2.
- 1913 *Hibolites cf. semicanaliculatus* Швецов М. С. Белемниты Абхазии стр. 62, таб. V, рис. 2a (non 2b).
- 1913 *Hibolites uhligi* Швецов М. С. Белемниты Абхазии, стр. 55, т. VI, рис. 6 a, b, d, c, f (non 6 g, h.)
- 1926 *Hibolites uhligi* Ренгартен В. П. Фауна меловых отложений на Сев. Кавказе, стр. 38.
- 1930 *Hibolites semicanaliculatus* Rouchadzé. Notice sur les belemnites et les Naut., p. 126, pl. I.
- 1939 *Mesohibolites uhligi* Крымгольц Г. Я. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 15 (pars), т. II, fig. 8, 9; т. III, fig. 1.

ზ ი მ ე ბ ი

№№ ნიმუშების	83—15(3)	83—15(4)	83—16(5)	83—16(6)	83—16(7)
R	114(844)	115(920)	95+X	107+X	108+X
Al	41(304)	44(352)	30+X	41(292)	52(270)
ვლ	65(481)	60(480)	47(346)	54(385)	70(365)
Dv	14(104)	13,5(108)	15(121)	15(107)	18(93)
ll	14,5(107)	14,5(116)	15,5(115)	16(114)	19(98)
Dv	13,5(100)	12,5(100)	13,5(100)	14(100)	19,2(100)
LL	15(111)	14,5(116)	15(111)	16,5(115)	18(93)
მ.ვ. ალვეოლის ნაწილში	15(111)	12,5(100)	15,5(115)	15,5(110)	18,5(96)
l ₁ l ₁	14(100)	13,5(108)	14,5(107)	14(100)	18(93)
Pa	79(533)	71(56)	65(481)	67(477)	58(322)
P	57(414)	57(456)	46(340)	57(407)	52(288)



საქართველოს ცარცული ბელემნიტები

№№ ნიმუშების	83—16(10)	80—256(8)	80—251(9)	257—51(1)	257—51(2)
R	118(843)	97+X	91(791)	117(730)	96+X
Al	43(307)	38(292)	30(260)	41(256)	47(313)
ვლ	60(423)	52(400)	50(434)	51(318)	58(386)
dv	14(100)	13(100)	12,2(106)	16,5(103)	15,5(103)
il	14,5(104)	14(107)	13(113)	18(113)	16,2(107)
Dv	14(100)	13(100)	11,5(100)	16(100)	15(100)
LL	15(107)	14(107)	13(113)	19(118)	16,2(108)
d ₂ v ₁ ალვეოლის ნაწილში	13,5(90)	14(107)	12(104)	17(106)	16,5(110)
h ₁	15(107)	13,5(103)	11,5(106)	17(106)	15,5(103)
Pa	71(507)	57(438)	64(556)	75(466)	46+X
P	52(371)	48(369)	57(408)	60(375)	46+X

დიდი წაგრძელებული როსტრუმი, რომლის მოყვანილობა მუცლის მხრიდან ოდნავ თითისტარისებურია, ხოლო გვერდიდან კონუსურ-ცილინდრული. უკანა დაბოლოებისაკენ ის თანდათან ვიწროვდება და მთავრდება ცენტრულად მდებარე წვეტით. ალვეოლარულ ნაწილში როსტრუმი გვერდებიდან ოდნავ შექცეულია. გვერდის შევიწროება წვეტისაკენ თანდათან გადადის დორსოვერტრულ შევიწროებაში და მუცლის ღარის ბოლოსთან, სადაც როსტრუმი გაბრტყელებულია, იგი მაქსიმუმს აღწევს. მუცლის ღარი ძლიერაა შეჭრილი როსტრუმში და როსტრუმის შუა ნაწილის ცოტა ქვემოთკენ მიიმართება. ალვეოლის ჩაღრმავება როსტრუმის 1/3-ზე ან მეტ მანძილზე შეიმჩნევა. ფრაგმკონი კარგი დაცულობისაა. გასწვრივ კრილზე შესამჩნევია ტკეჩვადობის სიბრტყე, რომლის ქვედა საზღვარი ბუნდოვანია. ალვეოლის გასწვრივ და ცოტა მის ქვემოთ შესამჩნევია უფრო ღია ფერის შრეები (შტოლეის მიხედვით ემბრიონული როსტრუმი); ალვეოლა ოდნავ მიწეულია ზურგის მხარისაკენ.

თავისი გარეგანი ნიშნებით და როსტრუმის ფორმის მიხედვით ზემოთ აღწერილი როსტრუმი იდენტურია *Belemnites semicaliculatus* Bl.-ის. ამევე სახელწოდებით სხვა ავტორებს აღწერილი აქვთ სავსებით განსხვავებული ფორმები. ერთი და იგივე მკვლევრებიც კი ამ სახეში აერთიანებენ სხვადასხვა სახეს და ზოგჯერ გვარებსაც კი. თითქმის ყველა მკვლევარი ამ სახის აღწერის დროს ამ საკითხს ეხება და ხაზს უსვამს ამ სახის გაგებაში არსებულ აზრთა სხვაობას. ამ არე-დარევის გასარკვევად და გასათვალისწინებლად იმისა, თუ სახელდობრ რომელი როსტრუმები ეკუთვნიან *Bel. semicaliculatus* Bl.-ს, მოვიყვანე მისი გამოყოფისა და აღწერის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას.

პირველად 1827 წ. ბლენვილმა [36] დაადგინა *Belem. semicaliculatus*-ისი აღწერა საკმაოდ ნათელი არ არის. მისი აღწერით როსტრუმი ცილინდრულია, თითისტარისებური ან ოდნავ შუბისებური, შუა ნაწილში უფრო გაფართოებული, ვიდრე ბოლოებში. წვერი ცენტრში მდებარეობს და ოდნავ წაწვეტებულია. მუცლის ღარი საკმაოდ ღრმა და მოკლეა, დასაწყისთან ნასვრეტს ქმნის. ალვეოლი ღრმაა და მას გარე ღართან დამაკავშირებელი შიგა ღარი აქვს. მას ეს ფორმა ღარიან ბელემნიტებიდან ნასვრეტთანებში გარდამავალ ფორმად მიაჩნია.



ქართული
მეცნიერებათა
აკადემია

ამ აღწერას თან ახლავს ნახატი, რომელზედაც წარმოდგენილია ტრუმეი გრძელი მუცლის ღარით. ეს უკანასკნელი როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთ ჩადის, რაც არ შეეფერება ბლენვილის მიერვე აღნიშნულს, რომ მუცლის ღარი *Bel. semicanaliculatus*-ს მოკლე აქვს.

არანათელი აღწერა და სურათის ტექსტთან შეუსაბამობა დაედო საფუძვლად იმას, რომ შემდეგი მკვლევრები ამ ფორმაში აერთიანებდნენ სამი სხვადასხვა გვარის სახეებს (*Hibolites*, *Mesohibolites* და *Neohibolites*).

1840—42 წ. ღორბინი თავის შრომაში [41] აღწერს *Bel. semicanaliculatus*-ს — როგორც დიდ ფორმას გრძელი მუცლის ღარით და ძლიერ კარგად დაცული ფრაგმენტით. მანვე [43] 1847 წ. აღწერა *Bel. semicanaliculatus* როგორც პატარა ფორმა ცუდად დაცული ალვეოლარულ ნაწილით, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა წინა შრომებში მის მიერვე აღწერილი ფორმებიდან.

დიუვალ-ჟუემა [38] 1841 წ. შეცდომად ჩათვალა ბლენვილის აზრი იმის შესახებ, რომ *Bel. semicanaliculatus* გარდამავალი ფორმაა ღარიან ბელემნიტებიდან ნასვრეტიანი ბელემნიტებისაკენ. მისი და ღორბინის აზრით, ეს ნასვრეტი წარმოქმნილია შემთხვევით ბელემნიტებისათვის დამახასიათებელი ვენტრული ღარის გასწვრივი გახლეჩვის თვისების გამო. დიუვალი აღნიშნავს, რომ ღორბინის აღწერამ მას ამ სახეში გარკვევის საშუალება მისცა. ცხადია, რომ ის ეყრდნობოდა ღორბინის „Paleontologie française“-ში აღწერილ *Belemnites Semicanaliculatus*-ს (ღორბინის Supplement გამოვიდა მხოლოდ 1847 წელში).

დიუვალ-ჟუემა ამ სახედ აღწერა და დაასურათა სხვადასხვა გვარის ბელემნიტები ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებული, რომ კლიანმა [39] იმათგან სამი სხვადასხვა სახე და ორი სახესხვაობა გამოყო. ასეთ მრავალფეროვნებას მის მიერ აღწერილ *Belem. semicanaliculatus*-ში დიუვალი მათი ასაკობრივი სხვაობით ხსნის, რაც მიუღებელია, ვინაიდან ისინი განსხვავდებიან არა მარტო სიდიდით, არამედ სხვა არსებითი ნიშნებითაც. დიუვალს *Bel. minimus*-იც *Bel. semicanaliculatus*-ის სახესხვაობად მიაჩნია, რაშიც ღორბინი [43,44] მას არ ეთანხმება. დიუვალ-ჟუესის შრომაში მოყვანილ *Bel. semicanaliculatus*-ის სურათებიდან მხოლოდ ერთი (taf. XI, fig. 7, non fig. 5, 6, 8—12) ესატყვისება *Bel. semicanaliculatus*-ს ბლენვილის და ღორბინის (Paleont française non Supplement).

1845—55 წ. ღორბინი [43,44] კვლავ აღწერა *Belem. semicanaliculatus*, როგორც დიდი ფორმა კარგად დაცული ფრაგმენტით, მაგრამ აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ფორმები ძლიერ წვრილია და ადვილად იხლინება, რის გამო აქტინოკამაქსის მიავარ ფორმებს ქმნის.

ღორბინის ეს შეხედულება არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან ზრდამათარებელი ფორმების ალვეოლი ყოველთვის კარგი დაცულობისაა, რაც თვით ღორბინის მიერ მოცემული სურათებიდან ნათლად ჩანს.

ასეთივე უთანხმოება არსებობს მრავალი ავტორის აღწერებში. *Bel. semicanaliculatus*-ად ზოგმა აღწერა მხოლოდ დიდი ფორმები მსგავსი ბლენვილის, ღორბინის (non Supplement.), დიუვალ-ჟუესის (taf. XI, fig.

7, non 5, 6, 8—12) ფორმებისა და შეადარა მათ *Mes. beskidensis*, *Mes. fallauxi* და *Mes. minarets* (ანტულა, კაზანსკი, კილინი, შვეცოვი, რუხბაძე). ზოგმა აღწერა დიდი ფორმები და სრულიად განსხვავებული პატარებიც (დ'ორბინი, დიუვალ-ჟუვი, კარაკაში, პიკტე), ზოგმა კი *Bel. semicanaliculatus*-ად აღწერა მხოლოდ პატარა ფორმები ცუდად დაცული ალვეოლით (სტრომბეკი, შტოლცი, კრიმპოლცი).

კილიანმა [39] 1910 წ. ყველა მანამდე აღწერილ *Belemnites semicanaliculatus*-იდან გამოყო ორი სახესხვაობა: 1) *Bel. (Neohib.) semicanaliculatus* Bl., mut. *major* Kilian და 2) *Bel. (Neohib.) semicanaliculatus* Bl., mut. *minor*. ამ ორი სახესხვაობიდან კილიანის აზრით, mut. *major* ესატყვისება *Bel. semicanaliculatus* El-Bel. *semicanaliculatus* d'Orbigny (non supplement)-*Bel. semicanaliculatus* Duval-Jouve (pl. XI, fig. 7, non 5, 6, 8—12).

კილიანი აღნიშნავს, რომ *Belemnites semicanaliculatus* Bl. (typus), რომელთანაც აერთიანებს mut. *major*-ს, ჰგავს *Bel. minaret* Rasp.-ს და *Bel. fallauxi* Uhl.-ს (გვარი *Mesohibolites* Stoll-ის წარმომადგენლები). *Bel. (Neoh.) semicanaliculatus* mut. *minor*-ში ის აერთიანებს ყველა პატარა და ცუდად დაცულ ალვეოლიან და აქტინოკამაქსისმაგვარ ფორმებს და განიხილავს მათ, როგორც *Neohibolites*-ის ერთმანეთთან ახლოს მდგომ რიგებს, მაშინ როდესაც სხვა მკვლევრები მათ იხილავენ როგორც *Bel. semicanaliculatus*-ს, მას mut. *minor* შეაქვს *Bel. (Neoh.) aptiensis*-ის სინონიმიკაში, ისე როგორც დ'ორბინის [43] და დიუვალ-ჟუვის [38] pl. XI, fig. 5, 6, 8—12 *semicanaliculatus*-ად აღწერილი ფორმები.

შტოლციმ [56] *Neoh. semicanaliculatus*-ად აღწერა პატარა ფორმები ცუდად დაცული ალვეოლარული ნაწილით და, გვარ *Neohibolites*-ის გენოტიპად ჩათვალა.

ბიულოვ-ტრუმერმა შეადგინა ცეფალოპოდების კატალოგი [37], რომელშიც *Bel. semicanaliculatus*, შტოლცის მიხედვით, *Neohibolites*-ის გვარს წიაკუთვნა და მის სინონიმიკაში შეიყვანა ამ სახელწოდებით აღწერილი ყველა ფორმა და ზოგი სხვა სახეც (*Bel. integer* Rasp., *Bel. pistilliformis* Rasp., *Bel. minaret* Pictet et Loriol).

1939 წ. გ. კრიმპოლცმა [13] *Neohibolites semicanaliculatus*-ად აღწერა პატარა ფორმები პსევდოალვეოლით და სხვა გვარი *Neohibolites*-ისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. კრიმპოლცის აზრით, მის მიერ აღწერილი ნიშნულები განსხვავდებიან დ'ორბინის (Pal. française, pl. XI, fig. 10—15, non supplement) და დიუვალ-ჟუვის (pl. XI, fig. 7, non 5, 6, 8—12) *Bel. semicanaliculatus*-ისაგან მხოლოდ ალვეოლის სიმოკლითა და პოსტალვეოლარული ნაწილის სიგრძით. მისი აზრით, ეს ნიშნები არსებითია, მაგრამ ის ამ განსხვავებას ხსნის იმით, რომ ძველ მკვლევრებს აღწერილი ჰქონდათ დიდი როსტრუმები, რომლებსაც ყოველთვის უჩნდებოდა პსევდოალვეოლი. ეს აზრი არ არის დასაბუთებული, თუნდაც იმიტომ, რომ დ'ორბინი მიუთითებს ფრაგმენტის კარგ დაცულობაზე, რაც მის მიერ მოცემული სურათებითაც დასტურდება (ტაბ. V, სურ. 13), სადაც ცხადად ჩანს იდეალური დაცულობის ფრაგმენტი საწყისი კამერით; ასე რომ ფსევდოალვეოლზე ლაბარაკი ზედ-



მეტია. მასადაამე, კრიმოლოცის მიერ აღნიშნული არსებითი განსხვავება მის მიერ აღწერილ *N. semicanaliculatus*-ისა და ღ'ორბინის და დიუვალ-ჟუვის ფორმებს შორის ძალაში რჩება და კრიმოლოცი შეცდომით აიგივებს მათ. გაუგებარია, თუ რატომ ფიქრობს კრიმოლოცი, რომ „დიდ ფორმებში მუდამ ჩნდება ფსევდოალღვეოლი“, მაშინ როდესაც დაკვირვება საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. გაუგებარია აგრეთვე, თუ კრიმოლოცი მის მიერ აღწერილ *N. semicanaliculatus*-ის პატარა ფორმებს რატომ ადარებს *Mes. minaret*—*Rasp*-ს და *Mes. uhligi* Schw.-ს, რომლებიც მკვეთრად განირჩევიან გვარი *Neohibolites*-ის წარმომადგენლებისაგან.

Bel. semicanaliculatus-ის ისტორიული განხილვით ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ სახის განსაზღვრაში აზრთა სხვაობა წარმოიშვა ბლენვილის მიერ ამ სახის არანათელი აღწერისა და აღწერის დასურათებასთან შეუსატყვისობის გამო. შემდეგში ღ'ორბინიმ და დიუვალმა ამ სახელწოდებით აღწერეს ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებული როსტრუმები, რომ შემდეგი ავტორები იმათგან ნაწილს ადარებენ *Mesohibolites*-ის გენოტიპს *Mes. minaret*-ს და ამ გვარის სხვა წარმომადგენლებს, ზოგს კი გვარ *Neohibolites*-ის გენოტიპად მიაჩნიათ.

კილიანმა ზედმიწევნით დაამუშავა ეს საკითხი და გამოყო დიდი როსტრუმები *Bel. (Neoh.) semicanaliculatus* mut. *major* Kil-ის სახელწოდებით და მიამსგავსა ეს გვარი *Mesohibolites*-ის წარმომადგენლებს (*Mes. fallauxi* და *Mes. [minaret]*). კილიანი რომ მათ პირობითად გვარ *Neohibolites*-ს აკუთვნებს, აიხსნება იმით, რომ შტოლეს კლასიფიკაცია იმ დროს არ იყო საესებით დადგენილი და ზუსტი განსხვავება გვარ *Hibolites*-ს, *Mesohibolites*-სა და *Neohibolites*-ს შორის ჯერ არ იყო დადგენილი. კილიანი აღნიშნავს, რომ შტოლეს მიერ დადგენილი *Neohibolites*-ის გვარის ფარგლები ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ განსაზღვრული და შესაძლებელია *Hibolites*-საც სახელი შეეცვალოს.

1919 წ. შტოლიემ [56] დაადგინა გვარი *Mesohibolites* და მასში გააერთიანა ქვ. ცარცის ყველა დიდი როსტრუმები პოსტალგეოლარულ ნაწილში დოქსოგენტრული გაბრტყელებით, ღრმა და კარგად დაცული ალვეოლით ქვემოთ ჩამავალი მუცლის ღარით. ამ გვარის გენოტიპად მან *Mesoh. minaret* *Rasp*-ის მიიღო.

მე მგონია ჩვენ უფლება გვაქვს *Bel. semicanaliculatus*-ის ტიპური ფორმები მივაკუთვნოთ გვარ *Mesohibolites*-ს, ვინაიდან ისინი ყველა ნიშნებით ესატყვისებიან მას; მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ავტორთა მიხედვით (ანტულა, კაზანსკი, შვეცოვი, რუხაძე) და კილიანის მითითებით, *Bel. semicanaliculatus* *Bel. (typus)* აქვს მსგავსება გვარ *Mesohibolites*-ის წარმომადგენლებთან, რის შესახებ მე მოვიხსენიე ზემოთ.

რაც შეეხება შეცდომით *Bel. semicanaliculatus*-ად განსაზღვრულ პატარა როსტრუმებს (ღ'ორბინი (*Supplements*), დიუვალ-ჟუვი, შტოლე, კრიმოლოცი და სხვ.) უდალ დაცული, ხშირად აქტინოკამაქსისმაგვარი, ალვეოლარული ნაწილით, უნდა მივიღოთ გვარ *Neohibolites*-ის სხვადასხვა სახილ მიმისა მიხედვით, თუ რომელ სახესთან აქვთ მათ მსგავსება.

აღწერილი სახე მსგავსი *Mes. minaret* Rasp.-ისაგან განსხვავდება ნაკლებ ზიარმაღვებული ალვეოლით და უფრო წაგრძელებული, მოყვანილი როსტრუმით.

Mes. beskideusis Uhl. *Mesohibolites*-ის უველა წარმომადგენლისაგან განსხვავდება წაგრძელებული უკანა ბოლოთი, კერძოდ, *Mes. semicanaliculatus*-ისაგან იგი განსხვავდება უფართოეს ადგილას უფრო მცირე დორსოვენტრული შევიწროებით.

Mes. rengarteni Krim. უფრო თითისტარისებური ფორმაა და მას უფართოეს ადგილას დორსოვენტრული დიამეტრი მეტი აქვს, ვიდრე ილვეოლარულ ნაწილში, რაც *Bel. semicanaliculatus*-ს არ ახასიათებს.

Mes. fallauxi Uhligi განსხვავდება *Mes. semicanaliculatus*-ისაგან უფრო მოკლე როსტრუმით და ალვეოლით. ვარდა ამისა, *Mes. fallaux*-ს აქვს უფრო ბლაგვი უკანა დაბოლოება. შეეცოვის მიერ დადგენილი *Mes. uhligi*-ს ზოგი ფორმა იდენტურია *Mes. semicanaliculatus*-ის, მხოლოდ ნიმუში № 6 a, b მკვეთრად განსხვავდება მისგან საერთო ფორმით, უფრო გრძელი ფრაგმენტით და მუცლის ღარივით. შეეცოვი აღნიშნავს ამ ნიმუშის მსგავსებას *Mes. beskideusis*-თან და მხოლოდ იმითმ არ აკუთვნებს მას, რომ სიგრძითი კრილზე არ ემჩნევა წანაზარდის ბაზები, რაც ახასიათებს *Mes. beskideusis*-ს და რის მიხედვით ეს სახე ადვილად გაირჩევა გვარ *Mesohibolites*-ის სხვა წარმომადგენლებისაგან. ნიმუში № 6 a, b უნდა დარჩეს *Mes. uhligi*-ად და შეეცოვის სხვა ნიმუშები *Mes. semicanaliculatus*-ს ეკუთვნის.

კრიმზოლის მიერ *Mes. Uhligi*-ად აღწერილი ნიმუშები არა ჰგავს შეეცოვის *Mes. uhligi*-ს (ნიმ. № 6 a, b, c) და მე მათ ვაკუთვნებ *Mesohibolites semicanaliculatus* Bl.-ს.

სად აღურობა: ქუთაისი, მდ. წყალწითელას მარჯვ. ნაპირი—ქვ. აბტურის ზედა ნაწილი, წყალტუბო—ზედა აბტური; რაქა—კვაცხუთი—აბტური.

გავრცელება: სამხრ. საფრანგეთის ზედა აბტური; აფხაზეთი—ზედა აბტური.

Misohibolites brevis Schwefzoff

ტაბ. IV, სურ. 5 a, b; 6, 7, 8; ტაბ. V, სურ. 1 a, b; 2 a, b; 3

1913 *Hibolites brevis* Швецов М. С. Белемниты Абхазии, стр. 63, т. V, рис. 5 a, c, d, e, f, non 5 i, h, g.

1930 *Hibolites brevis* Rouchadzé J. Nautice sur les belem. Nautil. de Kautais, p. 129, pl. 1, fig. 6—7 a, b.

1939 *Misohibolites brevis* Крымгольц Г. Я. Нижнемсловые белемниты Кавказа, стр. 20, т. IV, fig. 9.

ზომები

	ნომ. № 2	ნომ. № 5	ნომ. № 4	ნომ. № 3	ნომ. № 1	ნომ. № 167
R .	67(575)	62+X	78(639)	68(523)	77(592)	57+X
Al .	35(272)	22+X	22(180)	27(207)	32(240)	20+X
ვლ .	40(303)	25+X	35(287)	31(238)	38(292)	24+X
dv .	73(98)	13(100)	12(98)	13(100)	13(100)	12(98)
ll .	13,2(100)	13(100)	—	13,2(101)	13(100)	12(98)
Dv .	13,2(100)	13(100)	12,2(100)	13(100)	13(100)	13,2(100)
LL .	13,5(102)	13,5(104)	13,2(108)	13,2(101)	13,2(101)	13(106)
Pa .	32(242)	35(269)	28(229)	33(253)	21(161)	30(278)
P .	41(318)	40(308)	56(459)	41(315)	45(346)	37(303)

საკმაოდ დიდი როსტრუმი მომრგვალებული ბლაგვი ბოლოთი. ალვეოლის დასაწყისთან, უფართოეს ადგილთან და აპერტურთან გაზომილ დიამეტრებს შორის სხვაობა ძალიან მცირეა და ამიტომ როსტრუმს თითქმის სწორი ცილინდრული ფორმა აქვს. ზედა ნაწილში როსტრუმი გვერდებიდან ოდნავ შევიწროებულია, ხოლო ალვეოლის დასაწყისთან და უფართოეს ადგილთან ოდნავ შესამჩნევი გვერდითი გაფართოება არსებობს. ალვეოლი ღრმია, ზოგჯერ როსტრუმის შუამდე აღწევს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში როსტრუმის მთელი სიგრძის ნახევარზე ნაკლებია. სიგრძივ ქრილზე ჩანს ტკეჩედი სიბრტყის ქვედა საზღვარი, რომელიც აპიკალური ხაზის თითქმის მართობულია. ვენტრული ღარი ალვეოლის სიგრძეს 3—5 მილიმეტრით აღემატება. შეეცოვი აღნიშნავს, რომ *Brevis*-ის ვენტრული ღარი ალვეოლის ქვემოთ არ ჩადის, მაგრამ მის შრომაში მოყვანილი ვენტრული ღარის ზომები საწინააღმდეგოს გვიჩვენებენ; რვა შემთხვევიდან შეიდი ნიმუშის ღარის სიგრძე აღემატება ალვეოლის სიგრძეს და მხოლოდ ერთ შემთხვევაში ისინი თანაბარი ზომისაა; *Mes. moderatus*-ისაგან განსხვავდება უფრო გრძელი როსტრუმით, უფრო ცილინდრული მოხაზულობით და უფრო გრძელი ალვეოლითა და ღარით.

Neoh. strombecki-საგან განსხვავდება უფრო გრძელი და სწორი როსტრუმით, ბლაგვი წვერით და უფრო ზემოთ მდებარე უფართოესი ადგილით. სადაურობა: ქუთაისი, წყალტუბო, გაგრა—კლანესური მერგელოვანი ქვიშაქვა.

გვარი *Neohibolites* Stolley 1911

ამ გვარის წარმომადგენლები ხასიათდებიან საშუალო ან პატარა როსტრუმით. მათი მოხაზულობა თითისტარისებრი, წელისებრი ან გურძისებრია, ანდა უკანა ბოლო წაგრძელებული აქვთ (*Neoh. attenuatus*). შევიწროება პოსტალვეოლარულ ნაწილში დორსოვენტრული მიმართულებითაა, ზოგჯერ მრგვალია. ალვეოლარული ნაწილი ხშირად ცუდადაა დაცული. ალვეოლის კედლები თხელია და ამიტომ ალვეოლარული ნაწილი ხშირად გადამტყდარია ან აქტინოკამქისისდაგვარია. ფრაგმენტის მავიჯრად ხშირად

როსტრუმის სიგრძე მერყეობს 31—51 მილიმეტრის ფარგლებში. მათთვის დამახასიათებელია არამყარი ალვეოლის ნაწილი. ალვეოლის მაგვირად ხშირად ფსევდოალვეოლი უჩნდებათ. როსტრუმს ხშირად აქტინოკამაქსისებური აგებულება აქვს და ამიტომაც ზოგ შემთხვევაში შიგა ფენები კონუსურადაა წინწამოწეული. უფართოესი ადგილი დაახლოებით შუა როსტრუმშია მოთავსებული. ვენტრული ღარი მოკლეა. გვერდებზე ემჩნევა ორმაგი ღარაკბე, რომელნიც თითქმის წვერამდეა წაგრძელებული. მთელი როსტრუმის გასწვრივ ემჩნევა ვენტრული გაბრტყელება.

ბოგდანოვიჩმა [7] ალტი-ალაჩიდან (ადერბაიჯანი) აღწერა ზედა ნაწილში დეფორმირებული ფორმები, რომლებსაც აპერტურთან კედლები მიქეპყილი აქვთ. ეს ნიმუში მან *Actinocamax plenus mutaxia Caucasicus*-ად ჩათვალა, რასაც შტოლიე და კრიმპოლცი შეცდომად თვლიან.

ა. ნაიკიმ [22] ალვეოლის ნაწილში დეფორმირებული ნიმუშები ახალ სახედ *Neohib. cairicus*-ად გამოყო იმ მოსაზრებით, რომ თუ ერთსა და იმავე პირობებში მყოფი როსტრუმებიდან ზოგი დეფორმირებულია, ეს აიხსნება სხვადასხვა სახისადმი კუთვნილებით; ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამ მოსაზრებით ახალი სახის დადგენა არ არის დამაჯერებელი.

ზ. მიშუნინაც *Neoh. cairicus*-ს ასხვავებს *Neoh. ewaldi*-საგან.

ბიულოვმა [37] და შემდეგ ზ. მიშუნინამ [19] *Neoh. ewaldi* შეცდომით მიაკუთვნეს გვარ *Parahibolites*-ს, რომელიც გვერდითი შევიწროებით ხასიათდება და ამით განსხვავდება სხვა გვარებისაგან; *N. ewaldi*, პირიქით, დორსოვენტრული შეზნექილობით ხასიათდება, რაც თვითონ მიშუნინას აქვს აღნიშნული ამ სახის აღწერის დროს.

შტოლიეს [55] აზრით *Neoh. ewaldisimilis*, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში მოიპოვება, ყველა ნიშნით ესატყვისება *Neoh. ewaldi*-ს, განსხვავდება მხოლოდ სიდიდით—*Neoh. ewaldisimilis*-ი უფრო პატარაა.

კილიანი [39] *Neoh. ewaldisimilis*-ს იხილავს, როგორც *Neoh. aptiensis*-ის სახესხვაობას და მას *Neoh. aptiensis var. ewaldisimilis*-ს უწოდებს იმ მოსაზრებით, რომ ის აპტური ბელგენცტების მონათესავე რიგს ეკუთვნის, რომელიც *Neoh. aptiensis*-სთან ახლოს დგას.

მსგავს *Neoh. clava*-საგან განსხვავდება უფრო კარგად დაცული ალვეოლით, უფართოესი ადგილის უფრო ზემოთ მდებარეობითა და უფრო მახვილი წვეტით. *Neoh. inflexus*-ის როსტრუმს წელისებური მოხაზულობა აქვს, ალვეოლარულ ნაწილში შევიწროებულია და აპერტურთან ისევე ფართოვდება. იმ შემთხვევაში, როდესაც *N. inflexus*-ს ალვეოლის ნაწილი გადატეხილი აქვს, მათი გარჩევა ერთმანეთისაგან ძნელია.

სა და უ რ ო ბ ა: რაჟა—ზედა შავრა, მდ. ბარულას მარჯვ. ნაპირი—აპტური; წყალტუბო, ქუთაისი—ქვ. აპტური.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა: ჩრდილო გერმანია—ქვედა აპტური (*Hoplites, deshaysites* და *Oppelia nisoides*-ის ზონები); ბრაუნშვეიგი—გარაგაზული მერგელები; სამხრეთ საფრანგეთი—უმეტესად ქვედა აპტური;

ჩრდილო კავკასია—ქვ. აპტური და ქვ. აპტურის ზედა ნაწილი.

Neohibolites clava Stolley

ტაბ. X, სურ. 4, 10

1911 *Neohibolites clava* Stolley. Die Belemniten der Nordd. Gaults, s. 37,
fig. 21—29; t. II, fig. 1—12

ზო მ ე ბ ი

	ნომ. № 93—28	ნომ. № 30—56	ნომ. № 29—56	ნომ. № 21—2	ნომ. № 21—3	ნომ. № 81—71
R.	53(623)	58(643)	52(666)	53(609)	56(622)	47(671)
Al.	11,5(135)	11,5(126)	9(115)	10(114)	9(100)	4(57)
ვლ.	12,5(144)	13,2(145)	12(152)	14(161)	16(177)	15(214)
dv.	7(82)	7,5(82)	6,7(85)	6(68)	7(77)	5(71)
ll.	7(82)	8(87)	6,7(85)	5,7(65)	7,2(80)	5(71)
Dv.	8,5(100)	9,1(100)	7,8(100)	8,7(100)	9(100)	7(100)
LL.	9(106)	9,8(107)	8,8(112)	8,5(97)	9,8(108)	7,5(107)
P.	18(211)	27(290)	17(217)	17(196)	22(244)	17,5(25)
Pa.	41(480)	46(505)	43(551)	43(494)	47(522)	42(600)

საშუალო სიდიდის როსტრუმი. ალვეოლის ნაწილში მას ხშირად ცილინდრული ფორმა აქვს ან ოდნავ შევიწროებული დორსოვენტრული მიმართულებით. უფართოესი ადგილი მდებარეობს ქვედა მესამედში. სხვაობა უფართოესი ადგილისა და ალვეოლის დისაწყისის დიამეტრებს შორის შედარებით დიდია (ის მერყეობს 2,8—1,8 ფარგლებში), რის გამო ამ სახეს გურძისებური მოხაზულობა აქვს. ალვეოლი ხშირად კარგადაა დაცული და საკმაოდ ღრმადაა შეჭრილი როსტრუმში. ვენტრული ღარი სიგრძით ალვეოლს რამდენიმე მილიმეტრით აღემატება. ზოგ ნიმუშს გვერდითი ორმაგი ხაზები ემჩნევა. სიგრძით ჭრილზე ჩანს, რომ აპიკალური ხაზი ოდნავ მიახლოებულია დორსულ მხარეს. ემჩნევა კიდევ ტექნადომის სიბრტყე, ხოლო მისი ქვედა საზღვარი ნათელი არ არის.

შტოლის აზრით, გურძისებური მოხაზულობა ზოგ შემთხვევაში დამახასიათებელია *N. inflexus* და *N. ewaldi*-სათვისაც. მათი კიდური ფორმები ჰგავს *Neoh. clava*-ს. მისი აზრით, *N. clava* გარდამავალი ფორმაა *N. ewaldi*-სგან *N. inflexus*-ისაკენ.

N. ewaldisimilis-ისგან განსხვავებაზე მოხსენიებული მაქვს მისი აღწერის დროს. *N. inflexus*-ისგან *N. clava* განიზრჩევა ალვეოლის ნაწილში ნაკლები შევიწროვებით, უფართოესი ადგილის უფრო დაბლა მდებარეობითა და უფრო ბლაგვი უკანა ნაწილით.

სადაურობა: მზიფის ხეობა—ზედა აპტური; ქუთაისი—ზედა აპტური; წყალტუბო—ზედა აპტური; რაჭა, ზედა შავრა—ზედა აპტური.

გავრცელება: ჩრდილო გერმანია—აპტური, *Ammonites fehlen*-ის ზონა *Hoplites deshayesites*-ის ზონის ზემოთ, თეთრ კირქვებში.

Neohibolites duvaliaeformis Stolley

ტაბ. V, სურ. 5

 1911 *Neohibolites duvaliaeformis* Stolley. Die Belemniten des Nordd. Gaults, s. 41, t. III, fig. 1—4

ზომები

S . . .	45(473)
Al . . .	10(105)
ვლ . . .	11(115)
dv . . .	8(75)
ll . . .	8,5(90)
Dv . . .	9,5(100)
LL . . .	10(105)
P . . .	18(189)
Pa . . .	35(356)

პატარა როსტრუმი. მთელი როსტრუმის გასწვრივ შესამჩნევია ვენტრული გაბრტყელება. როსტრუმი იმტვრევა გვერდითი სიბრტყის გასწვრივ და არა ვენტრული ღარის გასწვრივ. დაახლოებით შუა ნაწილიდან აპერტურის მიმართულებით როსტრუმი თანდათან ვიწროვდება და სულ ზედა ნაწილში თითქმის ცილინდრულია. ალვეოლი კარგადაა შენახული. მას როსტრუმის სიგრძის 1/4-ზე ოდნავ ნაკლები ადგილი უკირაეს, ვენტრული ღარის სიგრძე ოდნავ სპარბობს ალვეოლის სიგრძეს.

გვარ *Duvalia*-სთან ზოგიერთი გარეგანი მსგავსებისა და გვერდითი მიმართულებით გადამტვრევის თვისების გამო შტოლემ მსგავსი ფორმები *Neoh. duvaliaeformis*-ს მიაკუთვნა. ამ მსგავსებას იგი კონვერგენციით ხსნის და უარყოფს მათ შორის გენეტურ კავშირს.

გ. კრიმპოლცს *Neoh. duvaliaeformis* არ აქვს აღწერილი, მაგრამ მას გვარ *Parahibolites*-ის გენოტიპს აკუთვნებს. მიუხედავად იმისა, რომ *N. duvaliaeformis* დადგენილია შტოლის მიერ, მის მიერვე მიკუთვნებულია *Neohibolites*-ის გვარისადმი. შტოლის სურათებიდან ჩანს, რომ *Neoh. duvaliaeformis* გვერდებიდან შევიწროებული არ არის; მისი გვერდითი დიამეტრი ალემეტება დორსოვენტრულ დიამეტრს. იგივე მოვლენა ჩემ მიერ აღწერილ *Neoh. duvaliaeformis*-საც ნათლად ემჩნევა. მაშასადამე, ის ნიშანი, რომელიც *Parahibolites*-ის გვარს სხვა გვარებისაგან ასხვავებს, *N. duvaliaeformis*-ს არ აქვს და მისი ჩათვლა *Parahibolites*-ის გვარის გენოტიპად შეუძლებელია.

აღწერილი სახე მსგავს *Neoh. clava*-საგან განსხვავდება როსტრუმის გასწვრივ ვენტრული შევიწროებით, ასიმეტრიულობით და გვერდების გასწვრივ გაპობით.

სადართობა: წყალტუბო—ზედა აპტური კირქვები.

გ ა ვ რ ც ე ლ ბ ა: ჩრდილო გერმანიის აპტური თეთრი თიხები *N. clava*-სთან ერთად (*Ammonites fehteni*-ს ზონაში, *Desehaysites*-ის ზემოთ).

Neohibolites inflexus Stolley

ტაბ. VI, სურ. 7, 8, 9; ტაბ. VII, სურ. 4—9

- 1911 *Neohibolites inflexus* Stolley. Die Belemniten des Nordd. Gaults, s. 42, taf. I, fig. 30; taf. II, fig. 13—26.
- 1939 *Neohibolites inflexus* Крымгольц Г. Я. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 22, т. V, фиг. 9—13.

ზო მ გ ბ ი

	ნომ. № 128—156 (6)	ნომ. № 128—156 (7)	ნომ. № 128—156	ნომ. № 80—331 (2)	ნომ. № 6	ნომ. № 26	ნომ. № 6	ნომ. № 25
R	50(666)	44(647)	57(760)	53(815)	53(706)	48(685)	53(706)	48(685)
Al	7(93)	5,5(80)	8(106)	22,2(187)	9(120)	8(114)	9(120)	8(114)
ვლ	13(186)	10,2(179)	15(200)	17(261)	15(200)	17(242)	15(200)	17(242)
dv	5,2(70)	5(73)	6(80)	5,5(84)	6(80)	6(85)	6(80)	6(85)
ll	5,5(73)	4,8(70)	6,2(83)	6(90)	6,5(86)	6,2(885)	5,5(73)	6,2(885)
Dv	7,5(100)	6,8(100)	7,5(100)	6,5(100)	7,5(100)	7(100)	7,5(100)	7(100)
LL	8(106)	7,2(105)	8(106)	7(107)	7,8(104)	7(100)	7,8(104)	7(100)
P	22(293)	18(360)	25(333)	25(384)	22(280)	20(285)	22(280)	20(285)
Pa	44,8(597)	38(558)	48(640)	41(690)	43(573)	40(571)	44(588)	40(57)

წარმოდგენილი საშუალო ზომის წერწეტი როსტრუმები. უფართოესი ადგილი უმეტესად როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთ ან ზოგჯერ შუაში იმყოფება. როსტრუმის ნაწილი, რომელიც უფართოეს ადგილსა და აპერტურას შორის მდებარეობს, შუა ნაწილში, შევიწროებულია და აპერტურისაკენ კვლავ ორნავი ფართოვდება. ამის წყალობით როსტრუმს წელისებური მოხაზულობა აქვს. წვეტიანაკენ როსტრუმი თანდათან ვიწროვდება და მთავრდება ცენტრულად მდებარე წვეტით. მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტის კარგადაა შენახული და ხშირად მასზედ კამერების ტიხრები ჩანს, ალვეოლარული ნაწილი მაინც ადვილად ემსხვრევა. ალვეოლი არ არის ღრმა (5,5—12,2 მმ).

აღწერილი ფორმები ყველა ნიშნით ჰგავს კრიმპოლცის მიერ აღწერილ *Neoh. inflexus*-ს. შტოლცის *Neoh. inflexus*-ისაგან განსხვავდება უფრო მცირე ზომებით. ისინი არ აღწევენ 70—80—90 მმ-ს. შტოლცი ამ სახეს იხილავს, როგორც *Neoh. clava*-ს ახალგაზრდა ნოტაციას, ე. ი. მათ გენეტურად აკავშირებს. ტიპიურ *Neoh. inflexus*-ს როსტრუმი უფრო წაგრძელებული აქვს, ვიდრე *Neoh. clava*-ს, ნაკლებად ამობურცულია ქვედა ნაწილში და უფრო მახვილი წვეტით ბოლოვდება. ამ ორი სახის კიდური ფორმები თითქმის არც კი განიჩევა ერთმანეთისაგან. *Neoh. clava*-ს უფართოესი ადგილი უფრო ქვემოთ მდებარეობს, ვიდრე *Neoh. inflexus*-ის, *Neoh. clava*-ს ალვეოლი უფრო ღრმადაა შეკრილი როსტრუმში. *Neoh. wollemanni*-საგან განსხვავდება როსტრუმის უფრო წერწეტი ფორმით და უფართოესი ადგილის უფრო ქვემოთ მდებარეობით.

Neoh. inflexus ხშირად კარგავს ალვეოლარულ ნაწილს და ხაზინ ძნელა მათი გამორჩევა *Neoh. ewaldi*-საგან, მაგრამ *Neoh. inflexus* უფრო წერილი ფორმა და ერთგვარ წელისმავარ მოყვანილობას მაინც ინარჩუნებს.



სადაურობა: რაქა—ზედა შავრა — ზედა აპტური; ქუთაისი—ზედა აპტური; წყალტუბო—ზედა აპტური; ოქუში — ზედა აპტური.

გავრცელება: ჩრდილო გერმანია — ზედა აპტური; ჩრდილო კავკასია—ქვედა აპტურის ზედა ნაწილი და ზედა აპტურის ქვედა ნაწილი; რაქა—ქვედა და ზედა აპტური.

Neohibolites aptiensis Kilian

ზომები

R	72(600)
Al	30(250)
შელ	37(308)
dv	12,5(104)
ll	12,8(106)
Dv	12(100)
LL	13(108)
P	37(308)

საშუალო სიდიდის სუბცილინდრული როსტრუმი. ზედა ნაწილში განივი კრილი გვერდებიდან ოდნავ შევიწროებულია. ცენტრული ღარის დაბოლოებასთან შევიწროება დორსოვენტრულია. ამ ადგილებში განივი კრილის დიამეტრებს შორის განსხვავება მცირეა და ამის გამო როსტრუმს სწორი მოხაზულობა აქვს. ალვეოლი ღრმადაა შეკრილი როსტრუმში. მას მისი სიგრძის თითქმის ნახევარი მანძილი უჭირავს. ფრაგმენტონი როსტრუმიდან ხშირად გამოვარდნილია. მიუხედავად ამისა, ალვეოლის კედლები საკმაოდ სქელია. სიგრძით კრილზე ჩანს, რომ ფრაგმენტონის დასაწყისის ქვემოთ აპიკალური ხაზი შეკრილია თეთრ მასაში, რომელიც ფრაგმენტონის დასაწყისის ქვემოთა და თანდათან გაღრმავების შედეგად ფსევდოალვეოლს ქმნის. ჩანს აგრეთვე ტყეჩადობის სიბრტყე, რომლის ქვედა საზღვარი ალვეოლის დასაწყისიდან 5 მილიმეტრით უფრო ქვემოთ იწყება, მიემართება ზედაპირისაკენ და ემთხვევა მას ალვეოლის დასაწყისის დონეზე.

ამ სახეში კილიანმა გააერთიანა მთელი რიგი აპტური ბელემნიტებისა, რომელნიც ზოგ მკვლევარს *Bel. semicanaliculatus*-ად მიაჩნდათ. კილიანმა კი სხვადასხვა მკვლევრის მიხედვით *B. semicanaliculatus*-ად მიღებული პატარა აპტური ფორმები მსხვრევადი ალვეოლარული ნაწილით შეიტანა *Neoh. aptiensis*-ის სინონიმიკაში. *N. aptiensis*-ის ორი სახესხვაობა მან *var. ewaldsimilis* და *var. strombeckiformis*-ად გამოყო. შტალეის *N. ewaldi*-ს აღწერაში მოხსენიებული აქვს, რომ სამხრეთ საფრანგეთში მოიპოვება პატარა ფორმები, რომელნიც მხოლოდ/სიდიდით განსხვავდებიან *N. ewaldi*-საგან და ის მათ *N. ewaldsimilis*-ს უწოდებს.

გაუგებარია, თუ რისთვის დასჭირდა კილიანს იგივე *N. ewaldsimilis*-ის *N. aptiensis*-ის სახესხვაობად გამოყოფა. გაუგებარია აგრეთვე, თუ რას გულისხმობს კილიანი *N. aptiensis var. strombeckiformis*-ში. ვფიქრობ, რომ *Neoh. strombecki* და *var. strombeckiformis*-ის განსხვავებაც მხოლოდ სიდიდითაა. საზოგადოდ შემჩნეულია, რომ ხმელთაშუა ზღვის ზოლში მოიპოვება თით-

ქმის ყველა *Neohibolites*, რომელნიც ცნობილია ჩრდილო გერმანიაში; სწორედ ჩრდილო გერმანიის *Neohibolites* უფრო დიდია, სხვა ნიშნებით კი ესატყვისება სამხრეთის *Neohibolites*-ს, გარდა ალბური ფორმებისა, რომელნიც ყველგან პატარა ზომისაა.

აღწერილი ფორმა *N. strombecki*-ს ემსგავსება ფრაგმაკონის როსტრუმის დან ადვილად ამოვარდნით და ამავე დროს ალვეოლის საკმაოდ სქელი კედლებით. განსხვავდება მისგან უფრო სწორი როსტრუმით, უფრო მაღლა მდებარე უფართოესი ადგილით და უფრო გრძელი ალვეოლით. *N. wollemanni*-საგან განსხვავდება უფრო გრძელი ალვეოლით და ვენტრული ღარი.

სად აურობა: რაქა—ზედა შავრა—ზედა აპტური.

ვაკრცელებს: სამხრეთ საფრანგეთი—ზედა აპტური.

Neohibolites wollemanni Stolley

ტაბ. 11, სურ 1, ა, ბ; 2, 3, 4, 5, 6, 7

1903 *Belemnites strombecki* g. Müller in Wollemann. Die fauna des mittleren Gaults von Algermissen, s. 40, t. V, fig. 8—11.

1911 *Neohibolites wollemanni* Stolley. Die Belem. des Nordd. Gaults, s. 46, t. III, fig. 9—34.

1913 *Belemnites wollemanni* Sinzow. Kreideablagerungen des nord. Kaukasus, s. 107, t. IV, fig. 33.

1916 *Neohibolites wollemanni* Нацкий А. Д. Белемниты септариевых глин мангышлака, стр. 9, т. I, фиг. 15—18; т. II, фиг. 1—5.

1939 *Neohibolites wollemanni* Крымгольц Г. Я. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 24, т. IV, фиг. 1—5.

ზ ი მ ე ბ ი

	ნიშ. № 49—58	ნიშ. № 1	ნიშ. № 93—21	ნიშ. № 128—156	ნიშ. № 173—90	
R	65(650)	46(575)	49(632)	51(675)	73(663)	57(633)
Al	19(190)	16(200)	9(112)	10(118)	21(290)	8(88)
ვლ	20(200)	17(212)	14(175)	14(164)	21(190)	10(111)
dv	9,2(92)	7,2(90)	6,5(81)	7,5(88)	9,8(89)	8(88)
ll	10(100)	8(100)	7(56)	7,9(93)	9,5(86)	9(100)
Dv	10(100)	8(100)	8(100)	8,5(100)	11(100)	9(100)
LL	10,2(102)	8,5(106)	8,5(106)	9(101)	10(91)	9,5(105)
P	35(350)	20(277)	20(250)	19(223)	40(363)	26(238)
Pa	46(460)	30(375)	40(500)	47(522)	52(472)	49(546)

საშუალო სიდიდის როსტრუმი. უფართოესი ადგილი დაახლოებით როსტრუმის შუა ნაწილშია მოთავსებული. აპერტურისაკენ როსტრუმი თანაბრად ვიწროვდება, რის გამო როსტრუმის ზედა ნაწილი თითქმის ცილინდრულია, წვერისკენ შევიწროება უფრო სწრაფია და ბოლოვდება ცენტრულად მდებარე წვერით. ალვეოლი არ არის ღრმა. ვენტრული ღარი ალვეოლს 4—6 მილიმეტრით სცილდება. ალვეოლის დასაწყისთან როსტრუმი გვერდებიდან შევიწროებულია, იმის ქვემოთ მას დორსოვენტრული გაბრტყელება ემჩნევა.

შტოლეის აზრით, ამ სახისათვის დამახასიათებელია როსტრუმის გაფართოება აპერტურთან ალვეოლარულ ნაწილში შევიწროების შემდეგ, და თუ ხშირად ამ სახის წარმომადგენლებს ეს არ ემჩნევათ, ეს მხოლოდ ალვეოლარული ნაწილის ადგილი დაშლის გამო ხდება. მართლაც, ყველა ნიმუშს ემჩნევა მიდრეკილება ზედა ნაწილის გაფართოებისაკენ. შტოლეი ფიქრობს, რომ *Neoh. wollemanni* და *Neoh. strombecki*-ს შორის უნდა არსებობდეს გარდამავალი ფორმა, რომელიც მას არ გამოუყვია ცალკე სახედ, მაგრამ *Neoh. aff. strombecki*-სად აღნიშნავს; განსხვავდება *Neoh. strombecki*-ს ტიპური ფორმებისაგან უფრო მოკლე ალვეოლით და ვენტრული ღარიით და აგრეთვე უფრო ზემოთ მდებარე უფართოესი ადგილით. მსგავს *Neoh. wollemanni*-საგან *Neoh. strombecki* განსხვავდება ალვეოლარულ ნაწილში შევიწროებით, უფრო ქვემოთ მდებარე უფართოესი ადგილით და უფრო თითისტარისებური მოხაზულობით.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : ქუთაისი—ზედა აპტური—მერგელოვანი კირქვები; წყალტუბო—ზედა აპტური მერგელოვანი კირქვები.

გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა : ჩრდილო გერმანია—შუა ალბური (*Tardurfurcatus*-ის ზონა, ალტი-ალაჩი (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია)—ქვედა ალბური.

Neohibolites aff. strombecki Müller emend Stolley

ტაბ. III, სურ. 9

ზ ო მ ე ბ ი

ნიმ. № 55-59

R . . .	35(500)
გლ . . .	7(100)
dv . . .	7(100)
ll . . .	8(110)
Dv . . .	7(100)
LL . . .	5(70)
P . . .	18(259)

პატარა ნიმუშია. უფართოესი ადგილი როსტრუმის შუა ნაწილშია, ხოლო აქედან როსტრუმი ორივე მიმართულებით ვიწროვდება. ალვეოლი მოკლეა. ჩანს მხოლოდ მისი ბოლო ნაწილი. ღარი 2 მილიმეტრით ალემატება ალვეოლს. უფართოეს ადგილას როსტრუმს ემჩნევა დორსოვენტრული შევიწროება.

აღწერილი ნიმუში ყველა ნიშნით ჰგავს შტოლეის მიერ გამოყოფილ *Neoh. aff. strombecki*-ს, სახელდობრ: მოკლე ალვეოლით, უფართოესი ადგილის როსტრუმის შუა ნაწილში მდებარეობით და უფართოეს ადგილას დორსოვენტრული გაბრტყელებით.

განსხვავდება *Neoh. wollemanni*-საგან როსტრუმის სიპატარავით. ალვეოლარული ნაწილი *Neoh. aff. strombecki*-სა უფრო ადვილად იშლება და როსტრუმის შუა ნაწილიდან ორივე მიმართულებით თანაბრად ვიწროვდება, რაც *Neoh. wollemanni*-ს არ ახასიათებს.



Neoh. strombecki-საგან განსხვავებაზე მოხსენიებული მაქვს ამ ლის ალწერის დროს.

სადაურობა: რაქა—ზედა შავრა—კლანსეური.

გავრცელება: პანოვერი—ქვედა ალბური, „*Acanthplites*“-ის ზონის ზემოთ (*Leymeriella schrammeni*-სა და *phylloeras velledae*-ს ზონა).

Neohibolites nov. Sp.

ზომები

ნომ. № 22

R . . .	40(615)
Al . . .	6,5(100)
ვლ . . .	6(92)
dv . . .	6,5(100)
ll . . .	6,8(104)
Dv . . .	6,5(100)
LL . . .	7(107)
P . . .	19(292)
Pa . . .	34,5(530)

პატარა როსტრუმი, ბოლოში ოდნავ ბლაგვად მომრგვალებული. უფართოესი ადგილი მოთავსებულია შუაში. მთელი როსტრუმის გასწვრივ ემჩნევა გვერდებიდან. გაფართოება. ვენტრული მხარე გაბრტყელებულია, ხოლო დორსალური კი ოდნავ მომრგვალებული. განივი განაკვეთი კუთხოვანია. ფრაგმენტის შოკლე აქვს და მისი დასაწყისი მომრგვალებულია. ეს ნიმუში მსგავსია მთელი რიგი ალბური *Neohibolites*-ის, სახელდობრ, *Neoh. styloides* Reng, *Neoh. spiniformis* Krimg და *Neohib. subtilis* Krimg. განსხვავდება მათგან კუთხოვანი განივი განაკვეთით, გვერდითი გაფართოებით, მთელი როსტრუმის გასწვრივ ვენტრული გაბრტყელებით და მომრგვალებული ფრაგმენტის დასაწყისით.

სადაურობა: ტყვარჩელი—კლანსეური.

Neohibolites minor Strombecki

ტაბ. VIII, სურ. 3—8; ტაბ. IX, სურ. 3—6

1908 *Bellemnites strombecki* g. Müller mut. minor Stolley, Gliederung der Norddeutschen unteren Kreide, p. 57, 58.

1911 *Neohibolites minor* Stoley. Bellemniten des Nordd, Gaults, s. 57, raf. V, fig. 1—43.

ზომები

	ნომ. № 78—70	ნომ. № 82—70	ნომ. № 85—89—70	ნომ. № 2—99	ნომ. № 25	ნომ. № 51 ნომ. № 67	
R . . .	36(600)	35(486)	37(528)	33(532)	35(554)	37(528)	33(471)
Al . . .	8(133)	3(41)	—	5(80)	10(153)	6(86)	8(114)
ვლ . . .	—	9(125)	4(57)	—	13(200)	10(143)	10(143)
dv . . .	5(83)	5,8(80)	5,2(74)	5,5(88)	5,5(84)	6(86)	6(86)
ll . . .	5(83)	6(83)	6,5(54)	6(96)	5,5(84)	6,5(93)	6(86)
Dv . . .	6(100)	7,2(100)	7(100)	6,2(100)	6,5(100)	7(100)	7(100)
LL . . .	7(116)	7(97)	7(100)	6,5(104)	7(107)	7,3(104)	7,2(103)
P . . .	16(266)	19(265)	17(242)	14(225)	15(238)	17(243)	16(228)
Pa . . .	28(466)	33(444)	—	28(451)	26(400)	31(441)	25(317)

პატარა როსტრუმში კარგად შენახული ალვეოლით და ვენტრული ღარით. ვენტრული ღარი გაწვდილია ალვეოლის დასაწყისის ცოტა ქვემოთ. გვერდებზე ხშირად შეჩენილია ორმაგი ხაზები. შეჩენულია ტკეჩეალობის სიბრტყის ქვედა საზღვარი, იგი იწყება აპიკალური ხაზიდან ალვეოლის დასაწყისის 9 მილიმეტრით ქვემოთ. აქედან მისი ქვედა საზღვარი ზემოთკენ მიიმართება და როსტრუმის ზედაპირს ალვეოლის დასაწყისის ღონეზე აღწევს. უფართოესი ადგილი იმყოფება ან როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთ ან შუაში; მთელი როსტრუმის გასწვრივ შემჩენულია პატარა დორსოვენტრული გაბრტყელება, რომელიც მაქსიმუმს აღწევს უფართოეს ადგილას.

Neoh. minor-ს შტოლივით იხილავს, როგორც გარდამავალ ფორმას *Neoh. strombecki*-დან (*Leimor. tardefurcatus*-ის ზონა) *Neoh. minimus*-ისაკენ (*Hoplites interruptus*-ის ზონა). *Neoh. strombecki*-საგან განსხვავდება პატარა ვიწრო როსტრუმით, უფრო მოკლე ალვეოლით და ვენტრული ღარით. *Neoh. strombecki* უფართოესი ადგილიდან თანდათან ვიწროვდება აპერტურისაკენ და ხშირად ალვეოლის ზედა ნაწილში კვლავ ფართოვდება, რაც *Neoh. minor*-ს არ ემჩნევა. *Neoh. minimus*-ისაგან განსხვავდება კარგად შენახული ალვეოლით და ვენტრული ღარით. *Neoh. minimus*-ს პოსტალვეოლარული ნაწილი უფრო წაგრძელებული აქვს, ვიდრე *Neoh. minors*-ს (*N. minimus*-ის $Pa = 696 - 484$, *Neoh. minor*-ს $Pa = 441 - 357$). *N. minor*-ის წვეტი უფრო მრგვალია, ვიდრე *N. minimus*-ის, მაგრამ უფრო მახვილი, ვიდრე *N. minimus* var. *pinguis*-ის. სადა ურობა: ტყიბული — ქვედა ალბური; ქუთაისი — ქვედა ალბური. გავრცელება: ჩრდილო გერმანია — ქვ. ალბური, *Hoplites regularis*-ის ზონა.

Neoholites minimus Lister

ტაბ. XI, სურ. 8—16; ტაბ. XII, სურ 1—8

- 1678 *Belemnites minimus* (pars) Lister. Historia animalium Angliae, p. 227, pl. VII, fig. 32 (pars).
 1822 *Belemnites listeri* (pars) Mantell. The fossils of the south downs, p. 88, pl. XIX, fig. 23.
 1829 *Belemnites minimus* Miller. Observation on Belemnites, p. 62, pl. IX, fig. 6.
 1829 *Belemnites minimus* (pars) Sowerby. Mineral Conchology, v. VI, p. 175, pl. 589, fig. 1 (pars).
 1858—60 *Belemnites minimus* (pars) Pictet et Campiche. Description des foss. de st. Croix, p. 103, pl. XIII, fig. 3, 5, 6.
 1897 *Belemnites minimus* (pars) Каракаш Н. И. Меловые отложения Кавказского хр., стр. 88, таб. VII, рис. 3 (non 3a, b).
 1909 *Belemnites minimus* (pars) Gagel. Ueber Gault von Lünebourg, s. 416, fig. 10, 12, 15.
 1911 *Neoholites minimus* (pars) Stolley. Die Belemniten des nordd. Gaults, s. 59, taf. VI, fig. 1, 2, 3, 15.

- 1913 *Belemnites (Neohibolites) minimus* (pars) Sinzow. Kreideablagerungen des Nord-Kaukasus, s. 96, taf. IV, fig. 15, 16.
- 1916 *Neohibolites schwetzovi* (pars) Нацкий А. Д. Белемниты септариевых глин Мангышлака, стр. 12. т. II, фиг. 14—17.
- 1939 *Neohibolites minimus* Крымголец Г. Я. Нижнемеловые белемниты Кавказа, стр. 26, таб. VI, фиг. 7—13.

ზომები

	ნომ. № 86—10 (1)	ნომ. № 86—10 (2)	ნომ. № 86—10 (3)	ნომ. № 86—10 (4)	ნომ. № 128—156 (1)	ნომ. № 1	ნომ. № 3
R . . .	32(640)	24(600)	34(566)	32(640)	33(660)	27(562)	27(642)
Al . . .							
ვლ . . .	4,5 (90)	7(175)		8(160)			
dv . . .	4(80)	3(75)		4,2(84)	3(60)	3,2(66)	3(71)
ll . . .	4(80)	3(75)		4,3(86)	3(60)	3,7(77)	3,5(83)
Dv . . .	5(100)	4(100)	6(100)	5(100)	5(100)	4,8(100)	4,2(100)
LL . . .	5,5(110)	4(100)	6(100)	5,5(110)	5(100)	4,8(100)	4,5(107)
P . . .	13(260)	8,5(210)	15(250)	15(214)	12(220)	11(227)	12(266)
	ნომ. № 20—333	ნომ. № 16—333	ნომ. № 12—333	ნომ. № 21—333	ნომ. № 56—62	ნომ. №	ნომ. № 128—156
R . . .	30(600)	37(596)	30(518)	27(519)	33(508)		32(640)
Al . . .							
ვლ . . .	7(140)	5(80)	4,2(72)	3,8(73)			
dv . . .	4(144)	5(80)	5(86)	4,8(92)	5(77)	3,5(70)	
ll . . .	4,3(86)	5(80)	5(86)	5(96)	5,5(85)	3,5(70)	
Dv . . .	5(100)	6,2(100)	5,8(100)	5,2(100)	6,5(100)	5(100)	
LL . . .	5(100)	6,5(105)	6(103)	5,2(100)	7(108)	5(100)	
P . . .	12(240)	17(370)	13(224)	15(288)	16,5(251)	13(260)	

პატარა (19—37 მმ) თითისტარისებური, ბოლოში წაწვეტებული როსტრუმი. უფართოესი ადგილი როსტრუმის შუა ნაწილის ქვემოთაა, საიდანაც აპერტურის მიმართულებით როსტრუმი თანდათანობით ვიწროვდება, ხოლო წვეტიანკენ კი სწრაფად ვიწროვდება და ბოლოვდება ცენტრული წვეტით. როსტრუმის ალვეოლარული ნაწილი ადვილად იშლება და ამიტომ ალვეოლი ძალიან იშვიათად აქვს შერჩენილი. ზოგჯერ როსტრუმის გასწვრივ ქრილზე შესამჩნევია ფსევდოალეოლი და მასში შეჭრილი აბიკალური ხაზი. განივი ქრილი უმეტეს ნაწილად მრგვალია. ზოგჯერ უფართოეს ადგილას შესამჩნევია დორსოცენტრული შევიწროება. ცენტრული ღარი მოკლეა. ხშირად კი ის სრულიად არ მოიპოვება. გვერდებზე ზოგჯერ ემჩნევა ორმაგი ღარების კვალი. ზოგიერთ ნიმუშს ქარვისფერი გადაჰკრავს და ოდნავ გამქვირვალეა.

შტოლეიმ ზედმიწევნით დაამუშავა ამ სახის სინონიმიკა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მრავალი ძველი ავტორი *Belemnites minimus*-თან აიგივებს სხვა სახეებსაც. ამ სახის ისტორიის მიმოხილვა შტოლეის დაწვრილებით აქვს მოყვანილი თავის შრომაში. მისი აზრით, *Neoh. minimus* ყველაზე პატარა ფორმაა გერმანიის ქვედაკარცული *Neohibolites*-თა შორის და მხოლოდ *N. minimus* var. *attenuatus* აღწევს 60 მმ სიგრძეს. შტოლეი აღნიშნავს, რომ



